# 2023

# საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 18 ოქტომბრის N1910-IXმს-Xმპ დადგენილებაში ასახული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ

სპეციალური ანგარიში

**საქართველოს სახალხო დამცველი**

ანალიტიკური დეპარტამენტი

www.ombudsman.ge

info@pdo.ge

# შინაარსი


შესავალი ..... 3

1. პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების მდგომარეობა .. 4

2. მეთოდოლოგია ..... 6

3. საქართველოს მთავრობა ..... 7

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ..... 12

5. საქართველოს პროკურატურა ..... 45

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ..... 51

7. სპეციალური საგამოძიებო სამსახური ..... 69

8. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ..... 69

9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ..... 76

10. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ..... 113

11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ..... 116

12. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ..... 135

13. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ..... 137

14. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ..... 139

15. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ..... 142

16. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ..... 144

17. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ..... 145

18. თანამდებობის პირები ..... 145

შეჯამება ..... 147

*დანართი* ..... 149

# შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენს კონსტიტუციურ ორგანოს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას. სახალხო დამცველი წელიწადში ერთხელ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს ყოველწლიურ ანგარიშს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე – მოხსენებას ყოველწლიურ ანგარიშთან დაკავშირებით, რომელთა განხილვის საფუძველზე პარლამენტი იღებს დადგენილებას და დადგენილებით დავალებებს აძლევს სახელმწიფო უწყებებს სახალხო დამცველის ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესასრულებლად.

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ყველაზე ძლიერი მექანიზმი არის მათი პარლამენტის დადგენილებაში ასახვა. რეკომენდაციები, რომლებიც უკვე დადგენილებაში დავალებების სახით აისახება, შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს პარლამენტის მიმართ ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი საჯარო უწყებებისა და თანამდებობის პირთა მიმართ. გამომდინარე აქედან, პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულება, ერთი მხრივ, ემსახურება საპარლამენტო კონტროლს, მეორე მხრივ, ზრდის სახალხო დამცველის საქმიანობის ეფექტიანობას. ამ პროცესის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი პარლამენტის დადგენილებაში ასახული დავალებების შესრულებას ყოველწლიურად აფასებს სპეციალურ ანგარიშში.

წინამდებარე სპეციალური ანგარიშის მიზანია სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშის „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ (შემდგომში სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში) საფუძველზე პარლამენტის მიერ 2022 წლის 18 ოქტომბრის N1910-IXმს-Xმპ დადგენილებაში (შემდგომში პარლამენტის დადგენილება) ასახული დავალებების შესრულების მდგომარეობის შეფასება. **ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის დადგენილებით გაცემული ცალკეული დავალებები არ ასახავს სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის რეკომენდაციების მიზანს და ფორმულირების კუთხით არსებითად ცვლის მათ შინაარსს, რის გამოც სახალხო დამცველის აპარატი არ მიიჩნევს მსგავსი სახის დავალებებს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარებად და არ შეაფასებს მათი შესრულების მდგომარეობას.** შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში ფასდება პარლამენტის დადგენილებაში ასახული მხოლოდ იმ დავალებების შესრულება, რომლებიც ეფუძნება სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში გაცემულ რეკომენდაციებს და გამომდინარეობს მათგან.

სპეციალური ანგარიშის თავდაპირველ ნაწილებში მიმოხილული იქნება ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და მათი პარლამენტის დადგენილებაში გაზიარების მაჩვენებლის შესახებ, ასევე, ანგარიშის

მომზადების მეთოდოლოგია. შემდგომი ნაწილი დაეთმობა უშუალოდ თითოეული დავალების შესრულების მდგომარეობის მიმოხილვას ადრესატი უწყებების მიხედვით. შეჯამების სახით წარმოდგენილი იქნება დავალებების შესრულების მდგომარეობის ზოგადი სურათი.

## 1. პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების მდგომარეობა

საქართველოს სახალხო დამცველმა 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში სხვადასხვა უწყებებსა და თანამდებობის პირებს ჯამში 334 რეკომენდაციით მიმართა, რომელთაგან: 309 უმაღლეს სახელმწიფო, 1 ავტონომიური რესპუბლიკის და 22 ადგილობრივ თვითმმართველობებს მიემართებოდა, ხოლო 2 რეკომენდაცია ყველა ცენტრალური თუ ადგილობრივი თანამდებობის პირის მიმართ გაიცა.

სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშის საფუძველზე პარლამენტმა 2022 წლის დადგენილებაში სხვადასხვა ცენტრალურ, ავტონომიურ თუ მუნიციპალური უწყებების მიმართ 316 დავალება გასცა (მათ შორის 23 დავალება ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ, ხოლო 1 დავალება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამინისტროს მიმართ). **უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების რაოდენობა, 316 დავალება, პირდაპირპროპორციულად არ ეფუძნება სახალხო დამცველის ანგარიშის ამავე რაოდენობის რეკომენდაციას და შესაბამისად, არ ასახავს პარლამენტის მიერ რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებელს.**

პარლამენტის დადგენილებით გაცემული დავალებების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა სტატისტიკური მონაცემები სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშის იმ რეკომენდაციებისა, რომლებიც სრულად იქნა გაზიარებული პარლამენტის მიერ, რეკომენდაციები, რომლებიც ნაწილობრივ გაიზიარა პარლამენტმა და რეკომენდაციები, რომლებიც არ გაიზიარა პარლამენტმა და არ ასახა თავის დადგენილებაში. აღნიშნულის გარდა, პარლამენტის დადგენილებაში გამოიკვეთა დავალებები, რომლებშიც რეკომენდაციის ტექსტის ცვლილებით პარლამენტმა არსებითად შეცვალა სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსი და შესაბამისად, როგორც ზემოთ შესავალში აღინიშნა, სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით ასეთი დავალებები არ წარმოადგენს სახალხო დამცველის რეკომენდაციიდან გამომდინარე დავალებას და არ ითვლება გაზიარებულად. დამატებით, ზოგიერთი დავალება განმეორდა და დადგენილებაში ორჯერ არის წარმოდგენილი (დუბლირებული დავალებები).

**სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებლის სრული სურათი შემდეგნაირად გამოიყურება:**

| | | |
|---|---|---|
| სრულად გაიზიარა | 236 | 71,08% |
| ნაწილობრივ გაიზიარა | 35 | 10,54% |
| არ გაიზიარა | 23 | 6,9% |
| არსებითი ცვლილების გამო არ ითვლება გაზიარებულად | 33 | 10 % |
| | | |
| ჯამი | 332[1] | |
| | | |

ხაზგასასმელია, რომ პარლამენტმა სრულად გაიზიარა მუნიციპალური ორგანოების მიმართ გაცემული რეკომენდაციები, ხოლო არსებითი ან ნაწილობრივი ცვლილება შეეხო ავტონომიური რესპუბლიკის და ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოების მიმართ გაცემულ რეკომენდაციებს.

გასულ წელთან შედარებით უმნიშვნელოდ არის შემცირებული იმ რეკომენდაციების პროცენტული მაჩვენებლის ჯამი, რომლებიც სრულად და ნაწილობრივ გაიზიარა პარლამენტმა.

2020-2022 წლების დადგენილებებში პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება:




**ამავდროულად პოზიტიურად უნდა აღინიშნოს, რომ შემცირებულია იმ რეკომენდაციების რაოდენობა, რომელიც პარლამენტმა არ ასახა დადგენილებაში. კერძოდ, 2021 წლის**

[1] ანგარიშის წარდგენის შემდგომ, 2-მა რეკომენდაციამ პანდემიური გარემოების ცვლილების შედეგად დაკარგა აქტუალურობა. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული სტატისტიკაში.

**საპარლამენტო დადგენილებაში პარლამენტმა არ ასახა სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის 30 რეკომენდაცია, ხოლო 2022 წელს ეს მაჩვენებელი 23 რეკომენდაციაა. აღნიშნული რეკომენდაციების ნუსხა თან ერთვის წინამდებარე სპეციალურ ანგარიშს დანართის სახით.**

წინამდებარე სპეციალურ ანგარიშში შეფასებულია პარლამენტის დადგენილებით გაცემული 316 დავალებიდან 292 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობა, რადგან წინამდებარე ანგარიშში არ ვაფასებთ ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ორგანოების მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობას (24 დავალება).

## 2. მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშში, სახალხო დამცველის აპარატის მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობის შეფასება ეფუძნება შემდეგ წყაროებს:

- სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები;
- სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგები;
- სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაცია;
- საჯარო სივრცეში განთავსებული ოფიციალური ინფორმაცია;
- სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიშის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებაში ასახული დავალებების შესრულების შეფასების მეთოდოლოგია;
- სახელმწიფო უწყებების მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი პოზიციები სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშის რეკომენდაციებთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო უწყებების მიერ, საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ პარლამენტში წარდგენილი ანგარიშები.

განსახილველი ანგარიშის მიზნებისთვის, სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობა, ფასდება საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან, 2023 წლის პირველი მარტის ჩათვლით არსებული მდგომარეობით.

# 3. საქართველოს მთავრობა

## 3.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს მთავრობის მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

| | |
|---|---|
| სრულად შესრულდა | 3 |
| ნაწილობრივ შესრულდა | 2 |
| არ არის შესრულებული | 4 |
| საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას | 1 |
| ჯამში | 10 |

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მონაცემების მიხედვით.




## 3.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების დეტალური შეფასება

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #1 | არ არის შესრულებული | | |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან და სხვა კომიტეტებთან თანამშრომლობით შეისწავლოს სოციალური პაკეტის გაცემის წესის შეცვლის მიზანშეწონილობის საკითხი, რათა დასაშვები გახდეს გამონაკლის შემთხვევებში ან ზოგადად სახელმწიფოსგან ერთზე მეტი სოციალური სარგებლის მიღება. | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში არ გამხდარა დასაშვები გამონაკლის შემთხვევებში სახელმწიფოსგან ერთზე მეტი სოციალური სარგებლის მიღება. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 1 | ქვეპუნქტი | „ა“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #2 | ნაწილობრივ არის შესრულებული | | |
| დაამტკიცოს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურები“ (ეროვნული რეფერალური მექანიზმი). | | | |
| კომენტარი | | | |
| ეროვნული რეფერალური მექანიზმის დოკუმენტი შემუშავებულია, თუმცა ამ ეტაპისთვის არ არის დამტკიცებული. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 1 | ქვეპუნქტი | „ბ“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #3 | სრულად არის შესრულებული | | |
| დაგეგმოს ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რომლებიც ხელს შეუწყობს უმცირესობების მიმართ საზოგადოების დისკრიმინაციული დამოკიდებულებისა და წინასწარი განწყობის აღმოფხვრას. | | | |
| კომენტარი | | | |
| სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ საანგარიშო პერიოდში დავალების შესრულების მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი საინფორმაციო აქტივობის განხორციელებას. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 1 | ქვეპუნქტი | „გ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #4 | არ არის შესრულებული |

| | | | |
|---|---|---|---|
| სოგი-ს ნიშნით მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებები გაითვალისწინოს საქართველოს ადამიანის უფლებათა სტრატეგიაში და სამთავრობო სამოქმედო გეგმაში; | | | |
| კომენტარი | | | |
| ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიაში არ არის ლგბტ+ ჯგუფის საჭიროებები გათვალისწინებული. სამოქმედო გეგმა ამ ეტაპზე არ არის შემუშავებული. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 1 | ქვეპუნქტი | „დ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #5 | სრულად არის შესრულებული |
| გააგრძელოს მუშაობა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტსა და თანმდევ საკანონმდებლო ცვლილების პროექტებზე. | |
| კომენტარი | |
| მიმდინარეობდა მუშაობა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტსა და თანმდევ საკანონმდებლო ცვლილების პროექტებზე. | |
| დადგენილების პუნქტი | 1 | ქვეპუნქტი | „ე“ |

| | |
|---|---|
| დავალება #6 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან და ადგილობრივ ხელისუფლებებთან თანამშრომლობით გამიჯნოს მუნიციპალიტეტებში მომუშავე სოციალური მუშაკების, აღნიშნული სააგენტოს ბაზაზე დასაქმებული სოციალური მუშაკებისა და განათლების სისტემის სოციალური მუშაკების ფუნქცია-მოვალეობები და შეიმუშაოს სახელმძღვანელო დოკუმენტი მათი კოორდინაციისთვის. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ გამიჯნულა სხვადასხვა უწყებებში მომუშავე სოციალური მუშაკების ფუნქცია-მოვალეობები და არ შექმნილა, მათ შორის, კოორდინაციის სახელმძღვანელო დოკუმენტი. თუმცა, სახალხო დამცველი დადებითად აფასებს „ბავშვის უფლებათა კოდექსის საფუძველზე განსაზღვრული უწყებათაშორისი კოორდინაციის წესის დამტკიცების შესახებ” დადგენილების პროექტის მომზადებას, რომლის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად უწყებათაშორისი სისტემის გამართული, კოორდინირებული ფუნქციონირება და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაციის გაღრმავება და იმედოვნებს, რომ პროექტი დამტკიცდება უახლოეს მომავალში. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 1 | ქვეპუნქტი | „ვ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #7 | არ არის შესრულებული |
| შშმ პირებისა და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართულობით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ვადაში შეიმუშაოს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ დამტკიცებულა მისაწვდომობის ეროვნული გეგმა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 1 | ქვეპუნქტი | „ზ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #8 | არ არის შესრულებული |
| შშმ პირთათვის ინფორმაციის, კომუნიკაციის საშუალებებისა და სხვა მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მისაწვდომობის ეროვნული გეგმის ფარგლებში შეიმუშაოს შესაბამისი წესები; ამასთანავე, უზრუნველყოს, რომ სახელმწიფო უწყებებმა დანერგონ ვებმისაწვდომობის სტანდარტები; მონიტორინგი გაუწიოს აღნიშნული მოთხოვნების შესრულებას. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა სახელმწიფო უწყებების მიერ ვებ მისაწვდომობის სტანდარტები. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 1 | ქვეპუნქტი | „თ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #9 | სრულად არის შესრულებული |
| „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“ შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შედეგების გათვალისწინებით, განახორციელოს ახალი, 2023-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების ინიცირება. | |
| კომენტარი | |
| ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში გათვალისწინებული იქნა დავალებაში მითითებული საკითხი. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 1 | ქვეპუნქტი | „ი“ |

| | |
|---|---|
| დავალება #10 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |

| |
|---|
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან და სხვა კომიტეტებთან თანამშრომლობით შეისწავლოს საშემოსავლო გადასახადის გადახდისას ვეტერანების მიერ არსებული შეღავათით სარგებლობისთვის დასაბეგრი შემოსავლის ოდენობის 6 000 ლარამდე გაზრდის, ხოლო მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანთა შემთხვევაში – 9 000 ლარამდე გაზრდის შესაძლებლობა |
| კომენტარი |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*მოახდინოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების ინიცირება და 2022 წლიდან ვეტერანების მიმართ არსებული საშემოსავლო გადასახადის შეღავათი გაიზარდოს - 6 000 ლარამდე, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანთა მიმართ - 9 000 ლარამდე.*<br><br>რეკომენდაციის ფარგლებში, სახალხო დამცველის მიზანი იყო საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, ხოლო პარლამენტმა უწყებას დაავალა არა სახალხო დამცველის მიერ მოთხოვნილი ქმედების განხორციელება, არამედ ამ ქმედების განსახორციელებლად მისი მიზანშეწონილობის შესწავლა/გაანალიზება, რასაც შესაძლოა არც მოყვეს შედეგად ქმედების განხორციელება. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 1 | ქვეპუნქტი | „კ“ |

# 4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

## 4.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

| | |
|---|---|
| სრულად შესრულდა | 8 |
| ნაწილობრივ შესრულდა | 11 |
| არ არის შესრულებული | 28 |
| ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას | 5 |
| საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას | 17 |
| ჯამში | 69 |

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მონაცემების მიხედვით.




## 4.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების დეტალური შეფასება

| დავალება #1 | სრულად არის შესრულებული |
|---|---|
| „წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის“ მე-11 მუხლის შესაბამისად, გაასაჯაროოს საქართველოში წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული | |

| | | | |
|---|---|---|---|
| კომიტეტის 2021 წლის 17–24 მაისის საგანგებო ვიზიტის თაობაზე ანგარიში საქართველოს მთავრობისადმი. | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა აღნიშნული ანგარიში. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ა“ |

| | |
|---|---|
| დავალება #2 | არ არის შესრულებული |
| კანონმდებლობით განსაზღვროს პატიმრების განცალკევების მაქსიმალური ვადა, აგრეთვე განცალკევების ღონისძიების ამ ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომ, ამავე დროის ინტერვალით გადასინჯვის ვალდებულება. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში საქართველოს კანონმდებლობაში არ შესულა დავალებაში მითითებული ცვლილებები. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ბ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #3 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| პატიმრობის კოდექსზე მუშაობის პროცესში გამართოს მსჯელობა პენიტენციურ დაწესებულებაში დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსების, როგორც უკიდურესი ღონისძიების, გამოყენების თაობაზე. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსება შესაძლებელია გამოიყენებოდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ამ ღონისძიების გამოყენებისას დასაბუთდეს, თუ რატომ ჩაითვალა, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსება წარმოადგენს უალტერნატივო ღონისძიებას. ასევე, დებულებაში გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახის და სამარტოო (უსაფრთხო) საკნის გამოყენებამდე, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი* | |

| | | | |
|---|---|---|---|
| *საშუალებები, როგორიც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა*<br><br>რეკომენდაციის ფარგლებში, სახალხო დამცველის მიზანი იყო უწყებას უზრუნველეყო პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, თუმცა დავალება მხოლოდ საკითხზე მსჯელობით შემოიფარგლა. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „გ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #4 | არ არის შესრულებული |
| პატიმრობის კოდექსზე მუშაობის პროცესში მკაფიოდ განსაზღვროს პენიტენციურ დაწესებულებაში დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსებისას ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმისა და ამ დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომელთა ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობის ამოცანები. | |
| კომენტარი | |
| დავალებაში მითითებული საკითხი არ არის გათვალისწინებული არც პენიტენციური კოდექსის პროექტში და არც სხვა ნორმატიულ დონეზე. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „დ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #5 | არ არის შესრულებული |
| გააგრძელოს მუშაობა პენიტენციურ დაწესებულებებში დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში უსაფრთხო გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, კედლებისა და იატაკის რბილი მასალით მოპირკეთებით. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ გადადგმულა რაიმე ხელშესახები ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ე“ |

| | |
|---|---|
| დავალება #6 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| პენიტენციურ დაწესებულებაში დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალურ ვადად განსაზღვროს 48 საათი შემდგომ მისი დამატებით 24 საათით გაგრძელების შესაძლებლობით; თუ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ არ აღმოიფხვრება პატიმრის დეესკალაციის ოთახში ან სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსების საფუძველი, | |

| |
|---|
| პატიმარი ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების მისაღებად დაუყოვნებლივ გადაიყვანოს №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში ან სხვა, სამოქალაქო სექტორის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. |
| კომენტარი |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი და იმ შემთხვევაში, თუ 24 საათის შემდეგ არ აღმოიფხვრება დეესკალაციის ოთახსა ან სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსების საფუძველი, პატიმარი, ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების მისაღებად, დაუყოვნებლივ გადაიყვანონ №18 სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში ან სხვა სამოქალაქო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში*<br><br>დავალებაში, სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციისგან განსხვავებით, დეესკალაციის ოთახში მოთავსების საერთო ვადად განისაზღვრა 72 საათი ნაცვლად 24-ისა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ვ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #7 | არ არის შესრულებული |
| გააგრძელოს მუშაობა შემდეგ საკითხებზე კონტროლის გასაძლიერებლად:<br><br>- უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში ხანგრძლივად მოთავსების, მათ მიმართ ხელბორკილების გამოყენებისა და მათთვის ფსიქიატრიული დახმარების გაუწევლობის პრაქტიკის შესწავლა და შესაბამისი რეაგირება პატიმრებისადმი არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად;<br><br>- უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დასჯის მიზნით გადაყვანის პრაქტიკის შესწავლა და შესაბამისი რეაგირება პატიმრებისადმი არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის მიუხედავად, უწყებამ აპარატს არ წარმოუდგინა დავალებაში მითითებული შესწავლის შედეგები. დამატებით, აღსანიშნავია, რომ არც სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშშია ასახული რაიმე ინფორმაცია დეპარტამენტის მიერ დეესკალაციის | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში პატიმრების ხანგრძლივად მოთავსების, მათ მიმართ ხელბორკილების გამოყენებისა და მათთვის ფსიქიატრიული დახმარების გაუწევლობის არსებული პრაქტიკის შესწავლის შესახებ. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ზ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #8 | არ არის შესრულებული |
| პატიმრის სრული შემოწმებისას მისი სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნის ამკრძალავი ნორმა არსებული ფორმით გადაიტანოს პენიტენციური დაწესებულებების განახლებულ დებულებებში. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ შესულა რაიმე ცვლილება პენიტენციურ დაწესებულებათა დებულებებში დავალების შესრულების მიზნით. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „თ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #9 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად შეისწავლოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას მის მიერ ე.წ. ბუქნების გაკეთების სხვა ღონისძიებით ჩანაცვლების შესაძლებლობა. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით, გამოავლინოს და აღმოფხვრას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას ე.წ. „ბუქნების გაკეთების“ მოთხოვნის პრაქტიკა.*<br><br>სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიზანი იყო ე.წ. ბუქნების აღმოფხვრა, ხოლო პარლამენტის დავალება მხოლოდ საკითხის შესწავლას მოიცავს. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ი“ |

| | |
|---|---|
| დავალება #10 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |

შეისწავლოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელთა რაოდენობასთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკა და ამის საფუძველზე შეიმუშაოს საქართველოს პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომელთა რაოდენობის საერთაშორისო პრაქტიკით დადგენილ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმაში გაითვალისწინონ პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ ერთი თანამშრომელი;*

სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიზანია ყოველ 15 პატიმარზე პენიტენციური დაწესებულების 1 თანამშრომელის უზრუნველყოფა, ხოლო დავალება მხოლოდ საკითხის შესწავლას მოიცავს.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „კ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #11 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |

პენიტენციურ დაწესებულებებში გააძლიეროს პრევენციული ღონისძიებები კრიმინალური გავლენის თავიდან ასაცილებლად და იმსჯელოს აღნიშნული მიმართულებით სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობაზე.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის დასაძლევად, უზრუნველყოს კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგიის შემუშავება და მომზადებული დოკუმენტი*

*მიაწოდოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საკუთარი მოსაზრებების წარმოსადგენად*

სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიზანია შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და აპარატისთვის წარდგენა, ხოლო პარლამენტის დავალება მხოლოდ საკითხის შესახებ მსჯელობას მოიცავს.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ლ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #12 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |

გამართოს კონსულტაციები სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან და შესაბამისი საჭიროების გამოვლენისას შეიმუშაოს პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის მიმართ შესაძლო ძალადობის განხორციელების თაობაზე გონივრული ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ექიმის მიერ საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების გაგზავნის წესი და სამართლებრივად მოაწესრიგოს აღნიშნულ შემთხვევაში ექიმის მიერ საგამოძიებო ორგანოსთვის ამ წესის შესაბამისად მიმართვის ვალდებულების განსაზღვრის საკითხი.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს პენიტენციური დაწესებულების ექიმების ვალდებულება, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის სხეულის დაზიანების ყველა შემთხვევაში, შეაფასოს რამდენად შეესაბამება დაზიანება პატიმრის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას მისი წარმოშობის შესახებ და შესაბამის დოკუმენტში წერილობით მიუთითოს, გაუჩნდა თუ არა ეჭვი შესაძლო ძალადობაზე; ასევე, განისაზღვროს, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, ძალადობაზე ეჭვის გაჩენისას, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება.*

სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია მოითხოვს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღების გზით და კონკრეტულ მექანიზმს სთავაზობს უწყებას ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციისთვის, ხოლო დავალება მხოლოდ საკითხის შესახებ კონსულტაციების გამართვის ვალდებულებას მოიცავს.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „მ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #13 | არ არის შესრულებული |

ყველა ექიმისთვის, რომლებიც ახდენენ დაზიანების დოკუმენტირებას „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №663 ბრძანებით დამტკიცებული „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის“ შესაბამისად, გააგრძელოს დაზიანების დოკუმენტირებასა და ფოტოგადაღებაში ტრენინგის ჩატარება

**კომენტარი**

საანგარიშო პერიოდში შესაბამის ექიმებს დავალებაში მითითებულ საკითხზე ტრენინგი არ ჩატარებიათ.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ნ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #14 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |

უზრუნველყოს, რომ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან გამართოს კონსულტაციები შეტყობინების იმ შემთხვევაში გაგზავნის წესის შესახებ, როდესაც პენიტენციურ დაწესებულებაში მიღების ან ამ დაწესებულებიდან გაყვანისა და დაბრუნების დროს ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა სამედიცინო შემოწმებაზე უარი განაცხადა, თუმცა, მის სხეულზე არსებული ხილული დაზიანებების ან/და მისი ფსიქოემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, ექიმს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ძალადობის განხორციელების თაობაზე ეჭვი გაუჩნდა.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *შევიდეს ცვლილება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ წესში და განისაზღვროს ექიმის ვალდებულება, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას ან დაწესებულებიდან მისი გაყვანისა და დაბრუნების დროს,*

| |
|---|
| *ბრალდებული/მსჯავრდებული არ აცხადებს თანხმობას სამედიცინო შემოწმებაზე, თუმცა მის სხეულზე არსებული ხილული დაზიანებების ან/და მისი ფსიქოემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, ექიმს ძალადობაზე ეჭვი უჩნდება, აღწეროს ხილული დაზიანებები და შეტყობინება გაუგზავნოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს*<br><br>სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიზანი იყო მითითებულ ბრძანებაში კონკრეტული შინაარსის ცვლილებების შეტანა, ხოლო დავალება კი მხოლოდ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციების გავლას მოიცავს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ო“ |

| | |
|---|---|
| დავალება #15 | არ არის შესრულებული |
| დაიწყოს მუშაობა „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №663 ბრძანებით დამტკიცებულ „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესში“ შესატანი ცვლილების პროექტზე და მაქსიმალურად მოკლე ვადაში განახორციელოს აღნიშნული ცვლილება, რათა განისაზღვროს ექიმის ვალდებულება, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პენიტენციურ დაწესებულებაში მიღების ან ამ დაწესებულებიდან გაყვანისა და დაბრუნების დროს ბრალდებული/მსჯავრდებული სამედიცინო შემოწმებაზე თანხმობას არ აცხადებს და მას დაზიანება არ აღენიშნება, სამედიცინო შემოწმებაზე თანხმობის მისაღებად პატიმარს გონივრულ ვადაში განმეორებით შესთავაზოს სამედიცინო შემოწმების ჩატარება. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში დავალებაში მითითებულ ბრძანებაში არ შესულა აღნიშნული ცვლილება. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „პ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #16 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |

| |
|---|
| გააანალიზოს პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის პატიმრებთან შეხვედრისას მესამე პირების დასწრების შემთხვევაში მათი დასწრების მიზეზის წერილობით დასაბუთების საჭიროება. |
| კომენტარი |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*შევიდეს ცვლილება პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში და განისაზღვროს, რომ სამედიცინო პერსონალის პატიმრებთან შეხვედრისას მესამე პირის დასწრების შემთხვევაში, წერილობით დასაბუთდეს დასწრების მიზეზი;*<br><br>სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიზანი იყო პენიტენციურ დაწესებულებათა დებულებებში მითითებული შინაარსის ცვლილებების შეტანა, ხოლო დავალება მხოლოდ საკითხის გაანალიზებას მოითხოვს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჟ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #17 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან გამართოს კონსულტაციები სამედიცინო ნაწილში არსებული ვაკანტური ადგილების შევსების თაობაზე და აღნიშნული კონსულტაციების შედეგების მიხედვით ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადადგას. |
| კომენტარი |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*უმოკლეს ვადებში შეივსოს სამედიცინო ნაწილში არსებული ვაკანტური ადგილები*<br><br>სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია მკაფიოდ მიუთითებდა უწყებას უმოკლეს ვადებში ვაკანტური ადგილების შევსების თაობაზე. დავალება კი მხოლოდ საკითხზე კონსულტაციების გავლასა და მისი შედეგებიდან გამომდინარე ექიმების რაოდენობის შესაძლო გაზრდას მოიცავს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „რ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #18 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან გამართოს კონსულტაციები პენიტენციურ დაწესებულებებში ექთნების რაოდენობის გაზრდის თაობაზე და აღნიშნული კონსულტაციების შედეგების მიხედვით ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

*უზრუნველყოს დაწესებულებებში ექთნების რაოდენობის გაზრდა მინიმუმ ორჯერ;*

სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია მკაფიოდ მიუთითებდა უწყებას ექთნების რაოდენობის ზრდის თაობაზე. დავალება კი მხოლოდ საკითხზე კონსულტაციების გავლასა და მისი შედეგებიდან გამომდინარე ექთნების რაოდენობის შესაძლო გაზრდას მოიცავს.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ს“ |

| | |
|---|---|
| დავალება #19 | არ არის შესრულებული |

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ინფექციის კონტროლის ყველა ზომის დაცვით უზრუნველყოს გეგმური სამედიცინო რეფერალის დროულად განხორციელება.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად იკვეთება, რომ საანგარიშო პერიოდში კვლავ შენარჩუნდა სამედიცინო რეფერალის დაგვიანების შემთხვევები.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ტ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #20 | არ არის შესრულებული |

გააგრძელოს პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის უწყვეტი სამედიცინო განათლების ფარგლებში მისთვის პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების ჩატარება.

**კომენტარი**

| | | | |
|---|---|---|---|
| მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის განმავლობაში სხვადასხვა სასწავლო პროგრამით გადამზადდა 55 სამედიცინო პერსონალი, აღნიშნული საგანმანათლებლო ღონისძიებები მოიცავდა მხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხს და არ მოიცავდა პროფესიულ ტრენინგებსა და სწავლებებს. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „უ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #21 | არ არის შესრულებული |
| გააგრძელოს ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემაში (EHR) ინფორმაციის შეტანა, რაც ხელს შეუწყობს ინფორმაციის სისტემატიზებას. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ გადადგმულა ხელშესახები ნაბიჯი ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემაში (EHR) ინფორმაციის შეტანის მიზნით. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ფ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #22 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| გამართოს კონსულტაციები საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან და საქართველოს სახალხო დამცველთან შესაბამისი უწყებების მონაწილეობით, პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგის გაუმჯობესება-დახვეწის მიზნით. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*პენიტენციურ დაწესებულებებში შემუშავდეს და დაინერგოს პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგის ინსტრუმენტი*<br><br>სახალხო დამცველის რეკომენდაციაში მკაფიოდ არის მითითებული სკრინინგის ინსტრუმენტის შემუშავებისა და დანერგვის შესახებ, ხოლო დავალება მხოლოდ კონსულტაციების გამართვას მოიცავს აღნიშნულ საკითხზე. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ქ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #23 | სრულად არის შესრულებული |

| | | | |
|---|---|---|---|
| გააგრძელოს პენიტენციური დაწესებულებების პერსონალის გადამზადება ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის საკითხში. | | | |
| კომენტარი | | | |
| სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ საანგარიშო პერიოდში ფსიქიატრიული კრიზისის შემთხვევის მართვის საკითხებში სამედიცინო პერსონალის გადამზადებას. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ღ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #24 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| შეისწავლოს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტები და შესაბამისი საჭიროების გამოვლენისას შეიმუშაოს წინადადებები პაციენტებისთვის ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურის გასაუმჯობესებლად. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*პენიტენციური დაწესებულებების თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე ნორმატიულ დონეზე გაიწეროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა, გუნდის თითოეული წევრის ფუნქციები და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურა*<br><br>სახალხო დამცველის რეკომენდაცია მოითხოვს ნორმატიულ დონეზე მითითებული შინაარსის ცვლილებების შეტანას, როდესაც დავალება მხოლოდ აღნიშნული საკითხის შესწავლას ავალებს ადრესატ უწყებას და შედეგების შესაბამისად მოქმედებას. | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ყ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #25 | არ არის შესრულებული |
| გააგრძელოს მუშაობა ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ პაციენტთა საჭიროებების შესაფასებლად, რომელთაც სტაციონარული მკურნალობა არ სჭირდებათ, გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე ამ პაციენტებისთვის შეიმუშაოს ბიოფსიქოსოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმა და გაუწიოს მათ შესაბამისი დახმარება. | |

| კომენტარი | | | |
|---|---|---|---|
| გასული წლების მსგავსად, პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიატრიული დახმარება მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციითა და მედიკამენტური მკურნალობით შემოიფარგლება. აღნიშნული დახმარება არ მოიცავს ბიო-ფსიქო-სოციალურ ხასიათს. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „შ“ |

| დავალება #26 | დავალება არ არის შესრულებული |
|---|---|
| გააანალიზოს არსებული წესები პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის შესაძლებლობის გასაუმჯობესებლად, რათა ყველა პატიმრისთვის უფასოდ იყოს ხელმისაწვდომი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (ფურცელი, კალმისტარი, კონვერტი) და ისინი უზრუნველყოფილ იქნენ შესაძლებლობით, საკნებში იქონიონ გარკვეული რაოდენობის კონვერტები. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები განათავსოს იმგვარად, რომ კონვერტის მიღება არ იყოს დაწესებულების თანამშრომელზე დამოკიდებული და შეუძლებელი იყოს კონვერტის მიმღები პატიმრის ვინაობის დადგენა. ამასთანავე, ყველა პატიმრისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი იყოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (ფურცელი, კალამი, კონვერტი) და მიეცეთ შესაძლებლობა საკანში იქონიონ გარკვეული რაოდენობის კონვერტი*<br><br>პარლამენტმა დავალება მხოლოდ პატიმრისთვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების (ფურცელი, კალმისტარი, კონვერტი) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ნაწილში გაიზიარა. პარლამენტმა არ გაითვალისწინა უწყებისთვის დაევალებინა კონვერტების იმგვარად განთავსება, რომ მისი მიღება არ იყოს დაწესებულების თანამშრომელზე დამოკიდებული.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>საანგარიშო პერიოდში უწყებამ არ გადადგა ხელშესახები ნაბიჯი, რათა პატიმრებისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი გამხდარიყო საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის | |

| | | | |
|---|---|---|---|
| მიზნით მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (ფურცელი, კალმისტარი, კონვერტი) და მათთვის საკნებში მიეწოდებინა გარკვეული რაოდენობის კონვერტები. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჩ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #27 | არ არის შესრულებული |
| განახორციელოს საჩივრის ყუთების ვიდეომეთვალყურეობის არეალში მოქცევის საკითხის მონიტორინგი და უზრუნველყოს საჩივრის გამგზავნის ანონიმურობის დაცვა. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა, რომ გასული წლების მსგავსად, პატიმრის მიერ საჩივრის ყუთებით სარგებლობა კვლავ იძლევა მისი იდენტიფიცირების შესაძლებლობას სათვალთვალო კამერების საშუალებით. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ც“ |

| | |
|---|---|
| დავალება #28 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| უზრუნველყოს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა კიდევ ერთხელ შეისწავლოს №2, №3, №6 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის წესის შესაძლო დარღვევის შემთხვევები, საჩივრების შეტანის გამო პატიმრების მიმართ რეპრესიების განხორციელების სავარაუდო ფაქტები და უზრუნველყოს პასუხისმგებელ პირთა მიმართ შესაბამისი ზომების მიღება. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ საანგარიშო პერიოდში სამსახურეობრივი შემოწმებების ჩატარებას, რაც დასრულდა დისციპლინური გადაცდომის ფაქტის დადგენითა და შესაბამის თანამშრომელთათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებით. თუმცა, დანანებით უნდა ითქვას, რომ დავალებაში ხსენებულ დაწესებულებებში საჩივრების ცენზურის და პატიმრების რეპრესიების პრაქტიკა 2022 წელსაც შენარჩუნებულია. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ძ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #29 | არ არის შესრულებული |
| საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მისცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულებების კონცეფციის გაცნობისა და საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა | |

| | | | |
|---|---|---|---|
| კომენტარი | | | |
| სახალხო დამცველის აპარატს არ მიეცა აღნიშნული შესაძლებლობა. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „წ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #30 | ობიექტური გარემოების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
| წარმოადგინოს №17 პენიტენციურ დაწესებულებაში ე.წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლების გაუქმების გეგმა. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*№17 დაწესებულებაში გაუქმდეს ე.წ. „ბარაკის“ ტიპის საცხოვრებლები*<br><br>პარლამენტმა სამინისტროს დაავალა რეკომენდაციაში დასახელებული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით 3 წლიანი გეგმის წარმოდგენა.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია დავალებაში მითითებული გეგმის არსებობის შესახებ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ №17 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული ე.წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლები არ არის გაუქმებული. | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჭ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #31 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| პატიმრობის კოდექსზე მუშაობის პროცესში გაითვალისწინოს, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული თითოეული ბრალდებულისთვის გამოყოფილი იყოს 4 კვ. მ საცხოვრებელი ფართობი. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*პენიტენციურ დაწესებულებებში თითოეული პატიმრისთვის გამოყოფილი იყოს 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი;*<br><br>პარლამენტმა სამინისტროს დაავალა რეკომენდაციაში დასახელებული საკითხი გაითვალისწინოს პატიმრობის კოდექსზე მუშაობის პროცესში, ნაცვლად იმისა, რომ | |

| | | | |
|---|---|---|---|
| საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოს პატიმართათვის 4 კვ. მ საცხოვრებელი ფართის გამოყოფა.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>პენიტენციური კოდექსის პროექტის მიხედვით, გაიზრდება ერთ ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა და ის გაუთანაბრდება მსჯავრდებულთა საცხოვრებელ ფართს. კერძოდ, გახდება არანაკლებ 4 კვ. მეტრი. თუმცა, აღნიშნული ცვლილება 2026 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ხ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #32 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| გააგრძელოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიშებში აღწერილი, ფიზიკური გარემოს კუთხით არსებული ხარვეზების შემოწმება და შესაბამისი რეაგირება | |
| კომენტარი | |
| დადებითად შესაფასებელია ,,პენიტენციური კოდექსის“ პროექტი, რომლის მიხედვით იზრდება ერთ ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა და ის უთანაბრდება მსჯავრდებულთა საცხოვრებელ ფართს (არანაკლებ 4 კვ. მეტრი). თუმცა, გასული წლების მსგავსად, პატიმართა საცხოვრებელი პირობები არსებითად არც 2022 წელს შეცვლილა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჯ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #33 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| ინფექციის კონტროლის წესების მაქსიმალური დაცვით, ღონისძიებების განხორციელების ალტერნატიული შესაძლებლობების გამოყენებით გააგრძელოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ახალი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო ღონისძიებების დანერგვა და გაზარდოს ამ ღონისძიებებში მსჯავრდებულთა ჩართვის შესაძლებლობა | |
| კომენტარი | |
| საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით პენიტენციურ დაწესებულებებში გაზრდილია რესოციალიზაციის ღონისძიებების რაოდენობა, რაც მისასალმებელია, თუმცა, რესოციალიზაციის აქტივობების უმეტესობა კვლავ მხოლოდ N16 დაბალი რისკის დაწესებულებაში, N11 არასრუწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებასა და N5 ქალთა დაწესებულებაში მიმდინარეობდა. სხვა | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პენიტენციურ დაწესებულებებში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი არ დაფიქსირებულა. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #34 | ობიექტური გარემოების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
| დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პატიმრებისთვის სუფთა ჰაერზე 1 საათზე მეტი ხნით ყოფნის შესაძლებლობის მისაცემად წარმოადგინოს 3-წლიანი გეგმა. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს მიეცეთ 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა*<br><br>პარლამენტმა სამინისტროს დაავალა რეკომენდაციაში დასახელებული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით 3 წლიანი გეგმის წარმოდგენა.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას. | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[1]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #35 | არ არის შესრულებული |
| უზრუნველყოს №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პატიმრების მიერ დღის განრიგით გათვალისწინებულ დროს გასეირნების უფლებით სარგებლობა. | |
| კომენტარი | |
| N2 და N8 დაწესებულებებში მყოფი პატიმრები ხშირად უარს ამბობენ გასეირნებაზე, რადგან სასეირნოდ გასვლას დილით ადრე, 7–8 საათზე სთავაზობენ, მაშინ როცა ამ დროს გასეირნება დღის განრიგით გათვალისწინებული არ არის. | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[2]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #36 | ობიექტური გარემოების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |

| |
|---|
| შეისწავლოს პენიტენციურ დაწესებულებებში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობისა და პატიმართა რაოდენობის პროპორციულობის საკითხი და წარმოადგინოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის გაზრდის გეგმა. |
| კომენტარი |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის გაზრდით, უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის დაბალანსება პატიმართა რაოდენობასთან.*<br><br>პარლამენტმა სამინისტროს დაავალა რეკომენდაციაში დასახელებული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით გეგმის წარმოდგენა<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ3“ |

| | |
|---|---|
| დავალება #37 | სრულად არის შესრულებული |
| გააგრძელოს იმ სოციალური მუშაკების გადამზადება, რომელთაც არ აქვთ სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი. |
| კომენტარი |
| საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა იმ სოციალური მუშაკების გადამზადება, რომელთაც არ აქვთ სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი. აპარატის ხელთ არსებული ინფორმაციით, სოციალური მუშაკის შტატზე დასაქმებულ ყველა სპეციალისტს აქვს შესაბამისი განათლება სოციალურ მუშაობაში. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ4“ |

| | |
|---|---|
| დავალება #38 | არ არის შესრულებული |
| სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის გადაწყვეტისას |

| | | | |
|---|---|---|---|
| გასათვალისწინებელ ერთ-ერთ გარემოებად მიიჩნიოს პატიმრების სხვადასხვა სარეაბილიტაციო ღონისძიებაში ჩართვის ფაქტი. | | | |
| კომენტარი | | | |
| ამ ეტაპზე სამინისტროს არ შეუმუშავებია რაიმე მექანიზმი, რომელიც გაზრდის მსჯავრდებულების სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის მოტივაციას და გავლენას მოახდენს დარჩენილი სასჯელის პირობით ვადამდე განთავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ5“ |

| | |
|---|---|
| დავალება #39 | არ არის შესრულებული |
| 2022 წელს უზრუნველყოს №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა მსჯავრდებულებისგან იზოლირება, სულ მცირე ერთმანეთისგან განცალკევებულ საკნებში. | |
| კომენტარი | |
| №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში არ არის უზრუნველყოფილი ბრალდებულთა მსჯავრდებულებისგან იზოლირება, სულ მცირე ერთმანეთისგან განცალკევებულ საკნებში. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ6“ |

| | |
|---|---|
| დავალება #40 | არ არის შესრულებული |
| შეისწავლოს უცხოურენოვანი პატიმრებისთვის პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და მარეგულირებელი ნორმების შესახებ ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე ხელმისაწვდომობის საკითხი და ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს ზომები ამ პატიმრების თარჯიმნის მომსახურებით უზრუნველსაყოფად | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ გადადგმულა რაიმე ხელშესახები ნაბიჯი, რათა ყველა უცხოენოვანი პატიმარი უზრუნველყოფილი ყოფილიყო თარჯიმნის მომსახურებით. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ N6 პენიტენციური დაწესებულებაში მოთავსებული უცხოელი პატიმრებისთვის, თარჯიმანი არ არის ხელმისაწვდომი. შედეგად, ენის ბარიერი პრობლემებს ქმნის თანამშრომლებთან კომუნიკაციისას. უცხოელ პატიმრებს პერსონალთან კომუნიკაციის დროს ენის ბარიერი აგრეთვე წარმოექმნებათ N10 და N16 პენიტენციურ დაწესებულებებში. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ7“ |

| | |
|---|---|
| დავალება #41 | ნაწილობრივ არის შესრულებული |

| |
|---|
| პატიმართა საკნებში განთავსების დროს უზრუნველყოს მათი ენობრივი, რელიგიური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინება. |
| კომენტარი |
| სახალხო დამცველი დადებითად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ 2022 წელს განხორციელებული ვიზიტების დროს, უცხოელი პატიმრები ნაკლებად მიუთითებდნენ საკანში განთავსების პრობლემებზე. მათი უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ საკანში მათი განთავსებისას გაითვალისწინეს მათი სურვილი და საკანში ძირითადად მათ ენაზე მოსაუბრე პატიმრები იმყოფებიან. თუმცა მონიტორინგის დროს გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პატიმრები საკნებში განთავსების დროს არ არის გათვალისწინებული ენობრივი თავისებურებები. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[8]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #42 | არ არის შესრულებული |
| გააგრძელოს მუშაობა ქალი პატიმრების უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის, უზრუნველყოს მათ მიერ კომპიუტერით სარგებლობა, მათი სატელეფონო საუბრების კონფიდენციალურობა და საცხოვრებელი კორპუსების ეზოს გარე კედლებზე დამონტაჟებული ტელეფონის აპარატების კაბინებში განთავსება, სამედიცინო ნაწილის საშხაპეების გვერდით არსებულ პალატებში საჭირო სარემონტო სამუშაოების ჩატარება და პოსტოპერაციული პალატის პოსტოპერაციული პაციენტებისთვის ადაპტირება, აგრეთვე დედათა და ბავშვთა განყოფილებაში მოთავსებული პირებისთვის უზრუნველყოს მომვლელით სარგებლობის შესაძლებლობა. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება ფაქტს, რომ სამინისტრო 2023 წელს გეგმავს №5 პენიტენციური დაწესებულების საცხოვრებელი კორპუსების ტერიტორიაზე სატელეფონო კაბინების მოწყობას და დაწესებულების სამედიცინო ნაწილის საშხაპეების მიმდებარე პალატების სარემონტო სამუშაოებს, თუმცა საანგარიშო პერიოდში დავალების შესრულების მიზნით არ გადადგმულა ნაბიჯები. N5 პენიტენციური დაწესებულების „C“ და „D“ კორპუსების ტერიტორიისგან განსხვავებით, „A“ კორპუსში ისევ არ არის განთავსებული კომპიუტერები, რაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ პატიმრებს თავიანთ კორპუსშიც შეეძლოთ სხვადასხვა სასწავლო, შემეცნებითი თუ გასართობი პროგრამით სარგებლობა. აგრეთვე, მოუგვარებელ პრობლემად რჩება პოსტოპერაციული პალატის პოსტოპერაციული პაციენტებისთვის ადაპტირება და დედათა და ბავშვთა განყოფილებაში ბავშვთა მომვლელების არ არსებობის გამო, დედები ვერ ერთვებიან სარეაბილიტაციო პროგრამებში, რადგან არ ჰყავთ ბავშვის დამტოვებელი/მომვლელი. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[9]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #43 | არ არის შესრულებული |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიმუშაოს პენიტენციური ჯანდაცვის აღნიშნული სამინისტროს სისტემაში სრულად ინტეგრირების გეგმა. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა გეგმა პენიტენციური ჯანდაცვის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში სრულად ინტეგრირების მიზნით. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[10]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #44 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| გამართოს მსჯელობა „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესით“ დადგენილი შეფასების კრიტერიუმებისთვის ახალი კრიტერიუმების დამატების თაობაზე. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*შევიდეს ცვლილება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებაში და დადგენილი შეფასების კრიტერიუმებს დაემატოს ისეთი ელემენტები, რომლებიც მიემართება მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებს და სხვა საკითხებს;*<br><br>სახალხო დამცველის რეკომენდაციისგან განსხვავებით, პარლამენტის დავალება მხოლოდ მითითებულ ბრძანებაში ცვლილებებზე მსჯელობის გამართვას მოიცავს. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[11]“ |

| დავალება #45 | სრულად არის შესრულებული |
|---|---|
| გამართოს კონსულტაციები საქართველოს პარლამენტისა და ყველა შესაბამისი უწყების მონაწილეობით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 1 ივლისის №02ს-№010 ერთობლივი საიდუმლო ბრძანების განსაიდუმლოების საკითხის შესასწავლად. | |
| კომენტარი | |
| სამინისტროში საკითხის შესასწავლად გაიმართა კონსულტაციები. | |

| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[12]“ |
|---|---|---|---|

| დავალება #46 | ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
|---|---|
| გააგრძელოს პენიტენციურ დაწესებულებათა ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ამ დაწესებულებებში დისტანციური წესით გასამართ სასამართლო სხდომებზე ბრალდებულთა ჩართვის უზრუნველსაყოფად სპეციალური ოთახებისა და კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობის გაზრდის მიზნით. | |
| კომენტარი | |
| ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული პანდემიური მდგომარეობისა და შემოღებული რეგულაციების შემსუბუქების/გაუქმების პარალელურად, დისტანციური წესით გასამართი სასამართლო სხდომების საჭიროებამ არსებითად იკლო. შესაბამისად, რეკომენდაციამ დაკარგა რელევანტურობა. | |

| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[13]“ |
|---|---|---|---|

| დავალება #47 | არ არის შესრულებული |
|---|---|
| გააგრძელოს მუშაობა, რათა უცხოელმა პატიმრებმა და მოქალაქეობის არმქონე პირებმა, აგრეთვე საქართველოს იმ მოქალაქეებმა, რომელთა ოჯახებიც ქვეყნის ფარგლების გარეთ ცხოვრობენ, შეძლონ საერთაშორისო ზარების შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად განხორციელება. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ გადადგმულა რაიმე ნაბიჯი, რათა უცხოელ პატიმრებს, აგრეთვე საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთა ოჯახი ქვეყნის ფარგლების გარეთ ცხოვრობს, შეძლონ საერთაშორისო ზარების შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად განხორციელება. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[14]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #48 | ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
| გააგრძელოს ზომების მიღება, რათა უცხოელ პატიმრებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, აგრეთვე საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთა ოჯახებიც ქვეყნის ფარგლების გარეთ ცხოვრობენ, ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პერიოდში ყოველთვიურად გამოეყოთ უფასო სასაუბრო დრო საერთაშორისო ზარების განსახორციელებლად. | |
| კომენტარი | |
| ეპიდემიური გარემოებების ცვლილების გამო დავალებამ დაკარგა რელევანტურობა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[15]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #49 | არ არის შესრულებული |
| გააგრძელოს ზომების მიღება, რათა ყველა უცხოურენოვანი პატიმარი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნეს თარჯიმნის მომსახურებით, მათ შორის, ამ პატიმრებს მათთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და მარეგულირებელი ნორმების შესახებ. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ გადადგმულა რაიმე ხელშესახები ნაბიჯი, რათა ყველა უცხოენოვანი პატიმარი უზრუნველყოფილი ყოფილიყო თარჯიმნის მომსახურებით. ასევე, პრობლემური იყო მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდება პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და მარეგულირებელი ნორმების შესახებ. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ N6 პენიტენციური დაწესებულებაში მოთავსებული უცხოელი პატიმრებისთვის, თარჯიმანი არ არის ხელმისაწვდომი. შედეგად, ენის ბარიერი უცხოელ პატიმრებს პრობლემებს უქმნის თანამშრომლებთან კომუნიკაციისას. მათ პერსონალთან კომუნიკაციის დროს ენის ბარიერი აგრეთვე წარმოექმნებათ N10 და N16 პენიტენციურ დაწესებულებებში. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[16]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #50 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| შეისწავლოს საერთაშორისო ზარების განხორციელების პრაქტიკა და ამ ზარების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სიხშირითა და ხანგრძლივობით | |

| |
|---|
| განხორციელების კუთხით ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები |
| **კომენტარი** |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*გაუქმდეს საერთაშორისო ზარისთვის გამოყოფილი დღეები და საერთაშორისო ზარის განხორციელება შესაძლებელი გახდეს ყოველდღე, კანონმდებლობით დადგენილი სიხშირით და ხანგრძლივობით;*<br><br>სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიზანი იყო საერთაშორისო ზარისთვის გამოყოფილი დღეების გაუქმება, ხოლო დავალება კი აღნიშნული საკითხის შესწავლასა და შემდგომ შესაძლო რეაგირებას მოიცავს მხოლოდ. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[17]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #51 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| შეისწავლოს ვიდეოპაემნის იმგვარად განხორციელების შესაძლებლობა, რომ პატიმრის ოჯახის წევრის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რომელიმე ტერიტორიულ ორგანოში გამოცხადება სავალდებულო არ იყოს. | |
| **კომენტარი** | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*2022 წელს უზრუნველყოს ვიდეოპაემნის მოქმედ წესში ცვლილებების შეტანა, იმგვარად, რომ პატიმრის ოჯახის წევრს აღარ უწევდეს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რომელიმე ტერიტორიულ ერთეულში გამოცხადება და დაიწყოს მუშაობა ისეთი უსაფრთხო აპლიკაციის შექმნაზე, რომლითაც გამარტივდება ვიდეოპაემნების განხორციელება;*<br><br>სახალხო დამცველის მიზანი იყო რეკომენდაციაში დასახელებული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით ვიდეოპაემნის მოქმედ წესში ცვლილებების შეტანა. სამწუხაროდ, პარლამენტმა დავალებით მხოლოდ საკითხის შესწავლა მოითხოვა უწყებისგან. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[18]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #52 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| გააგრძელოს №3, №6, №10 და №18 პენიტენციური დაწესებულებების ვიდეოპაემნის განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით აღჭურვა და აღნიშნული პროცესი 1 წლის ვადაში დაასრულოს, ხოლო იმ პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც ასეთი ინფრასტრუქტურა არსებობს, შეისწავლოს მისი სრულყოფის საჭიროება და ამ საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*2022 წელს, №2, №3, №6, №10, №12 და №18 პენიტენციური დაწესებულებები პრიორიტეტულად აღიჭურვოს ვიდეოპაემნისათვის აუცილებელი ინფრასტუქტურით;*<br><br>დავალებაში, რეკომენდაციისგან განსხვავებით, არ არის მითითებული *№2 და №12* პენიტენციური დაწესებულებები.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>საანგარიშო პერიოდში ვიდეოპაემნის განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით აღიჭურვა მხოლოდ №10 პენიტენციური დაწესებულება. სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ ნაბიჯს და იმედოვნებს, რომ პროცესი 2023 წელს გაგრძელდება სხვა დაწესებულებებთან მიმართებით. | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[19]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #53 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| 2022 წელს ახალი კორონავირუსით გამოწვეულ პანდემიასთან დაკავშირებული განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში განიხილოს პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის საკომპენსაციოდ დამატებითი ზომების მიღების შესაძლებლობა. | |
| კომენტარი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*2022 წელს, პანდემიასთან დაკავშირებული განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში, მიიღოს დამატებითი ზომები პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის საკომპენსაციოდ;*<br><br>დავალებით, რეკომენდაციისგან განსხვავებით, მითითებულია არა უშუალოდ დამატებითი ზომების მიღების აუცილებლობაზე, არამედ უწყებას ევალება მხოლოდ განხილვა, თუ რამდენად შესაძლებელია პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის საკომპენსაციოდ დამატებითი ზომების მიღება.<br><br>ხაზგასასმელია, რომ სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წელს მიღებულ ამნისტიის კანონს, რომლითაც პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პირებს, ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის საფუძველზე დაწესებული შეზღუდვების კომპენსაციის მიზნით, შეუმცირდათ სასჯელის/პატიმრობის ვადა. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[20]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #54 | არ არის შესრულებული |
| უზრუნველყოს, რომ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა შეისწავლოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სატელეფონო ზარის განხორციელების უფლების სრულყოფილად გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტსა და საქართველოს სახალხო დამცველს. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის მიუხედავად, უწყებამ აპარატს არ წარმოუდგინა დავალებაში მითითებული შესწავლის შედეგები. დამატებით, აღსანიშნავია, რომ არც სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშშია ასახული რაიმე ინფორმაცია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მხრიდან სატელეფონო ზარის განხორციელების უფლების სრულყოფილად გამოყენებასთან დაკავშირებული არსებული პრობლემების შესწავლის შესახებ. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[21]“ |

| დავალება #55 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
|---|---|
| უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პერიოდში პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შესანარჩუნებლად განიხილოს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის საჭიროება. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პერიოდში უზრუნველყოს პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნება და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები დაწესებულებების დებულებებში;*<br><br>სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიზანი იყო პენიტენციურ დაწესებულებათა დებულებებში ცვლილებების შეტანა უსაფრთხოების ღონისძიების გამოყენების პერიოდში პატიმართა გარე სამყაროსთვის კონტაქტის შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით. პარლამენტმა კი დავალებით დებულებებში ცვლილებების შეტანის საჭიროებაზე მსჯელობა დაავალა უწყებას. | |

| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[22]“ |
|---|---|---|---|

| დავალება #56 | არ არის შესრულებული |
|---|---|
| გააგრძელოს მუშაობა ბრალდებულის სატელეფონო ბარათის მაქსიმალურად მოკლე ვადაში დასამზადებლად. | |
| კომენტარი | |
| პენიტენციურ სისტემაში კვლავ პრობლემად რჩება ბრალდებულთათვის სატელეფონო ბარათების უმოკლეს დროში გადაცემის პრობლემა. ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში არ გადადგმულა რაიმე ხელშესახები ნაბიჯი. | |

| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[23]“ |
|---|---|---|---|

| დავალება #57 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
|---|---|
| უზრუნველყოს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების გზით შეისწავლოს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტები, აწარმოოს | |

| |
|---|
| გამოვლენილი დარღვევების შესახებ სტატისტიკა და უზრუნველყოს აღნიშნული უფლების დარღვევისთვის პასუხისმგებელ პირთა სათანადოდ დასჯა. |
| **კომენტარი** |
| სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ რეკომენდაციის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში სისტემური მონიტორინგის ჩატარებას, თუმცა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგებიდან ირკვევა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმოწერის საჩივრების ცენზურის და პატიმრების რეპრესიების პრაქტიკა კვლავ შენარჩუნებულია. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[24]“ |

| | |
|---|---|
| **დავალება #58** | **ნაწილობრივ არის შესრულებული** |
| დახვეწოს სოციალური მუშაკის მიერ ღია წერილის მიღების/ჩაბარების არსებული პრაქტიკა პატიმრის მიერ კორესპონდენციის გაგზავნის ფაქტის დადასტურების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. | |
| **კომენტარი** | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*მიიღოს ყველა ზომა, რათა სოციალური მუშაკის მიერ ღია წერილის მიღება/ჩაბარების დროს ორ ეგზემპლარად შედგეს დოკუმენტი, რომელიც დადასტურებული იქნება ბეჭდით და რომელშიც პატიმრის თანდასწრებით შევა შემდეგი ინფორმაცია: ა) წერილის ავტორის სახელი და გვარი; ბ) წერილის მიმღები სოციალური მუშაკის სახელი და გვარი; გ) წერილის ჩაბარების თარიღი; დ) წერილის ადრესატი; ე) ფურცლების რაოდენობა. ორივე ფურცელზე ხელი უნდა მოაწერონ პატიმარმა და სოციალურმა მუშაკმა, შევსებული ერთი ფურცელი გადაეცეს პატიმარს, ხოლო მეორე დარჩეს სოციალურ მუშაკს.*<br><br>სახალხო დამცველის რეკომენდაცია დეტალურად განსაზღვრავდა სოციალური მუშაკის მიერ ღია წერილის მიღება/ჩაბარების პროცესის დოკუმენტირების პროცესს. პარლამენტის დავალება კი მხოლოდ ზოგადი მითითებით შემოიფარგლა.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u> |

| | | | |
|---|---|---|---|
| სახალხო დამცველი მიესალმება შემთხვევის ადმინისტრატორის მიერ ბრალდებულის ანდა მსჯავრდებულისაგან წერილის მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი ფორმის პირველადი ვერსიის შემუშავებას და იმედოვნებს, რომ აღნიშნული მალე დამტკიცდება. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[25]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #59 | არ არის შესრულებული |
| გააგრძელოს მუშაობა ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ისეთი სატელეფონო კაბინების (ხმის იზოლაციით) მოსაწყობად, სადაც შესაძლებელი იქნება სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურ გარემოში წარმართვა, და ამ მიზნით შეიმუშაოს 2022 წლის განმავლობაში ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების გეგმა, რომელშიც დეტალურად აღიწერება, რომელ დაწესებულებაში როდის რა სამუშაო ჩატარდება. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ გადადგმულა რაიმე ნაბიჯი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა სატელეფონო საუბრების კონფიდენციალურ გარემოში წარმართვა. პენიტენციურ დაწესებულებათა ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ ტელეფონის აპარატები განთავსებულია ან სამორიგეოში, ან კაბინაში, რომელსაც არ აქვს ხმის იზოლაცია და პატიმრების საუბარი კაბინის გარეთაც ისმის. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[26]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #60 | სრულად არის შესრულებული |
| 2022 წელს სიღრმისეულად შეისწავლოს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურული რესურსი და, მსჯავრდებულთა რელიგიური საჭიროებების გათვალისწინებით, უზრუნველყოს არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის პატიმართათვის სალოცავი სივრცეების გამოყოფა. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში N15 პენიტენციურ დაწესებულებაში გამოიყო არადომინანტური რელიგიური აღმსარებლობის პირთათვის სალოცავი სივრცე. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[27]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #61 | სრულად არის შესრულებული |
| რელიგიური უმცირესობების ძირითადი დღესასწაულების დროს, მართლმადიდებლური დღესასწაულების მსგავსად, პენიტენციურ დაწესებულებებში ამანათების მიღების | |

| |
|---|
| პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით გააგრძელოს საზოგადოებისთვის ინფორმაციის საჯარო განცხადების სახით მიწოდების პრაქტიკა. |
| კომენტარი |
| საანგარიშო პერიოდში უწყებამ უზრუნველყო რელიგიური უმცირესობების ძირითადი დღესასწაულების დროს, მართლმადიდებლური დღესასწაულების მსგავსად, პენიტენციურ დაწესებულებებში ამანათების მიღების პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება საჯარო განცხადების სახით. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[28]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #62 | არ არის შესრულებული |
| დამატებით შეისწავლოს პენიტენციურ დაწესებულებებში საკვების მომზადების დროს სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა საჭიროებების გათვალისწინების საკითხი და შესწავლის შედეგების მიხედვით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები |
| კომენტარი |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*პენიტენციურ დაწესებულებებში საკვების მომზადების დროს გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა საჭიროებები.*<br><br>რეკომენდაციისგან განსხვავებით, პარლამენტის მიერ გაცემული დავალება საკითხის ხელახალ შესწავლასა და მისი შედეგების მიხედვით რეაგირებას მოითხოვს.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ საკვების მომზადებისას არ ხდება ეთნიკური და რელიგიური საჭიროებების გათვალისწინება (მაგალითად, ჰალალის წესით დამზადებული ხორცპროდუქტები). |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[29]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #63 | სრულად არის შესრულებული |
| უზრუნველყოს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა გააკონტროლოს და აღმოფხვრას ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება და კოლექტიური დასჯის |

| |
|---|
| პრაქტიკა; მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს. |
| კომენტარი |
| უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ არასაწესდებო სასჯელისა და კოლექტიური დასჯის პრაქტიკის გამოყენების პრაქტიკის გამოყენებაზე კონტროლი. ასევე, სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დროს, ვადიან სამხედრო მოსამსახურეებთან შემდგარი გასაუბრების შედეგების მიხედვით, წინა წლებისგან განსხვავებით, კოლექტიური ან არაფორმალური დასჯის შემთხვევებზე ინფორმაცია არ დაფიქსირებულა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[30]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #64 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| სპეციალური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის სამმართველოების განყოფილებებში (გარდა №17 განყოფილებისა) ჩარიცხულ სამხედრო მოსამსახურეებს დამატებით აუნაზღაუროს კვებისა და ტრანსპორტირებისთვის საჭირო თანხები. |
| კომენტარი |
| პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის განყოფილებებში ჩარიცხული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები, სადღეღამისო განწესში ყოფნის დროს უზრუნველყოფილი არიან სამჯერადი კვებით. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება სამხედრო მოსამსახურეთა ტრანსპორტირებისთვის საჭირო თანხებით უზრუნველყოფა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[31]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #65 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შესამცირებლად და მათი უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წინაშე აღებულ ვალდებულებათა შესრულება |
| კომენტარი |
| მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის განახევრებულია მოქალაქეობის მოპოვებისთვის დადგენილი საქართველოში ცხოვრების 10 წლიანი ვადა, თუმცა მოქალაქეობის არმქონე |

| | | | |
|---|---|---|---|
| სტატუსის მაძიებელ პირებს ისევ არ აქვთ კანონით გარანტირებული უფასო იურიდიული დახმარება. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[32]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #66 | არ არის შესრულებული |
| მსჯავრდებულებისთვის გააგრძელოს ძალადობრივი ქცევის კორექციის სავალდებულო პროგრამების განხორციელება, ხოლო იმ მოძალადეებისთვის, რომელთა მიმართაც გამოცემულია დამცავი ორდერი, შეიმუშაოს ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამები. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ გადადგმულა რაიმე ხელშესახები ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[33]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #67 | სრულად არის შესრულებული |
| ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად და მათ პროაქტიულად გამოსავლენად დაგეგმოს ცნობიერების ამაღლების კამპანიები | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ არაერთ აქტივობას ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების განხორციელებას. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[34]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #68 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| რატიფიცირების მიზნით საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის კონვენცია „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ“ | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში აღნიშნული კონვენციის რატიფიცირების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს. აღსანიშნავია, რომ საკითხის მომზადებასთან დაკავშირებით სამუშაოებში ჩართული იყო სახალხო დამცველის აპარატი. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| თუმცა, ამ ეტაპზე უწყებას არ მიუმართავს მთავრობისთვის კონვენციის პარლამენტში წარდგენის მიზნით. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[35]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #69 | არ არის შესრულებული |
| ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად განახორციელოს საინფორმაციო კამპანიები ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად და მათდამი სტერეოტიპული დამოკიდებულების დასაძლევად. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა დავალებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებული სათანადო საინფორმაციო კამპანიები. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 2 | ქვეპუნქტი | „ჰ[36]“ |

# 5. საქართველოს პროკურატურა

## 5.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს პროკურატურის მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

| | |
|---|---|
| სრულად შესრულდა | 2 |
| არ არის შესრულებული | 1 |
| ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას | 2 |
| საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას | 2 |
| ჯამში | 7 |

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს პროკურატურის მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მონაცემების მიხედვით.




5.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების დეტალური შეფასება

| დავალება #1 | ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
|---|---|
| ქალაქ თბილისში, ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვანთა მკვლელობის საქმის გამოძიების დროს დადგენილი ხარვეზების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების დასრულების შემდეგ შემოწმების შედეგები აცნობოს საზოგადოებას, ამასთანავე, შემოწმების დასრულების შემდეგ შემოწმების მასალები კანონით განსაზღვრული წესით გააცნოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს და შემოწმების შედეგების საფუძველზე იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. | |
| **კომენტარი** | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარ2იშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვანთა მკვლელობის გამოძიებაში დადგენილი ხარვეზების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგები პერიოდულად მიაწოდოს საზოგადოებას, შემოწმების მასალები კი, გააცნოს სახალხო დამცველის აპარატს; სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საფუძველზე, იმსჯელოს სამსახურებრივი გულგრილობის ან უფლებამოსილების გადამეტების მუხლებით გამოძიების დაწყების მიზანშეწონილობაზე;* | |

პარლამენტის დავალებაში სახალხო დამცველის მიერ შემოწმების შედეგების გაცნობა მხოლოდ შემოწმების დასრულების შემდგომ არის განსაზღვრული, როდესაც სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიზანი შემოწმების მიმდინარეობის დროს აპარატისთვის ინფორმაციის მიწოდებაა. აგრეთვე, დავალებაში არ არის მითითება სამსახურეობრივი გულგრილობის ან უფლებამოსილების გადამეტების მუხლებით გამოძიების დაწყების მიზანშეწონილობაზე.

<u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u>

უწყების ცნობით, პროკურატურაში დღემდე არ დასრულებულა დავალებაში მითითებულ საკითხზე მიმდინარე სამსახურეობრივი შემოწმება. შესაბამისად, ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 3 | ქვეპუნქტი | „ა“ |

| | |
|---|---|
| დავალება #2 | არ არის შესრულებული |

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში (ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს) ასახოს ინფორმაცია სიცოცხლის უფლების ხელყოფის აღკვეთის მიზნით წარმოებული სისხლის სამართლის პოლიტიკის თაობაზე.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ ანგარიშში, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა წარმოადგინოს ინფორმაცია სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიების ეფექტიანობის თაობაზე;*

სახალხო დამცველის რეკომენდაცია, დავალებისგან განსხვავებით, უწყებისგან მოითხოვდა ინფორმაციის წარმოდგენას არა მხოლოდ სიცოცხლის უფლების ხელყოფის აღკვეთის მიზნით გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის თაობაზე, არამედ უკვე ჩადენილი დანაშაულების ფაქტებზე წარმოებული გამოძიების ეფექტიანობის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენასაც.

| | | | |
|---|---|---|---|
| <u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ანგარიში არ შეიცავს სიცოცხლის უფლების ხელყოფის საქმეების გამოძიების ეფექტიანობის თაობაზე ინფორმაციას. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 3 | ქვეპუნქტი | „გ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #3 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| სიცოცხლის უფლების ხელყოფის საქმეების გამოძიების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესახებ. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიების ფარგლებში, მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესახებ, შესაბამისი თარიღების მითითებით*<br><br>მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგებით, სახალხო დამცველს სიცოცხლის უფლების ხელყოფის საქმეთა გამოძიების მიმდინარეობის ეტაპზე არ აქვს საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა. საქართველოს პარლამენტის დავალებით გენერალურ პროკურატურას დაევალა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“, თუმცა, როგორც აღინიშნა, საპარლამენტო დავალების შესრულება სწორედ, რომ მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინებით არის შეუძლებელი. | |
| დადგენილების პუნქტი | 3 | ქვეპუნქტი | „გ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #4 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |

| |
|---|
| არსებითად ახალი გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში საზოგადოებას აცნობოს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამომწვევ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, თუ ამით არ დაზარალდება გამოძიების ინტერესები და საფრთხე არ შეექმნება მტკიცებულებათა მოპოვების პროცესს. |
| კომენტარი |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, აცნობოს საზოგადოებას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საქმეებზე დაწყებული გამოძიებების მიმდინარეობის შესახებ.*<br><br>სახალხო დამცველის მიზანი იყო საზოგადოების პერიოდული ინფორმირება ზემოაღნიშნულ საქმეებზე დაწყებული გამოძიების მიმდინარეობის და პროგრესის შესახებ, თუმცა საქართველოს პარლამენტმა რეკომენდაციის ტექსტიდან დროითი შეფასების ინდიკატორი ჩაანაცვლა „არსებითად ახალი გარემოებების“ აღმოჩენაზე მითითებით. აღსანიშნავია, რომ ტერმინ, „არსებითად ახალ გარემოებას’ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 3 | ქვეპუნქტი | „დ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #5 | სრულად არის შესრულებული |
| საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს გენერალურ პროკურატურაში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების საქმიანობის ანგარიშები. |
| კომენტარი |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*შემუშავდეს და საჯაროდ მისაწვდომი გახდეს ანგარიში გენერალურ პროკურატურაში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მუშაობის ეფექტიანობის თაობაზე.*<br><br>პარლამენტმა დავალების ტექსტიდან ამოიღო „მუშაობის ეფექტიანობის თაობაზე“ ანგარიში. აღნიშნული ჩანაცვლდა მხოლოდ „საქმიანობის ანგარიშით“. მართალია, საქმიანობის ანგარიში შესაძლოა მოიცავდეს ისეთ სტატისტიკურ მონაცემებს, რაზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ვიმსჯელოთ რამდენად ეფექტიანია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მუშაობა, თუმცა საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ |

| | | | |
|---|---|---|---|
| ანგარიში მოიცავს არა მხოლოდ საქმიანობის ზოგად მონაცემებს, არამედ ამ მონაცემების ანალიზს, მათ შორის საქმიანობაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და მათი გადალახვის საჭიროებაზე მსჯელობას და სხვა. დავალების ტექსტი კი არ ავალდებულებს უწყებას ამ სახის ანგარიშის წარმოდგენას. გამომდინარე აქედან, დავალების შესრულების შედეგად, სახალხო დამცველის მიზანი ნაწილობრივ იქნება მიღწეული.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>უწყებამ საანგარიშო პერიოდში გამოაქვეყნა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საქმიანობის ანგარიში. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 3 | ქვეპუნქტი | „ე“ |

| | |
|---|---|
| დავალება #6 | ობიექტური გარემოების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
| განაგრძოს 2021 წელს საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა ძალადობრივი ქმედებისა და ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტის მიმართ ეფექტიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოება და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოებული სისხლის სამართლის პოლიტიკის თაობაზე | |
| კომენტარი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 3 | ქვეპუნქტი | „ვ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #7 | სრულად არის შესრულებული |
| საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია 2021 წელს საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ყველა ძალადობრივი ქმედებისა და ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის ფაქტის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის პოლიტიკის თაობაზე. | |
| კომენტარი | |
| უწყებამ საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა დავალებაში მითითებული ინფორმაცია. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 3 | ქვეპუნქტი | „ზ“ |

# 6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

## 6.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

| | |
|---|---|
| სრულად შესრულდა | 12 |
| ნაწილობრივ შესრულდა | 11 |
| არ არის შესრულებული | 7 |
| ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას | 3 |
| საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას | 4 |
| უწყებების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა | 1 |
| ჯამში | 38 |

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მიხედვით.




## 6.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების დეტალური შეფასება

| | |
|---|---|
| დავალება #1 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |

უზრუნველყოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეისწავლოს დაკავებული პირის მიერ ოჯახისთვის ან ადვოკატისთვის შეტყობინების მოთხოვნის სათანადოდ დოკუმენტირების პრაქტიკა.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *პოლიციის დაწესებულებებში განხორციელდეს დაკავებული პირის მხრიდან ოჯახის ან ადვოკატის შეტყობინების მოთხოვნის სათანადო დოკუმენტირება შესაბამისი რეესტრების წარმოების გზით;*

სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიზანი იყო სახელმწიფოს უზრუნველეყო დაკავებული პირის მხრიდან ოჯახის ან ადვოკატის შეტყობინების მოთხოვნის სათანადო დოკუმენტირება შესაბამისი რეესტრების წარმოების გზით. პარლამენტის მიერ გაცემული დავალება კი მხოლოდ დასახელებული საკითხის შესწავლას მოიცავს.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ა“ |

| | |
|---|---|
| დავალება #2 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |

შეისწავლოს პოლიციის დაწესებულებაში ჩასატარებელი დაკავებული პირისა და ადვოკატის შეხვედრის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა/გამოცდილება.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *უზრუნველყოს პოლიციის დაწესებულებაში დაკავებული პირისა და ადვოკატის კონფიდენციალური შეხვედრა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნით;*

სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიზანი იყო სახელმწიფოს უზრუნველეყო დაწესებულებაში დაკავებული პირისა და ადვოკატის კონფიდენციალური შეხვედრა,

| | | | |
|---|---|---|---|
| საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნით. პარლამენტის მიერ გაცემული დავალება კი მხოლოდ საკითხის შესწავლას მოიცავს. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ბ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #3 | არ არის შესრულებული |
| 2022 წელს გაზარდოს იმ დროებითი მოთავსების იზოლატორების რაოდენობა, რომლებშიც სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს. | |
| კომენტარი | |
| 2022 წელს იმ იზოლატორთა რაოდენობა არ გაზრდილა, სადაც სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს და საერთო ჯამში კვლავ 21-ს შეადგენს. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „გ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #4 | სრულად არის შესრულებული |
| დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებულ ექიმებს ჩაუტაროს ტრენინგები ასეთ იზოლატორში მოთავსებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღების ინსტრუქციისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის წესის შესახებ. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებამ დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებული ექიმები გადაამზადა პატიმართა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგრაფირებისა და ფოტომასალის შენახვის წესის შესახებ. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „დ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #5 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| იმ დროებითი მოთავსების იზოლატორებში, რომლებშიც სამედიცინო პუნქტი ფუნქციონირებს, უზრუნველყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების მიერ შედგენილი ოქმების მხოლოდ დროებითი მოთავსების იზოლატორების ექიმებთან შენახვა. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების მიერ შედგენილი ოქმების დროებითი მოთავსების იზოლატორების ექიმებთან შენახვის პრაქტიკის დანერგვას. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმის მიერ ოქმის შედგენის მომენტში დროებითი მოთავსების იზოლატორში | |

| | | | |
|---|---|---|---|
| არ იმყოფება იზოლატორის ექიმი, ოქმები კვლავ იზოლატორის თანამშრომლებს გადაეცემათ, სანამ მას ექიმი შეინახავს. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ე“ |

| | |
|---|---|
| დავალება #6 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| შეისწავლოს დაკავებული პირის გამოკითხვის პროცესის წარმოებისა და მასთან კომუნიკაციის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს დაკავებული პირის გამოკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება*<br><br>სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიზანი იყო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა გამოკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეო გადაღებისთვის, ხოლო პარლამენტმა რეკომენდაციაში მითითებული საკითხის შესწავლა დაავალა ადრესატ უწყებას. | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ვ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #7 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| შეიტანოს ცვლილება „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირების მიერ შესადგენი დოკუმენტების ფორმების დამტკიცებისა და შევსება-წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს №625 ბრძანებაში, კერძოდ, ამ ბრძანებით დამტკიცებული „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირების მიერ შესადგენი დოკუმენტების ფორმების დამტკიცებისა და შევსება-წარმოების წესის“ №9 დანართით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმას დაემატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო; დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების აღწერა; რა ვითარებაში მოხდა პირის დაკავება; გასწია თუ არა პირმა წინააღმდეგობა; გამოყენებული იქნა თუ არა პირის მიმართ იძულების ზომა და, თუ იქნა გამოყენებული, – რა ფორმით; | |

| კომენტარი | | | |
|---|---|---|---|
| საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციული დაკავების ოქმს დაემატა ახალი გრაფები, რომელიც ნაწილობრივ მოიცავს დავალებაში მითითებულ გარემოებებს. კერძოდ: დამკავებელი პირ(ებ)ის სახელი, გვარი, თანამდებობა; დაკავების საფუძვლები (რომელიც იძლევა კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული საფუძვლის არჩევის/მონიშვნის შესაძლებლობას); ინფორმაცია თუ რა შესაძლო დაზიანების ნიშნები აღენიშნება ვიზუალურად დაკავებულს; ინფორმაცია, რომ პირს განემარტება დაკავების ოქმის გასაჩივრების უფლება და გასაჩივრების წესი. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ზ“ |

| დავალება #8 | არ არის შესრულებული |
|---|---|
| შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეამოწმოს პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში მიყვანილი დაკავებული პირების შენობაში შეყვანისა და შენობიდან გამოყვანის ფაქტების დროის მითითებით აღრიცხვის მდგომარეობა. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*რეესტრის წარმოების გზით, უზრუნველყოს პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში მიყვანილი ყველა პირის აღრიცხვა, მათი სტატუსის, შენობაში შეყვანისა და გამოყვანის დროის მითითებით*<br><br>პარლამენტმა დავალებაში არ გაითვალისწინა მითითებულ პირთა აღრიცხვის მიზნით რეესტრის წარმოება და ჩაანაცვლა შემთხვევითობის პრინციპით საკითხის შემოწმებით. აგრეთვე, რეკომენდაცია მიუთითებდა, რომ აღრიცხულიყო ყველა პირი მათი სტატუსის მიუხედავად, ხოლო პარლამენტის დავალება მხოლოდ დაკავებულ პირთა შემოყვანა-გაყვანის დროით შემოიფარგლა.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 21 აპრილის №1/162 ბრძანების მიღებას, რომელიც არეგულირებს სამინისტროს ობიექტებში მოსამსახურეთა და უცხო პირთა, სატრანსპორტო საშუალებათა შესვლის/გასვლის, მატერიალურ ფასეულობათა შეტანის/გატანის, ასევე, მათი შემოწმებისა და აღრიცხვის წესს. თუმცა ზემოაღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული წესი ამ ეტაპზე არ | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ფუნქციონირებს სამინისტროს ყველა დანაყოფში შენობა-ნაგებობების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობისა და ადამიანური რესურსების არარსებობის გამო. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „თ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #9 | არ არის შესრულებული |
| უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებული პირისა და დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს გამომძიებლის შეხვედრების (მათ შორის, დისტანციური შეხვედრების) კონფიდენციალურ გარემოში ჩატარება. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილი იყო დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულის პირისა და საგამოძიებო ორგანოს გამომძიებლის პირისპირ კონფიდენციალურ გარემოში შეხვედრა. თუმცა, კონფიდენციალურობა არ იყო უზრუნველყოფილი დისტანციური შეხვედრების დროს, რადგან დაკავებულს შეხვედრების ოთახში გამომძიებელთან დისტანციური ჩართვის დროს მარტო არ ტოვებდნენ. | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ი“ |

| | |
|---|---|
| დავალება #10 | არ არის შესრულებული |
| უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დისტანციური წესით გასამართი სასამართლო სხდომების კონფიდენციალურ გარემოში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების დაუსწრებლად გამართვა. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ საანგარიშო პერიოდში დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულს შეხვედრების ოთახში მარტო არ ტოვებენ დისტანციური წესით გამართულ სასამართლო სხდომებში მონაწილეობისას. შედეგად, დისტანციური ჩართვის დროს არ იყო უზრუნველყოფილი კონფიდენციალური გარემო. | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „კ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #11 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიშში აღწერილი, დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავების პირობებისა და კვების კუთხით | |

| | | | |
|---|---|---|---|
| არსებული პრობლემების გადაჭრა და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს. | | | |
| კომენტარი | | | |
| შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორებში, წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემურია დაკავებულთა არასრულფასოვანი კვება, რაც მხოლოდ მშრალი სასურსათო ულუფით შემოიფარგლება. ამგვარი საკვების 15 დღემდე ვადით მიღება უწევთ ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ პირებს, რამაც შეიძლება მათ ჯანმრთელობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს.<br><br>დამატებით, სახალხო დამცველი დადებითად აფასებს საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის, ახალქალაქის, ბაკურიანის, სენაკისა და სხვა დროებითი მოთავსების იზოლატორებში სარემონტო სამუშაოების ჩატარებას და მოუწოდებს ადრესატ უწყებას გააგრძელოს 2021 წლის ანგარიშში აღწერილი დროებითი მოთავსების იზოლატორებში ფიზიკური გარემოს კუთხით გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ლ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #12 | შესრულდა |
| სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით, გამართოს კონსულტაციები საქართველოს პარლამენტის შესაბამისი სტრუქტურებისა და სხვა სათანადო უწყებების მონაწილეობით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 1 ივლისის №02ს-№010 ერთობლივი საიდუმლო ბრძანების განსაიდუმლოების საკითხის შესასწავლად. |
| კომენტარი |
| აღნიშნულ საკითხზე გაიმართა კონსულტაციები. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „მ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #13 | ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
| შეაფასოს 2021 წლის 5-6 ივლისს ჩადენილი ყველა სავარაუდო დანაშაულის საქმეზე დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საჭიროება. |
| კომენტარი |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით: |

*უზრუნველყოს 5-6 ივლისს მომხდარი ყველა სავარაუდო დანაშაულის მყისიერი და ეფექტიანი გამოძიება*

სახალხო დამცველის მიზანი იყო აღნიშნული საქმის მყისიერი და ეფექტიანი გამოძიება. პარლამენტმა უწყებას მხოლოდ დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საჭიროების შეფასება დაავალა და არ გაითვალისწინა ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა შეფასების შედეგებზე რეაგირება. ამავდროულად, დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება მხოლოდ, საკმარისი არ იქნება რეკომენდაციით განსაზღვრული ეფექტიანი გამოძიების წარმოების მიზნის მისაღწევად. კერძოდ, პარლამენტის დავალებით მოაზრებული დამატებითი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამ, შეიძლება მაინც ვერ უპასუხოს მაგალითად ზედმიწევნითობის და დროულობის სტანდარტებს, რაც ეფექტიანი გამოძიების კრიტერიუმებია. შედეგად, ვთვლით მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გაზიარებული რეკომენდაციის სულისკვეთება.

<u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u>

აღნიშნული დავალების შესრულების თაობაზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ პარლამენტს აცნობა, რომ 5-6 ივლისს განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების ორგანიზების მიმართულებით ამჟამად გამოძიება მიმდინარეობს 2 სისხლის სამართლის საქმეზე. სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი განაგრძობს 5-6 ივლისს ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებებზე დაწყებული გამოძიებების მონიტორინგს, გამოძიების მწარმოებელ დანაყოფთან ერთად, სათანადო საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარების საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში შეაფასებს მათი ჩატარების რელევანტურობას და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.“ სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია თუ რა შეფასება მისცა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა მიმდინარე გამოძიებას და გამოიკვეთა თუ არა დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საჭიროება.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ნ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #14 | სრულად არის შესრულებული |

გააგრძელოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებში; ამასთანავე, შეიმუშაოს ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი, რაც შესაძლებელს გახდის გადამზადებულ თანამშრომელთა მიერ მიღწეული პროგრესის შეფასებას.

კომენტარი

| | | | |
|---|---|---|---|
| საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა შსს-ს თანამშრომელთა გადამზადება მითითებულ საკითხზე. აგრეთვე, სამინისტროს შემუშავებული აქვს ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი, რაც შესაძლებელს გახდის გადამზადებულ თანამშრომელთა მიერ მიღწეული პროგრესის შეფასებას. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ო“ |

| | |
|---|---|
| დავალება #15 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| შეიმუშაოს და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს ანგარიში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მუშაობის ეფექტიანობის თაობაზე. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში შემუშავდა აღნიშნული ანგარიში, თუმცა საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „პ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #16 | სრულად არის შესრულებული |
| შშმ ქალებისა და გოგოების მიმართ ჩადენილი ძალადობისა და ყველა სხვა დანაშაულის ფაქტების გამოძიებაში ჩართული პირები სისტემატურად გადაამზადოს შშმ ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტების საკითხებში. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებამ დავალებაში მითითებულ საკითხზე გადაამზადა 2200 საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, ასევე 80 მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი თანამშრომელი, 100-მდე გამომძიებელი და მართლწესრიგის ოფიცერი. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ჟ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #17 | არ არის შესრულებული |
| ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების/ნიშნობის შემთხვევის გამოვლენისას კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტზე განახორციელოს შესაბამისი რეაგირება და სანქციის დაკისრება. | |
| კომენტარი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც უწყება არ რეაგირებდა სათანადოდ ადრეულ ასაკში ქორწინების/ნიშნობის შემთხვევის გამოვლენისას. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „რ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #18 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები გადაამზადოს ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ბავშვთა ქორწინების/თავისუფლების უკანონო აღკვეთის/ქორწინების იძულების საკითხებში; ამასთანავე, შეიმუშაოს ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ რეკომენდაციის შესრულების მიზნით თანამშრომელთა გადამზადებას, თუმცა ამ ეტაპზე არ შემუშავებულა ტრენინგის შემდგომი შეფასების დოკუმენტი. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ს“ |

| | |
|---|---|
| დავალება #19 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| შეისწავლოს შეკრების მონაწილეთა შეჩერებისა და ჩხრეკის, აგრეთვე მათი დაკავების წესებთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება და ევროპული სტანდარტები და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს შესაბამისი ინფორმაცია. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*ადამიანის უფლებათა ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, შეიმუშაოს შესაბამისი პროტოკოლი, რომელშიც ასახული იქნება შეკრების მონაწილეთა შეჩერებისა და ჩხრეკის, ასევე დაკავების წესები.*<br><br>სახალხო დამცველის მიზანი იყო რეკომენდაციაში მითითებულ საკითხზე შესაბამისი პროტოკოლის შემუშავება. პარლამენტმა უწყებას მხოლოდ აღნიშნული საკითხის შესწავლა დაავალა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ტ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #20 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| სამედიცინო პერსონალის მიერ დროებითი მოთავსების იზოლატორში აღკვეთის სინდრომის სამართავად შეიმუშაოს ერთიანი სახელმძღვანელო, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებული პირისთვის გასაწევი დახმარების მოცულობა და მკაფიოდ განისაზღვრება, რა შემთხვევაში უნდა იქნეს გადაყვანილი იგი სტაციონარში. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებამ შეიმუშავა დავალებაში მითითებულ საკითხზე დოკუმენტი. სახალხო დამცველი მიესალმება ამ ნაბიჯს და იმედოვნებს, რომ უმოკლეს ვადაში მოხდება მისი დამტკიცება და პრაქტიკაში იმპლემენტაცია. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „უ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #21 | არ არის შესრულებული |
| უზრუნველყოს ნივთიერებებზე დამოკიდებულ დაკავებულ პირთა დროული რეფერირება სამედიცინო დაწესებულებებში. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც უწყება ვერ უზრუნველყოფდა ნივთიერებებზე დამოკიდებულ დაკავებულ პირთა დროულ რეფერირებას სამედიცინო დაწესებულებებში. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ფ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #22 | ობიექტური გარემოების გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას |
| კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლოს 2021 წელს საარჩევნო პერიოდის თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილ წერილებში მითითებულ ზეწოლის, მუქარის, საქართველოს შრომის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან, ძალადობრივ ინციდენტებსა და სხვა შესაძლო კანონსაწინააღმდეგო შემთხვევებთან დაკავშირებულ საქმეებზე დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების საჭიროება. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის აპარატს არ აქვს ინფორმაცია თუ რამდენად სრულყოფილად ჩატარდა დავალებაში მითითებულ სისხლისსამართლებრივი საქმეებზე ყველა საჭირო საგამოძიებო | |

| | | | |
|---|---|---|---|
| და საპროცესო მოქმედება. შესაბამისად, ვერ ხერხდება მიმდინარე გამოძიებების ეფექტიანობის შეფასება. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ქ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #23 | რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
| განახორციელოს ყველა ეფექტიანი ღონისძიება თითოეულ შემთხვევაში საარჩევნო უბნის გარეთ 100 მეტრის პერიმეტრში შეკრების ამკრძალავი ნორმის – საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი შეზღუდვის – აღსასრულებლად. | |
| კომენტარი | |
| უწყების მხრიდან სახალხო დამცველის აპარატისთვის რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო, დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას. უწყებამ მოგვაწოდა 2020-2021 წლების მონაცემები, თუმცა არ მოგვაწოდა 2022 წლის მონაცემები, რაც იყო სახალხო დამცველის რეკომენდაციით განსაზღვრული საანგარიშო პერიოდი. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ღ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #24 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| დაიწყოს ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებით სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება დეტალური ინსტრუქციის განსაზღვრის მიზნით და ამ საკითხში გადაამზადოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები. | |
| კომენტარი | |
| უწყებამ საანგარიშო პერიოდში შეისწავლა და შეაფასა დავალებაში მითითებული პრობლემა. თუმცა არ მომხდარა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება. კონკრეტულად, სამინისტროს მიერ იდენტიფიცირდა ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების მიმართ როგორც პრევენციის, ასევე მათ მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულისა და სამართალდარღვევის ფაქტზე რეაგირების პროცესში გამოვლენილი პრობლემები და მათი უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევები. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ყ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #25 | სრულად არის შესრულებული |

| | | | |
|---|---|---|---|
| უზრუნველყოს შშმ პირთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების დაწყების შესახებ სტატისტიკის წარმოება. | | | |
| კომენტარი | | | |
| 2020 წლის 23 სექტემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას, უზენაეს სასამართლოსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატი) შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე მხარეებმა განსაზღვრეს, სტატისტიკის შეგროვების მიზნებისთვის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ერთიანი დეფინიცია, შესაბამისი კრიტერიუმები და აღსარიცხი ერთეულები. 2022 წელს, პირველად გამოქვეყნდა გასული წლის სტატისტიკური მონაცემები, რომელშიც მოცემულია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკური მონაცემები. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „შ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #26 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| სისხლის სამართლის საქმეებში შშმ პირთა და მათი საჭიროებების დროულად იდენტიფიცირებისთვის უზრუნველყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ, რომელიც ასევე მოიცავდა გამოძიების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის არასრულწლოვნების) ეფექტიანი ჩართულობის შესახებ რეკომენდაციებს. სწავლების ფარგლებში გადამზადდა საპატრულო პოლიციისა და ტერიტორიული საპოლიციო დანაყოფების მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი 80-მდე თანამშრომელი. თუმცა, უწყების მიერ დავალებაში მითითებულ საკითხზე არ გადამზადებულა სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომლები. | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ჩ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #27 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| უზრუნველყოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ (დეპარტამენტმა) სისტემური კონტროლი გაუწიოს ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენებასა და | |

| |
|---|
| კოლექტიური დასჯის პრაქტიკას და აღმოფხვრას ისინი, ამასთანავე, მიღებული ზომების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს. |
| **კომენტარი** |
| უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ არასაწესდებო სასჯელისა და კოლექტიური დასჯის გამოყენების პრაქტიკის გამოყენებაზე კონტროლი. თუმცა, სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, დადგინდა, რომ კვლავ აქვს ადგილი ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენებისა და კოლექტიური დასჯის პრაქტიკას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ც“ |

| | |
|---|---|
| დავალება #28 | ობიექტური გარემოების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
| შეისწავლოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ქვედანაყოფებში სარემონტო სამუშაოების ჩატარების საჭიროება და ამ საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში გააუმჯობესოს ინფრასტრუქტურა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები. | |
| **კომენტარი** | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ზემოაღნიშნულ ქვედანაყოფებში დროულად ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები და ინვენტარიზაცია; აღმოიფხვრას ინფრასტრუქტურული პრობლემები და გაუმჯობესდეს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები; საცხოვრებელი და სამუშაო ოთახები სრულად აღიჭურვოს მწერებისგან დამცავი ბადით;*<br><br>რეკომენდაციისგან განსხვავებით, პარლამენტის დავალება საკითხის შესწავლას და შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე მხოლოდ საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას მოიცავს, მაშინ როდესაც რეკომენდაცია პირდაპირ უთითებს ადრესატ უწყებას კონკრეტული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელების შესახებ.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u> |

| | | | |
|---|---|---|---|
| სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია შესწავლილი აქვს თუ არა უწყებას ობიექტების დაცვის დეპარტამენტების შესაბამის ქვედანაყოფებში ინფრასტრუქტურულ-ჰიგიენური პრობლემები. თუმცა, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთ ქვედანაყოფში მწვავე ინფრასტრუქტურული და ჰიგიენური პრობლემები ადგილზე კვლავ აქტუალურია. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ძ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #29 | სრულად არის შესრულებული |

შეისწავლოს შესაბამის ქვედანაყოფებში საკმარისი რაოდენობის წყლის დისპენსერების განთავსების საჭიროება და ამ საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი განთავსება.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *უზრუნველყოს გარკვეულ ქვედანაყოფებში საკმარისი რაოდენობის წყლის დისპენსერების განთავსება;*

პარლამენტის დავალება საკითხის შესწავლას და შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე მხოლოდ საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას მოიცავს, მაშინ როდესაც რეკომენდაცია პირდაპირ უთითებს ადრესატ უწყებას დისპენსერების განთავსების შესახებ.

<u>სახალხო დამცველის შუალედურის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u>

სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ქვედანაყოფებში წყლის დისპენსერების პრობლემა აღმოფხვრილია.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „წ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #30 | სრულად არის შესრულებული |

სამხედრო ფორმის ფეხსაცმელი ჩაანაცვლოს ახალი, მაღალი ხარისხის ფეხსაცმლით და ის გასცეს წელიწადში ორჯერ – ზამთრისა და ზაფხულის სეზონებზე

**კომენტარი**

სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტში სამხედრო ფორმის ფეხსაცმელი გაიცემა წელიწადში ორჯერ, ზამთრის და

| | | | |
|---|---|---|---|
| ზაფხულის სეზონის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის ამ მიმართულებით პრეტენზიები არ დაფიქსირებულა. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ჭ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #31 | სრულად არის შესრულებული |
| ვადიანი სამხედრო მოსამსახურეებისთვის უზრუნველყოს საინფორმაციო საშუალებების სათანადო ხელმისაწვდომობა. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ვადიანი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ყველა შემოწმებულ ქვედანაყოფში უზრუნველყოფილი იყო საინფორმაციო საშუალებები. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ხ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #32 | სრულად არის შესრულებული |
| შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებისთვის უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის დროს თავშესაფრის მაძიებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პრინციპის დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება. | |
| კომენტარი | |
| 2022 წელს საერთაშორისო დაცვის (თავშესაფრის) საკითხებზე ტრენინგის კურსები ჩატარდა სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე, რომლის შედეგადაც გადამზადდა 53 თანამშრომელი (05.12.2022 წლის მდგომარეობით). ამასთან, 2022 წელს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა სასაზღვრო და საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი პირებისთვის, კერძოდ, აღნიშნულ სამუშაო შეხვედრას დაესწრო საპატრულო პოლიციის 22 და სასაზღვრო პოლიციის 16 ხელმძღვანელი პირი.<br><br>საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანიზებითა და მხარდაჭერით უწყების 31-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა დავალებაში მითითებულ საკითხზე საგანმანათლებლო ღონისძიებებში. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ჯ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #33 | არ არის შესრულებული |

| | | | |
|---|---|---|---|
| „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის №33 ბრძანებაში ცვლილების შეტანით უზრუნველყოს ამ ბრძანებით შშმ პირებთან კომუნიკაციის სტანდარტებისა და ასპექტების გათვალისწინება, მათ შორის, სურდო თარჯიმნის მომსახურება და მისი ორგანიზება | | | |
| კომენტარი | | | |
| უწყება არ იზიარებს დავალებას. შესაბამისად, „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 აპრილის №33 ბრძანებაში საანგარიშო პერიოდში არ შესულა რაიმე ცვლილება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა დავალებაში მითითებული საკითხი. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ჰ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #34 | სრულად არის შესრულებული |
| აწარმოოს შშმ თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა შესახებ სტატისტიკა შესაძლებლობის შეზღუდვის ნიშნით. | |
| კომენტარი | |
| 2022 წლის იანვრიდან, თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა სტატისტიკური მონაცემების წარმოებისას, უწყებამ დაიწყო სპეციფიკური საჭიროების მქონე პირების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაცემთა დამუშავება. აგრეთვე, 2022 წლის ნოემბრიდან, უწყება ახდენს შშმ თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა მიმართ სტატისტიკური მონაცემების ჩაშლას შესაძლებლობის შეზღუდვის ნიშნით - ფიზიკური, სენსორული, ფსიქიკური და ინტელექტუალური ნიშნით. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ჰ[1]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #35 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| უზრუნველყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის (განყოფილების) თანამშრომელთა გადამზადება შშმ პირთა საკითხებში, მათ შორის, მათთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება შესაძლებლობის შეზღუდვის სხვადასხვა ტიპის მიხედვით, შშმ პირებთან სათანადო კომუნიკაციისა და მათი საჭიროებების გამოვლენისთვის | |
| კომენტარი | |
| უწყებამ საანგარიშო პერიოდში შშმ პირთა საკითხებზე გადაამზადა 43 თანამშრომელი. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ჰ[2]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #36 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| თავშესაფრების მაძიებლებთან და საერთაშორისო დაცვის მქონე პირებთან გამართოს საინფორმაციო შეხვედრები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თემაზე | |
| კომენტარი | |
| უწყებამ საანგარიშო პერიოდში დავალებაში დასახელებულ საკითხზე მხოლოდ 1 შეხვედრა გამართა, რომელსაც დაესწრო თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში განთავსებული 10 ქალი თავშესაფრის მაძიებელი. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ჰ³“ |

| | |
|---|---|
| დავალება #37 | სრულად არის შესრულებული |
| უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან დროულად შეთანხმება და ქართული ენის სასწავლო კურსების ფორმირება. | |
| კომენტარი | |
| უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2022 წლის 16 აგვისტოს შს სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტსა და სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ცენტრში განთავსებული სრულწლოვანი თავშესაფრის მაძიებლებისთვის ქართული ენის სწავლების პროგრამის ცენტრის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ამჟამად, კურსი გავლილი აქვს 25 პირს. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ჰ⁴“ |

| | |
|---|---|
| დავალება #38 | სრულად არის შესრულებული |
| ადრეულ ასაკში ქორწინებისა და თანამდევი დანაშაულების თავიდან ასაცილებლად სისტემატურად განახორციელოს ცნობიერების ამაღლების კამპანიები. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყება დავალებაში დასახელებულ საკითხზე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობითა და მხარდაჭერით ატარებდა საინფორმაციო კამპანიას სახელწოდებით - „ნუ წაართმევ ბავშვობას“. აგრეთვე, კამპანიის მიმდინარეობისას, ბავშვობის ასაკში ქორწინების დანაშაულებთან დაკავშირებით | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პოლიციისათვის შეტყობინების გზების შესახებ მოსახლეობის მასობრივი ინფორმირება განხორციელდა SMS სისტემის გამოყენებით. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 4 | ქვეპუნქტი | „ჰ“ |

## 7. სპეციალური საგამოძიებო სამსახური

პარლამენტის დადგენილებაში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიმართ გაიცა 1 დავალება, რომელიც უწყებამ სრულად შეასრულა.

| | |
|---|---|
| დავალება #1 | სრულად არის შესრულებული |
| სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა აწარმოოს სპეციალური სტატისტიკა, რომელიც ასახავს არა მხოლოდ ისეთ დანაშაულს, როგორიცაა ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, არამედ ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ ყველა დანაშაულებრივ ქმედებას, რომლებიც მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება. | |
| კომენტარი | |
| სპეციალური საგამოძიებო სამსახური აწარმოებს კომპეტენციას მიკუთვნებული სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების შესაბამისად აწარმოებს სტატისტიკას, რომელიც შეეხება ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ ყველა დანაშაულებრივ ქმედებას, რომლებიც მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 5 | | |

## 8. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

### 8.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

| | |
|---|---|
| ნაწილობრივ შესრულდა | 3 |
| არ არის შესრულებული | 1 |
| ობიექტური გარემოებების გამო შეუძლებელია შეფასდეს | 6 |

| | |
|---|---|
| საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას | 1 |
| ჯამში | 11 |

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მიხედვით.




8.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების დეტალური შეფასება

| დავალება #1 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
|---|---|
| გააგრძელოს სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში მის მიმართ პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენებისა და ჯგუფური დასჯის პრაქტიკის მონიტორინგი და ასეთი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა. | |
| კომენტარი | |
| უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ არასაწესდებო სასჯელისა და კოლექტიური დასჯის გამოყენების პრაქტიკის გამოყენებაზე კონტროლო. თუმცა, სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ კვლავ აქვს ადგილი სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენებისა და ჯგუფური დასჯის პრაქტიკას. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 6 | ქვეპუნქტი | „ა“ |

| | |
|---|---|
| დავალება #2 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| გააგრძელოს თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობისთვის ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების და გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება; სამხედრო მოსამსახურეთა ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად თავდაცვის ძალებს დაავალოს სათანადო პერიოდულობით ჩაატარონ მათთან ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები. ზემოაღნიშნული ინფორმაცია სამხედრო მოსამსახურეებს მარტივად გასაგებ ენაზე (რთული სამართლებრივი ტერმინებისა და ფორმულირებების გარეშე) შექმნილი ბროშურის სახით მიაწოდოს და მათთვის ხელმისაწვდომ ადგილებში გამოაკრას. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ სამხედრო მოსამსახურეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იყო სათანადოდ ინფორმირებული საკუთარ უფლებებზე და გასაჩივრების პროცედურებზე. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 6 | ქვეპუნქტი | „ბ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #3 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| გააგრძელოს თავდაცვის ძალების საცხოვრებელ კორპუსებში სარემონტო სამუშაოებისა და ინვენტარიზაციის ჩატარება, აღმოფხვრას ინფრასტრუქტურული პრობლემები და გაუმჯობესოს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, საცხოვრებელი კორპუსები სრულად აღჭურვოს მწერებისგან დამცავი ბადით; გააგრძელოს ყველა სამხედრო ნაწილში ქალი სამხედრო მოსამსახურეებისთვის განცალკევებული სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძების მოწყობა. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება 2022 წლის განმავლობაში უწყების მიერ განხორციელებულ არაერთ აქტივობას, რომლის მიზანი იყო თავდაცვის ძალების საცხოვრებელ კორპუსებში ინფრასტრუქტურული პრობლემების აღმოფხვრა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება, რომლის შედეგადაც, მათ შორის, მოეწყო ქალი სამხედრო მოსამსახურეებისთვის განცალკევებული სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძები თუმცა სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად კვლავ გამოიკვეთა, რომ ყველა სამხედრო ნაწილში არ არის უზრუნველყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისთვის სათანადო საცხოვრებელი და სამუშაო პირობები. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 6 | ქვეპუნქტი | „გ“ |

| დავალება #4 | ობიექტური გარემოების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
|---|---|

შეისწავლოს, რამდენად არის უზრუნველყოფილი ყველა სამხედრო ნაწილში, სადაც სავალდებულო სამხედრო სამსახურს ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები გადიან, მათთვის საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების თანასწორად ბაზაზე არსებული სპორტული დარბაზითა და გასართობი სივრცით სარგებლობის შესაძლებლობა, და შესწავლის შედეგების მიხედვით მოახდინოს სათანადო რეაგირება

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *ყველა სამხედრო ნაწილში, სადაც სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიან ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები, მიეცეთ მათ შესაძლებლობა, საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების თანასწორად, ისარგებლონ ბაზაზე არსებული სპორტული დარბაზით და გასართობი სივრცით;*

რეკომენდაციისგან განსხვავებით, პარლამენტის მიერ გაცემული დავალება საკითხის შესწავლასა და მხოლოდ მისი შედეგების მიხედვით რეაგირებას მოითხოვს.

<u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u>

სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია, უწყებამ ჩაატარა თუ არა დავალებაში მითითებული შესწავლა. აქვე, აღსანიშნავია, რომ პრობლემა კვლავ აქტუალურია. თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-20 კადრირებულ ბრიგადაში სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეები ვერ სარგებლობენ ბრიგადის ტერიტორიაზე არსებული სპორტული დარბაზით, მათი თქმით, სპორტული დარბაზით მხოლოდ საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეები სარგებლობენ, სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებს კი ეკრძალებათ დარბაზით სარგებლობა.

| დადგენილების პუნქტი | 6 | ქვეპუნქტი | „დ“ |
|---|---|---|---|

| დავალება #5 | ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
|---|---|

შეისწავლოს თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობის მიერ სახანძრო უსაფრთხოების დასაცავად და ხანძრის ჩასაქრობად აუცილებელი წესების შესწავლის კუთხით არსებული მდგომარეობა სათანადო სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად და შესწავლის შედეგების მიხედვით მოახდინოს სათანადო რეაგირება.

**კომენტარი**

| |
|---|
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*თავდაცვის ძალების თითოეული ქვედანაყოფის მეთაურს დაევალოს, უზრუნველყოს მის დაქვემდებარებაში მყოფი პირადი შემადგენლობის მიერ სახანძრო უსაფრთხოებისა და ხანძრის ჩასაქრობად აუცილებელი წესების შესწავლა, არსებული სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად;*<br><br>რეკომენდაციისგან განსხვავებით, პარლამენტის მიერ გაცემული დავალება საკითხის შესწავლასა და მხოლოდ მისი შედეგების მიხედვით რეაგირებას მოითხოვს.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია, უწყებამ ჩაატარა თუ არა დავალებაში მითითებული შესწავლა. სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების უმეტესობას გავლილი ჰქონდათ შესაბამისი სასწავლო კურსი. თუმცა სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ ინფორმირებული არ იყვნენ ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოჯისტიკის ცენტრის დაცვის ბატალიონში გამოკითხული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები. მათი განმარტებით, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით არ გაუვლიათ არანაირი მომზადება არც პირველადი სამხედრო მომზადების კურსის გავლის პერიოდში და არც დაცვის ბატალიონში ჩარიცხვის შემდეგ. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 6 | ქვეპუნქტი | „ე“ |

| | |
|---|---|
| დავალება #6 | ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
| შეისწავლოს ყველა სამხედრო მოსამსახურის პირბადით უზრუნველყოფის საკითხი და შესწავლის შედეგების მიხედვით მოახდინოს სათანადო რეაგირება; სამხედრო ნაწილების ტერიტორიაზე გამოაკრას პირბადის ტარების წესის ამსახველი საინფორმაციო მასალა და ზედამხედველობა გაუწიოს ამ წესის დაცვას. | |
| კომენტარი | |
| ეპიდემიური გარემოებების ცვლილების გამო დავალებამ დაკარგა რელევანტურობა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 6 | ქვეპუნქტი | „ვ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #7 | ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |

| | | | |
|---|---|---|---|
| შეიმუშაოს სამხედრო მოსამსახურეების COVID-19-ზე პერიოდული ტესტირების წესი და უზრუნველყოს სამხედრო მოსამსახურეების COVID-19-ზე პერიოდული ტესტირება. | | | |
| კომენტარი | | | |
| ეპიდემიური გარემოებების ცვლილების გამო დავალებამ დაკარგა რელევანტურობა. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 6 | ქვეპუნქტი | „ზ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #8 | ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
| საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით უზრუნველყოს ინფექციის კონტროლის საკითხში სამედიცინო პერსონალის გადამზადება ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად აღნიშნული პერსონალის როლისა და ძალისხმევის გაზრდის მიზნით, რაც უნდა მოიცავდეს ახალი კორონავირუსის საეჭვო შემთხვევების დროულ გამოვლენას, აგრეთვე ახალი კორონავირუსის დადასტურების შემთხვევაში დაავადებულთან კონტაქტში მყოფ პირთა დროულ მოძიებასა და იზოლირებას; ამასთანავე, სამედიცინო პერსონალმა უნდა უზრუნველყოს მიღებული ზომების სათანადოდ დოკუმენტირება. | |
| კომენტარი | |
| ეპიდემიური გარემოებების ცვლილების გამო დავალებამ დაკარგა რელევანტურობა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 6 | ქვეპუნქტი | „თ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #9 | ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
| ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად გააგრძელოს ყველა სამხედრო ნაწილში საიზოლაციო ოთახების მოწყობის პრაქტიკა, სადაც საეჭვო სიმპტომების მქონე პირები ტესტის პასუხის მიღებამდე მოთავსდებიან. | |
| კომენტარი | |
| ეპიდემიური გარემოებების ცვლილების გამო დავალებამ დაკარგა რელევანტურობა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 6 | ქვეპუნქტი | „ი“ |

| | |
|---|---|
| დავალება #10 | არ არის შესრულებული |
| შეისწავლოს თავდაცვის ძალებში ჩარიცხული სამხედრო მოსამსახურეების მიერ სამსახურის გავლის პერიოდში მათი სამსახურებრივი დანიშნულების საცხოვრებელი | |

| |
|---|
| ბინით უზრუნველყოფის საკითხი და განიხილოს საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. |
| კომენტარი |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*თავდაცვის ძალებში ჩარიცხული თითოეული სამხედრო მოსამსახურე, სამსახურის გავლის პერიოდში უზრუნველყოს სამსახურებრივი დანიშნულების საცხოვრებელი ბინით - მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ან განიხილოს სამხედრო მოსამსახურეთა ბინის ქირის გადასახადით უზრუნველყოფის შესაძლებლობა*<br><br>სახალხო დამცველის მიერ გაცემულ რეკომენდაციაში მითითებულია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა სამხედრო მოსამსახურეთათვის სოციალური გარანტიების გაზრდის მიზნით. პარლამენტმა უწყებას კი მხოლოდ აღნიშნული ნაბიჯის აუცილებლობის შესწავლა და მხოლოდ მას შემდგომ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დაავალა.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გადაუდგამს დავალების შესრულების მიზნით ქმედითი ნაბიჯი. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 6 | ქვეპუნქტი | „კ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #11 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| თავდაცვის კოდექსზე მუშაობის პროცესში შეისწავლოს თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობის მიერ ტრანსპორტირებისა და კომუნალური ხარჯების გადახდისას მასზე „1235წერდტფყგფნმნმრკსაქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გავრცელების საკითხი, ამასთანავე, აწარმოოს მოლაპარაკებები მუნიციპალიტეტის ორგანოებთან საშეღავათო პირობების დადგენის შესაძლებლობის შესასწავლად. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით: | |

| | | | |
|---|---|---|---|
| *თავდაცვის ძალების შემადგენლობაში ჩარიცხულ პირად შემადგენლობაზე გავრცელდეს კანონმდებლობით დადგენილი შეღავათები ტრანსპორტირების და კომუნალური ხარჯების გადახდისას.*<br><br>სახალხო დამცველის მიერ გაცემულ რეკომენდაციაში მითითებულია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა სამხედრო მოსამსახურეთათვის სოციალური გარანტიების გაზრდის მიზნით. პარლამენტმა უწყებას კი აღნიშნული საკითხის თავდაცვის კოდექსზე მუშაობის პროცესში შესწავლა დაავალა. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 6 | ქვეპუნქტი | „ლ“ |

# 9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

## 9.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

| | |
|---|---|
| სრულად შესრულდა | 20 |
| ნაწილობრივ შესრულდა | 19 |
| არ არის შესრულებული | 53 |
| ობიექტური გარემოებების გამო შეფასებას არ ექვემდებარება | 2 |
| საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას | 1 |
| უწყებების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა | 4 |
| არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის არც ერთი რეკომენდაციიდან / დუბლირებული დავალება | 1 |
| ჯამში | 100 |

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მიხედვით. .




9.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა დეტალურად

| დავალება #1 | არ არის შესრულებული | | |
|---|---|---|---|
| თავის შესაბამის ერთეულს დაავალოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფი ან/და ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან სამოქალაქო სექტორის სხვა კლინიკებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადაყვანილი და გარდაცვლილი პაციენტების (მათ შორის, პაციენტების გარდაცვალების მიზეზისა და ადგილის) შესახებ სტატისტიკის წარმოება. | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ დაუწყია დავალებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით სტატისტიკის წარმოება. უწყებას არ გადაუდგამს რაიმე ხელშესახები ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ა“ |

| დავალება #2 | სრულად არის შესრულებული |
|---|---|
| უზრუნველყოს სომატური ჯანმრთელობის მომსახურების დაფინანსების არსებული მოდელის შეცვლა, რათა სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების გამო ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტები სრულად და დროულად იქნენ უზრუნველყოფილი საჭირო სამედიცინო მომსახურებით, რაც გულისხმობს შემდეგი ხარჯების გაწევას: | |

| |
|---|
| ა) პაციენტთა ტრანსპორტირების ხარჯები;<br><br>ბ) საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დაწესებულებაში ექიმ-თერაპევტის ან ოჯახის ექიმის დაქირავების ხარჯები;<br><br>გ) გეგმური სამედიცინო მომსახურების სრულად ანაზღაურებისთვის საჭირო ხარჯები. |
| კომენტარი |
| ფსიქიკური ჯანმრთელობის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამაში გათვალისწინებულია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფ პირთა გადაუდებელი ქირურგიული და თერაპიული სტომატოლოგიური, ასევე სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის საკითხი. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ბ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #3 | სრულად არის შესრულებული |
| უზრუნველყოს, რომ შეტანილ იქნეს ცვლილება ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში, კერძოდ, ქვეყანაში არსებული გაიდლაინების შესაბამისად გათვალისწინებულ იქნეს მედიკამენტების გვერდითი ეფექტების სათანადო გამოკვლევებისა და კონსულტაციების გზით მართვა. |
| კომენტარი |
| ფსიქიკური ჯანმრთელობის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამაში გათვალისწინებულია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვა შესაბამისი გამოკვლევებისა და კონსულტაციების გზით. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „გ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #4 | არ არის შესრულებული |
| დაავალოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და მისი თანამდევი გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკის შესწავლა. |
| კომენტარი |
| საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, საანგარიშო პერიოდში არ შეუსწავლია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და მათი თანამდევი, |

| | | | |
|---|---|---|---|
| გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკა. დავალებაში მითითებული საკითხი კვლავ პრობლემურია. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „დ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #5 | არ არის შესრულებული |
| შეიმუშაოს და დანერგოს გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ მე-15 და მე-16 მუხლებში მითითებული ქმედებების (წამება ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი; ექსპლუატაცია, ძალადობა და შეურაცხყოფა) ჩადენის ფაქტების გამოვლენისა და დოკუმენტირების და საგამოძიებო ორგანოსა და მონიტორინგის განმახორციელებელი დამოუკიდებელი ორგანოსთვის შეტყობინების გაგზავნის წესი. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა, შესაბამისად არ დანერგილა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-15 და მე-16 მუხლებში მითითებული ქმედებების (წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის; ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის) ჩადენის ფაქტების გამოვლენისა და დოკუმენტირების და საგამოძიებო და მონიტორინგის დამოუკიდებელი ორგანოებისთვის შეტყობინების გაგზავნის წესი. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ე“ |

| | |
|---|---|
| დავალება #6 | არ არის შესრულებული |
| შეიმუშაოს და დანერგოს პაციენტებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათზე რეაგირების დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აგრეთვე ძალადობის მსხვერპლთათვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება. | |
| | |
| საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა, შესაბამისად არ დანერგილა პაციენტებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათზე რეაგირების დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აგრეთვე ძალადობის მსხვერპლთათვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ვ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #7 | არ არის შესრულებული |

| | | | |
|---|---|---|---|
| ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მონიტორინგის ჩატარებით გამოავლინოს და აღკვეთოს ამ დაწესებულებების პერსონალის მიერ პაციენტების მიმართ ძალადობის განხორციელების (მათ შორის, მათთვის ინექციებისა და მედიკამენტების ძალით (ნების საწინააღმდეგოდ) გაკეთების/მიცემის)ფაქტები. | | | |
| კომენტარი | | | |
| პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არ განხორციელებულა მონიტორინგი, რომელიც გამოავლენდა და აღკვეთდა, დაწესებულებებში პერსონალის მიერ პაციენტების მიმართ ძალადობის, მათ შორის ინექციებისა და მედიკამენტების ძალით, ნების საწინააღმდეგოდ გაკეთების ფაქტებს. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ზ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #8 | არ არის შესრულებული |
| შეიმუშაოს და დანერგოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალის პაციენტებთან ურთიერთობის დეტალური ინსტრუქცია, რომელიც მოიცავს პაციენტის უფლებების დაცვისა და მისთვის ხარისხიანი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის სტანდარტებს. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა დავალებაში მითითებული ინსტრუქცია. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „თ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #9 | არ არის შესრულებული |
| ხელი შეუწყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალისთვის სულ მცირე შემდეგ საკითხებზე სწავლების ჩატარებას: მულტიდისციპლინური მუშაობა, დეესკალაციის ტექნიკა, პაციენტის უფლებები და ეთიკის სტანდარტები, აღდგენაზე დაფუძნებული მიდგომა და თანამედროვე ფსიქიატრია; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს აღნიშნული პერსონალის მიერ ფსიქიატრიული დახმარების გაწევის ბიოფსიქოსოციალური მოდელის მნიშვნელობის გააზრებას და მის დასანერგად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ ჩატარებულა დავალებაში მითითებულ საკითხებზე სასწავლო ღონისძიებები. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ი“ |

| | |
|---|---|
| დავალება #10 | არ არის შესრულებული |
| შეისწავლოს და აღმოფხვრას ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტთა სხვა პაციენტებისგან ხანგრძლივად განცალკევების პრაქტიკა. | |
| კომენტარი | |
| უწყებას საანგარიშო პერიოდში არ დაუმტკიცებია შიდა ინსპექტირებისა და მონიტორინგის მექანიზმი, შესაბამისად არ შესწავლილა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტთა სხვა პაციენტებისგან ხანგრძლივად განცალკევების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კვლავ პრობლემურია პაციენტის ხანგრძლივად განცალკევების პრაქტიკა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „კ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #11 | არ არის შესრულებული |
| შეიმუშაოს და დანერგოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების თავიდან აცილებისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი, რათა აღნიშნულმა დაწესებულებებმა მინიმუმამდე შეამცირონ სიტუაციის ესკალაციის რისკი და, შესაბამისად, საჭირო აღარ გახდეს უკიდურესი ზომების მიღება. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა დავალებაში მითითებულ საკითხზე სახელმძღვანელო დოკუმენტი. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ლ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #12 | არ არის შესრულებული |
| ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მონიტორინგის ჩატარებით შეისწავლოს პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების კანონიერება და დასაბუთებულობა, აგრეთვე ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შემდეგ მათი სტატუსის გადასინჯვის საკითხი. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ ჩაუტარებია მონიტორინგი დავალებაში მითითებული საკითხების შესწავლის მიზნით. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „მ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #13 | არ არის შესრულებული |

| | | | |
|---|---|---|---|
| საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან და შშმ პირთა ორგანიზაციებთან კონსულტაციით განაახლოს „ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია. | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან კონსულტაციით არ განახლებულა დავალებაში მითითებული ინსტრუქცია. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ნ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #14 | არ არის შესრულებული |
| შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების მათი რეალური ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სტაციონარიდან დაუყოვნებლივ გაეწერონ ის პაციენტები, რომელთა მიმართაც არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის პროცედურის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. | |
| კომენტარი | |
| უწყების საანგარიშო პერიოდში არ შეუსწავლია ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების რეალური ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ო“ |

| | |
|---|---|
| დავალება #15 | არ არის შესრულებული |
| საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-იდან შემოსულ ფსიქიატრიული შემთხვევების თაობაზე შეტყობინებებზე რეაგირებისთვის გაგზავნილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ეკიპაჟებისთვის შეიმუშაოს პაციენტის მიერ ფსიქიატრიული დახმარების მიღებაზე მისი დარწმუნებით დაყოლიების, პაციენტის ფსიქიატრიულ სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსების საჭიროების განსაზღვრისა და მისთვის პაციენტის უფლებების განმარტების დეტალური ინსტრუქცია. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ შეუმუშავებია დავალებაში მითითებული ინსტრუქცია. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „პ“ |

| დავალება #16 | არ არის შესრულებული |
|---|---|
| შეიმუშაოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დაამტკიცოს პაციენტის ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებაზე ინფორმირებული თანხმობის ერთიანი ფორმა, რომელშიც გასაგები ფორმით იქნება მოცემული სრული, ზუსტი და დეტალური ინფორმაცია ფსიქიატრიული დახმარების არსისა და პაციენტის უფლებების შესახებ; ამასთანავე, აღნიშნული ბრძანებით განსაზღვროს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება, გადასცეს პაციენტს ინფორმირებული თანხმობის ასლი, აგრეთვე ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ვის უნდა მიმართოს მან, თუკი არ სურს სტაციონარში დარჩენა. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ შეუმუშავებია და არ დაუმტკიცებია დავალებაში მითითებულ საკითხებზე მინისტრის ბრძანება. | |

| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჟ“ |
|---|---|---|---|

| დავალება #17 | არ არის შესრულებული |
|---|---|
| ცვლილება შეიტანოს „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებაში, რათა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტის მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახდეს აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის“ მე-13 დანართით დამტკიცებული №IV-300-12/ა ფორმის შევსება. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ შეუტანია მითითებულ ბრძანებაში რაიმე ცვლილება დავალების შესრულების მიზნით. | |

| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „რ“ |
|---|---|---|---|

| დავალება #18 | არ არის შესრულებული |
|---|---|
| შეიმუშაოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვროს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება, პაციენტის სტაციონარში მოთავსებისთანავე და შემდგომ, რეგულარულად უზრუნველყოს მისთვის სტაციონარის | |

| | | | |
|---|---|---|---|
| შინაგანაწესისა და პოლიტიკის და პაციენტის უფლებების თაობაზე ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის გასაგები ენით მიწოდება. | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის არ შეუმუშავებია და მინისტრის ბრძანებით არ დაუკისრებია დავალებაში მითითებული ვალდებულებები. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ს“ |

| | |
|---|---|
| დავალება #19 | არ არის შესრულებული |
| შეიმუშაოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დაამტკიცოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის ხელმისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური ჰოსპიტალშიდა და ჰოსპიტალგარე პროცედურები. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა და მინისტრის ბრძანებით არ დამტკიცებულა ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის დავალებაში მითითებული სავალდებულო პროცედურები. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ტ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #20 | არ არის შესრულებული |
| „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ეპიდემიოლოგიური მოთხოვნების სრული დაცვით, პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით უზრუნველყოს პაციენტის სტაციონარიდან გაწერის გარეშე მის მიერ სტაციონარის მოკლე ვადით დატოვების შესაძლებლობა. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტთა უფლების რეალიზება ხანმოკლე დროით დატოვოს სტაციონარი, თუ არ არსებობს ექიმის გადაწყვეტილება ამ უფლების უკიდურესი აუცილებლობის გამო შეზღუდვის თაობაზე. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „უ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #21 | არ არის შესრულებული |

მიიღოს ყველა ზომა, რათა სისტემური მონიტორინგით გაკონტროლდეს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული პირობების „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებებით“ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობა.

**კომენტარი**

საანგარიშო პერიოდში ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული პირობების „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებებით“ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სისტემური მონიტორინგი არ განხორციელებულა.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ფ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #22 | ნაწილობრივ არის შესრულებული |

მიიღოს ყველა ზომა, მათ შორის, ფინანსური რესურსის გამოყოფით, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიშში აღწერილი, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში უსაფრთხო და თერაპიული გარემოს კუთხით არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

**კომენტარი**

სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებს, რომლითაც გამოსწორდა 2021 წლის ანგარიშში აღწერილი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში უსაფრთხო და თერაპიული გარემოს კუთხით არსებული პრობლემები, თუმცა აღნიშნული საკითხი კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში და ბათუმის სამედიცინო ცენტრში კვლავ მწვავედ იდგა გადატვირთულობის პრობლემა. ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში პაციენტებს ჰიგიენურ ნივთებზე შეზღუდული ქონდათ ხელმისაწვდომობა. ქუთაისის ფსიქიატრიულ კლინიკაში კი პრობლემას წარმოადგენდა განყოფილების სველ წერტილში დაზიანებული უნიტაზები და საშხაპეები. დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში სარემონტო სამუშაოების დაგეგმარებისას და რეკონსტრუქციისას არ იქნა გათვალისწინებული ის საჭიროებები, რაც აუცილებელია თერაპიული გარემოს უზრუნველსაყოფად. ბათუმის სამედიცინო ცენტრის და ქუთაისის ფსიქიატრიულ კლინიკის ინფრასტრუქტურა არ იყო ადაპტირებული მობილობა შეზღუდული პირებისთვის. ზემოაღნიშნული გარემოებების წარმოადგენს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში უსაფრთხო და თერაპიული გარემოს კუთხით არსებული პრობლემების მხოლოდ ნაწილს.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ქ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #23 | არ არის შესრულებული |
| შეისწავლოს პაციენტებისთვის მათი მკურნალობის შესახებ ინფორმაციის რეგულარულად, მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდების საკითხი. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ დაწყებულა პაციენტის ინფორმირების წესების შემუშავება, რომელიც მოიცავს, როგორც სტაციონარში მოთავსების, ასევე მის შემდგომ სტაციონარის შინაგანაწესისა და პოლიტიკის, ასევე პაციენტის უფლებების თაობაზე ინფორმირების წესს. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ღ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #24 | სრულად არის შესრულებული |
| უზრუნველყოს მედიკამენტ „ციკლოდოლის“ მომარაგება, რათა ფსიქიატრიულმა დაწესებულებებმა შეძლონ გვერდითი ეფექტების სამართავად მისი გამოყენება. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში აღმოიფხვრა მედიკამენტ „ციკლოდოლის“ მომარაგების პრობლემა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებს შეუძლიათ მისი გამოყენება გვერდითი ეფექტების სამართავად. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ყ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #25 | არ არის შესრულებული |
| უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების თანამშრომელთა სწავლება, რათა მათ შეძლონ მედიკამენტ „კლოზაპინის“ გვერდითი ეფექტების ამოცნობა, რომლებმაც შეიძლება ლეტალური შედეგი გამოიწვიოს. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ განუხორციელებია დავალების შესრულების მიზნით რაიმე აქტივობა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „შ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #26 | არ არის შესრულებული |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაავალოს სათანადო სამსახურს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სამედიცინო ბარათების რეგულარულად შემოწმება, რათა სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათები საქართველოში არსებული მოთხოვნების შესაბამისად იყოს წარმოებული. | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში დავალებაში მითითებული შემოწმება არ ჩატარებულა. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჩ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #27 | სრულად არის შესრულებული |
| უზრუნველყოს, რომ შეტანილ იქნეს ცვლილება ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში, რათა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კომპონენტზე ხელი მოკლევადიან მკურნალობაზე მყოფ პაციენტებსაც მიუწვდებოდეთ. | |
| კომენტარი | |
| 2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისი ფსიქიატრიულ სტაციონარში სავალდებულოა როგორც ე.წ. მწვავე, ისე გრძელვადიან მკურნალობაზე მყოფი პირებისთვის. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ც“ |

| | |
|---|---|
| დავალება #28 | არ არის შესრულებული |
| ფსიქიატრიულ დაწესებულებებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს ისეთი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამების დანერგვა, რომლებიც ორიენტირებული იქნება აღდგენაზე და ხელს შეუწყობს შესაბამისი სერვისის მომხმარებელი პირის დამოუკიდებელ ცხოვრებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ჩართულობას | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ დაუნერგავს დავალებაში მითითებული პროგრამა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ძ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #29 | არ არის შესრულებული |
| უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების როლის გაზრდა, რათა მათ ჰქონდეთ თემში არსებული პროგრამების მოძიებისა და პაციენტებისთვის გაცნობის ვალდებულება. | |
| კომენტარი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა სოციალური მუშაკებისთვის დავალებაში მითითებულ საკითხებზე რაიმე ვალდებულება. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „წ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #30 | სრულად არის შესრულებული |
| გადახედოს სომატური ჯანმრთელობის მომსახურების დაფინანსების არსებულ მოდელს, რათა ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტები სრულად და დროულად იქნენ უზრუნველყოფილი სტომატოლოგიური მომსახურებით. | |
| კომენტარი | |
| ფსიქიკური ჯანმრთელობის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს თერაპიული სტომატოლოგიური მომსახურებას. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჭ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #31 | სრულად არის შესრულებული |
| უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში აგრანულოციტოზის, ნივთიერებათა ცვლის პროცესების, განსაკუთრებით – ჰიპერგლიკემიის განვითარების რისკის კლინიკურ-ლაბორატორიული დინამიკური შეფასება, აგრეთვე ლეიკოციტების კონტროლი მედიკამენტების გვერდითი მოვლენების სამართავად. | |
| კომენტარი | |
| ფსიქიკური ჯანმრთელობის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს დავალებაში მითითებულ საკითხებს. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ხ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #32 | არ არის შესრულებული |
| ხელი შეუწყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პაციენტებისთვის სკრინინგული გამოკვლევების ჩატარებას. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გაუდგამს რაიმე ნაბიჯი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებისთვის სკრინინგული გამოკვლევების ჩატარების ხელშესაწყობად. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჯ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #33 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| უზრუნველყოს თერაპევტის მიერ ყველა პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მათი მოთავსებისთანავე. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება ყველა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში პაციენტთათვის თერაპევტის მომსახურების მიღების შესაძლებლობის გაჩენას. თუმცა, არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, რომელიც თერაპევტებს დაავალდებულებს მოინახულონ პაციენტი დაწესებულებაში მოთავსებისთანავე. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #34 | არ არის შესრულებული |
| ფსიქიატრიულ დაწესებულებებთან თანამშრომლობით და მათთვის ხელის შეწყობით უზრუნველყოს:<br><br>ა) აღნიშნული დაწესებულებების სტაციონარულ განყოფილებებში დღისა და ღამის განმავლობაში მომუშავე პერსონალის რაოდენობის გაზრდა;<br><br>ბ) აღნიშნულ დაწესებულებებში ფსიქოსოციალური მიმართულებით მომუშავე სპეციალისტებისთვის სათანადოდ აღჭურვილი თერაპიული სივრცეების შექმნა. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გაუზრდია დავალებაში მითითებული პერსონალის რაოდენობა და არ შეუქმნია სპეციალისტებისთვის სათანადო სივრცეები. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[1]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #35 | არ არის შესრულებული |
| ხელი შეუწყოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავებას, კვალიფიციური ტრენინგპროგრამების დანერგვასა და ხელმისაწვდომობას | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ ჩაუტარებია ფსიქიატრიული დაწესებულებების თანამშრომლებისთვის პროფესიული განვითარებისთვის მიზნით ტრენინგები. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[2]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #36 | არ არის შესრულებული |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიმუშაოს პენიტენციური ჯანდაცვის აღნიშნული სამინისტროს სისტემაში სრულად ინტეგრირების გეგმა. | |
| კომენტარი | |
| უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, იუსტიციის სამინისტროსთან არ დაწყებულა პენიტენციური ჯანდაცვის სამინისტროში ინტეგრაციის საკითხზე მუშაობა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ3“ |

| | |
|---|---|
| დავალება #37 | არ არის შესრულებული |
| „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს პაციენტების მიერ ტელეფონებითა და სხვა კომუნიკაციის საშუალებებით თავისუფლად სარგებლობის უფლების რეალიზება. | |
| კომენტარი | |
| საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კვლავ სისტემურ პრობლემას წარმოადგენს პაციენტების მიერ ტელეფონებითა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით თავისუფლად სარგებლობის უფლების რეალიზება. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ4“ |

| | |
|---|---|
| დავალება #38 | არ არის შესრულებული |
| „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის უფლების რეალიზება, მოკლე დროით დატოვოს სტაციონარი, თუ არ არსებობს ექიმის გადაწყვეტილება ამ უფლების უკიდურესი აუცილებლობის გამო შეზღუდვის თაობაზე. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა დავალებაში მითითებული საკითხი. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ5“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #39 | ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას | | |
| უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში პაციენტისა და მნახველის შეხვედრის დროს ეპიდემიური ნორმების დაცვა | | | |
| კომენტარი | | | |
| ეპიდემიური გარემოებების ცვლილების გამო დავალებამ დაკარგა რელევანტურობა | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ6“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #40 | არ არის შესრულებული | | |
| სისტემურად გააანალიზოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით შშმ ორსული ქალების საჭიროებები და გამოვლენილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა. | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები შშმ ორსული ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით საჭიროების დასაკმაყოფილებლად. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ7“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #41 | არ არის შესრულებული | | |
| განახორციელოს მშობიარობისშემდგომი ზრუნვისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისების დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში ინტეგრირება. | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ განუხორციელებია დავალებაში მითითებული ინტეგრაცია. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ8“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #42 | არ არის შესრულებული | | |
| დაიწყოს მუშაობა ოჯახის დაგეგმვის სერვისების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის ბარიერების აღმოსაფხვრელად მათი პირველადი ჯანდაცვის სისტემაში სრულყოფილად ინტეგრირებისთვის. | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში არ დაწყებულა დავალებაში მითითებულ საკითხზე მუშაობა. | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[9]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #43 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| შეიმუშაოს ე. წ. გინეკოლოგიური ძალადობის დეფინიცია, განსაზღვროს და დაამტკიცოს ღირსების შემლახავი პრაქტიკების ნუსხა. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს უწყების მიერ აღნიშნული მიმართულებით მუშაობის დაწყებას და იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში განსაზღვრავს ე. წ. გინეკოლოგიური ძალადობის დეფინიციას და დაამტკიცებს ღირსების შემლახავი პრაქტიკების ნუსხას. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[10]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #44 | სრულად არის შესრულებული |
| პირველადი ჯანდაცვის სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გასაზრდელად და ცნობიერების ასამაღლებლად შეიმუშაოს ეფექტიანი საკომუნიკაციო ღონისძიებები ოჯახის ექიმის ბენეფიციარებთან კომუნიკაციის გაძლიერების კუთხით, განსაზღვროს მიზნები, მათი მიღწევის მექანიზმები და შეფასების ინდიკატორები, აგრეთვე გადაამოწმოს მიღებული შედეგები. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს 2023-2025 წლის სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის სამუშაო დოკუმენტის მომზადებას, რომელიც მოიცავს დავალებაში მითითებულ საკითხს. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[11]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #45 | არ არის შესრულებული |
| ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში პაციენტისთვის მის საჭიროებებზე ორიენტირებული, მაღალხარისხოვანი პირველადი ჯანდაცვის სერვისების (პრევენცია, სკრინინგი, მკურნალობა, მართვა) ეფექტიანად და ხარისხიანად მისაწოდებლად შეიმუშაოს მკაფიო გეგმა შესაბამისი ვადების მითითებით | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ დამტკიცებულა დავალებაში მითითებული გეგმა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[12]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #46 | სრულად არის შესრულებული |
| შეიმუშაოს სწრაფი და ეფექტიანი ღონისძიებების გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს საექიმო/საექთნო ადამიანური რესურსის განვითარებას, დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მოტივაციის ამაღლებას და პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერებას; | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცებას, რომელიც მოიცავს დავალებაში მითითებულ საკითხს . | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[13]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #47 | სრულად არის შესრულებული |
| შეიმუშაოს მკაფიო და შედეგზე ორიენტირებული მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება დამხმარე სამედიცინო პერსონალის ფუნქციები და შრომითი საქმიანობის სტანდარტები. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცებას, რომელიც მოიცავს დავალებაში მითითებულ საკითხს. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[14]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #48 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| ონკოლოგიური პაციენტების მიერ მათთვის განკუთვნილი სერვისების მიღების მიზნით მიმართვიანობის გასაზრდელად და დაავადებების ეფექტიანად სამართავად შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პაციენტების მიერ ამ სერვისების სრულად მიღებას, აგრეთვე მკურნალობაზე მათი დამყოლობისა და სერვისების მიღების მონიტორინგს. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება 2022 წლიდან ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამის ზრდას, რომლითაც დამატებით დაფინანსდა ონკოლოგიური პაციენტებისთვის ზოგიერთი მომსახურების მიღება. აგრეთვე, ქიმიო, ჰორმონო და სხივურ თერაპიებზე თანაგადახდის მოხსნისა და წლიური ლიმიტის 25 000 ლარამდე ზრდას. თუმცა ონკოლოგიური პაციენტებისთვის კვლავ გამოწვევად რჩება მკურნალობის მიზნით სერვისების სრულად ჩატარება. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[15]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #49 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში შეიტანოს ცვლილება საარსებო შემწეობის დანიშვნის ვადის შესამცირებლად. | |
| კომენტარი | |
| საარსებო შემწეობის დანიშვნის ვადის შესამცირებლად სამინისტროში დაწყებულია მუშაობა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[16]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #50 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| ყოველწლიურად შეაფასოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ბაზაზე დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობის საჭირო რაოდენობასთან შესაბამისობა და განახორციელოს სათანადო ღონისძიებები მათი რაოდენობის გასაზრდელად. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ სოციალურ მუშაკთა რაოდენობის ზრდას. თუმცა, სოციალურ მუშაკთა შტატით განსაზღვრული რაოდენობა 2023 წლის მარტის მდგომარეობით კვლავ არ იყო სრულად შევსებული. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[17]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #51 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| ყოველწლიურად შეაფასოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ბაზაზე დასაქმებული ფსიქოლოგების რაოდენობის საჭირო რაოდენობასთან შესაბამისობა და განახორციელოს სათანადო ღონისძიებები მათი რაოდენობის გასაზრდელად. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ ფსიქოლოგთა რაოდენობის ზრდას. თუმცა, ფსიქოლოგთა შტატით განსაზღვრული რაოდენობა კვლავ არ არის სრულად შევსებული. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[18]“ |

| დავალება #52 | სრულად არის შესრულებული |
|---|---|
| საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს საჭიროებების მოკვლევის საფუძველზე სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები გადაამზადოს ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის, მეორეული ვიქტიმიზაციისა და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების საკითხებში | |
| კომენტარი | |
| უწყებამ საანგარიშო პერიოდში ყველა სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და იურისტი გადაამზადა თემაზე: „ბავშვზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების სტანდარტი“. | |

| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[19]“ |
|---|---|---|---|

| დავალება #53 | არ არის შესრულებული |
|---|---|
| პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებისა და მუნიციპალიტეტების ჩართულობით, სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების სოციალური ფუნქციის გასაზრდელად განახორციელოს სამოქმედო გეგმის შემუშავების ინიცირება. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებამ არ გადადგა ქმედითი ნაბიჯები დავალების შესრულების მიზნით. არც 2022-2030 წლებისთვის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია პასუხობს დავალებაში მითითებულ საკითხს. | |

| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[20]“ |
|---|---|---|---|

| დავალება #54 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
|---|---|
| შშმ პირთა საჭიროებების კვლევებსა და დასაქმების სფეროში მოქმედი სახელმწიფო პროგრამების განხორციელების ანალიზზე დაყრდნობით უზრუნველყოს აღნიშნული პროგრამების მოდიფიცირება, გაფართოება და ახალი კომპონენტების შემუშავება. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ დამატებულა დავალებაში მითითებულ საკითხზე ახალი კომპონენტები, თუმცა სახალხო დამცველი მიესალმება „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ დამტკიცებას, რომელიც ითვალისწინებს კომპონენტებს შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. ამასთანავე, ,,დაცული სამუშაო ადგილების სუბსიდირების“ კომპონენტის ეფექტურად განხორციელების მიზნით უწყებაში შექმნილი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| სპეციალური სამუშაო ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე 2022 წლის 2 მაისს დამტკიცდა ,,დაცული სამუშაო ადგილის სახეობების, მათი შექმნისა და სამუშაო გარემოს ადაპტირების, დაცული სამუშაო ადგილისთვის დამსაქმებლის სუბსიდირების მოცულობის, თანხის ნაწილობრივ გადახდისა და თანამონაწილეობის განსაზღვრის შესახებ“ ბრძანება. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ აღნიშნული ბრძანების იმპლემენტაცია პრაქტიკაში ეფექტურად განხორციელდება. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[21]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #55 | არ არის შესრულებული |
| შეიმუშაოს გაიდლაინები/რეკომენდაციები, რომლებიც დამსაქმებლებს შშმ პირთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში, ინკლუზიური კოლექტივის შექმნაში, უნივერსალური დიზაინის პრინციპების გააზრებასა და სამუშაო ადგილებზე გონივრული მისადაგების უზრუნველყოფაში დაეხმარება. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა დავალებაში მითითებული გაიდლაინები/რეკომენდაციები. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[22]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #56 | ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
| უზრუნველყოს COVID-19-ის პირობებში ფსიქიატრიული პაციენტის უსაფრთხო მართვის პროცესის ხელშეწყობა შესაბამისი ზედამხედველობის განხორციელებით. | |
| კომენტარი | |
| ეპიდემიური გარემოებების ცვლილების გამო დავალებამ დაკარგა რელევანტურობა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[23]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #57 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში დეინსტიტუციონალიზაციის ორგანიზებულად წარმართვისთვის შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგია; განავითაროს სათემო სერვისები და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის კომპონენტი. | |
| კომენტარი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ შეუმუშავებია ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში დეინსტიტუციონალიზაციის წარმართვისთვის შესაბამისი სტრატეგია. თუმცა აღნიშნული საკითხი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და დეინსტიტუციონალიზაციის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმაში იქნა გათვალისწინებული. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[24]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #58 | არ არის შესრულებული |
| მიიღოს ქმედითი ზომები მულტიპროფილურ საავადმყოფოებში ფსიქიატრიული განყოფილებების გაუქმების პრევენციისა და სპეციალიზებული დაწესებულებების მულტიპროფილურ კლინიკებში მათი შესაბამისი განყოფილებებით ჩანაცვლების წახალისების მიზნით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში დაფინანსების სისტემის შეცვლით. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები დავალების შესრულების მიზნით. | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[25]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #59 | სრულად არის შესრულებული |
| უზრუნველყოს შშმ პირებისა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების ჩართულობით ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიის დროულად შემუშავება და დამტკიცება, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს:<br><br>ა) არსებული, 24 ადამიანზე გათვლილი სათემო სერვისების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დაწყებას;<br><br>ბ) არსებული თანამედროვე, სახელმწიფო ზრუნვის ალტერნატიული სერვისების გაძლიერებას და შშმ პირთა/ბავშვთა საჭიროებების შესაბამისად მომზადებას; სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი პირებისთვის სოციალური რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს/ბავშვებს. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში დავალების შესრულების მიზნით უწყების მიერ დამტკიცდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია: 2023-2030 წწ.“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და დეინსტიტუციონალიზაციის სამოქმედო გეგმა 2023-2025წ.წ. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[26]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #60 | არ არის შესრულებული |
| შეაფასოს მხარდაჭერის სისტემის ყველა ეტაპი და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შეიმუშაოს სათანადო ცვლილებების განხორციელების სტრატეგია აღნიშნულ სფეროში სისტემური და კოორდინირებული პოლიტიკის გასატარებლად. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში დავალების შესრულების მიზნით უწყებას არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები. | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[27]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #61 | არ არის შესრულებული |
| შეიმუშაოს სპეციალიზებულ მინდობით აღმზრდელთა მოძიების/დაინტერესების ეფექტიანი მექანიზმები. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა დავალებაში მითითებული მექანიზმები. | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[28]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #62 | არ არის შესრულებული |
| გააძლიეროს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის მზრუნველობამოკლებული ბავშვების რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში ჩართული ოჯახების მხარდამჭერი ღონისძიებები, მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე | |
| კომენტარი | |
| საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის პროგრამის მზრუნველობამოკლებული ბავშვების რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში არ არის რაიმე სიახლე მხარდაჭერის ღონისძიებების მიმართულებით. | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[29]“ |

| დავალება #63 | არ არის შესრულებული |
|---|---|
| გადახედოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის ამბულატორიული დიაგნოსტირების ხარჯის დაფინანსების საკითხს. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*განახლდეს ამბულატორიული დიაგნოსტირების ხარჯის დაფინანსება ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, რომელიც 2017 წლამდე ფინანსდებოდა;*<br><br>მიუხედავად იმისა, რომ დავალება ითვალისწინებს ამბულატორიული დიაგნოსტირების ხარჯების დაფინანსების საკითხის ცვლილებას, მასში არ არის მითითებული 2017 წლამდე არსებული მოდელის ამოქმედება.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გადაუდგამს დავალების შესრულების მიზნით ქმედითი ნაბიჯი. | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[30]“ |

| დავალება #64 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
|---|---|
| საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტებისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეფექტიანად მისაწოდებლად განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები; გადახედოს „რეფერალური მომსახურების“ ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს და სათანადო შემთხვევის უმოკლეს ვადაში განხილვის საკითხს. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ გადადგმულ ნაბიჯს, რომლის საფუძველზეც დავალებაში მითითებული კომისიები 2022 წლიდან სხდომებს ყოველ კვირა მართავენ. თუმცა კვლავ იკვეთება შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილების მიღებისთვის კომისიას ხანგრძლივი ვადები სჭირდება. | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[31]“ |

| დავალება #65 | სრულად არის შესრულებული | | |
|---|---|---|---|
| საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მომუშავე ექიმები ჩართოს გადამზადების იმ პროგრამებში, რომლებსაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მომუშავე ექიმები გადიან, აგრეთვე გაზარდოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერა | | | |
| კომენტარი | | | |
| სახალხო დამცველი მიესალმება ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამედიცინო პერსონალისთვის „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამაში“ ჩართვის შესაძლებლობის მინიჭებას. აგრეთვე, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული საექიმო სპეციალობების მაძიებლების დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების)/სარეზიდენტო პროგრამებში მზადების საფასურის დაფინანსებას. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[32]“ |

| დავალება #66 | არ არის შესრულებული | | |
|---|---|---|---|
| დროებით ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად წარუდგინოს „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანებით განსაზღვრული საცხოვრებლით უზრუნველყოფილი დევნილებისთვის უძრავი ქონების 3 წლის განმავლობაში გასხვისების აკრძალვის საკითხი და უზრუნველყოს ამ საკითხის ინკლუზიურად განხილვა. | | | |
| კომენტარი | | | |
| დავალებაში აღნიშნული საკითხი არ იქნა წარდგენილი განსახილველად. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[33]“ |

| დავალება #67 | სრულად არის შესრულებული | | |
|---|---|---|---|
| ეკომიგრანტთა განსახლებისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის გასაზრდელად შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას. | | | |
| კომენტარი | | | |
| 2021 წელს დავალებაში მითითებულ მიმართულებაზე დაიხარჯა 7,559,900 ლარი, ხოლო 2022 წელს - 8,242,700 ლარი. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[34]“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #68 | ნაწილობრივ არის შესრულებული | | |
| შეიმუშაოს იმიგრანტთა ინტეგრაციის შესახებ ერთიანი მიდგომების თაობაზე სამართლებრივი აქტის პროექტი. | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში არ შემუშავებულა დავალებაში მითითებულ საკითხზე სამართლებრივი აქტის პროექტი, თუმცა დავალების შესრულების მიზნით უწყებამ მოამზადა შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტი. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[35]“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #69 | სრულად არის შესრულებული | | |
| პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლებს წარუდგინოს დეტალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა უფლებების თაობაზე. | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებამ უზრუნველყო დავალებაში აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება. დამატებით, სახალხო დამცველი მიესალმება უწყების სამომავლო გეგმებს, რომლის მიხედვითაც დავალების შესრულების მიზნით მომზადდება ბუკლეტები პჯდ დაწესებულებებისთვის. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[36]“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #70 | რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას | | |
| გააძლიეროს და დახვეწოს ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების ბენეფიციართა გაძლიერების პროგრამები. | | | |
| კომენტარი | | | |
| სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[37]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #71 | რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას |

| | | | |
|---|---|---|---|
| გადახედოს ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებში პირველადი საჭიროების ნივთების გაცემის წესს და მათ ჩამონათვალს და განაახლოს აღნიშნული წესი და ჩამონათვალი არსებული საჭიროების დასაკმაყოფილებლად. | | | |
| კომენტარი | | | |
| სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[38]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #72 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| ხელი შეუწყოს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებსა და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებში დასაქმებულ პირთა გადამზადებას აღსაზრდელთა რთული ქცევის, ემოციური გამწვავების პრევენციისა და მართვის საკითხებში, აგრეთვე თითოეულ სახლში/თავშესაფარში არასრულწლოვანებთან მუშაობის კუთხით გამოვლენილ სხვა სპეციფიკურ თემებზე. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში აღმზრდელთა გადამზადებას და მოუწოდებს უწყებას ხელი შეუწყოს ყველა სხვა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებსა და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებში დასაქმებულ პირთა გადამზადებას აღსაზრდელთა რთული ქცევის, ემოციური გამწვავების პრევენციისა და მართვის საკითხებში, აგრეთვე თითოეულ სახლში/თავშესაფარში არასრულწლოვანებთან მუშაობის კუთხით გამოვლენილ სხვა სპეციფიკურ თემებზე. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[39]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #73 | არ არის შესრულებული |
| უწყებათაშორისი თანამშრომლობის, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან თანამშრომლობის, საფუძველზე მოახდინოს ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 24-საათიანი მომსახურების მისაწოდებლად. | |
| კომენტარი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ამ ეტაპზე აჭარის ა/რ-ში არ ფუნქციონირებს 24-საათიანი მომსახურების მისაწოდებლად დავალებაში მითითებული მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარი. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[40]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #74 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| შეაფასოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ადამიანური და მატერიალური რესურსებით გაძლიერების, მათ შორის, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის გაზრდის, საჭიროება და შეიმუშაოს შესაბამისი გეგმა. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ დავალებაში მითითებულ სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა რაოდენობის ზრდას, თუმცა შტატების სრული შევსების მიზნით უწყებას შესაბამისი გეგმა არ შეუმუშავებია. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[41]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #75 | არ არის შესრულებული |
| უზრუნველყოს სპეციალურ მინდობით აღმზრდელთა გადამზადება; შშმ ბავშვის მინდობით აღსაზრდელად განთავსებამდე მიიღოს ინფორმაცია მიმღებ ოჯახში ხელმისაწვდომი გარემოს და დამხმარე მოწყობილობების შესახებ, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი არსებობა. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიზანი იყო უწყებას შეექმნა შშმ ბავშვებისთვის მინდობით აღზრდის განთავსების ოჯახებში ხელმისაწვდომი გარემო, რაზეც საანგარიშო პერიოდში ქმედითი ნაბიჯები არ განხორციელებულა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[42]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #76 | არ არის შესრულებული |
| გააძლიეროს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მზრუნველობამოკლებული ბავშვების რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში ჩართულ შშმ ბავშვთა ოჯახები მათი საჭიროებების შესაბამისად, შშმ ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში დაბრუნების თავიდან ასაცილებლად. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| კომენტარი | | | |
| საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის პროგრამა არსებითად არ განსხვავდებოდა წინა წლის იმავე პროგრამისგან. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[43]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #77 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| გააძლიეროს მონიტორინგის სისტემა სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მინდობით აღზრდის ქვეპროგრამასა და მზრუნველობამოკლებული ბავშვების რეინტეგრაციის ქვეპროგრამაში ჩართულ შშმ ბავშვთა მდგომარეობის ეფექტიანი მონიტორინგისთვის. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის გაძლიერების მიზნით უწყებამ სოციალური მუშაკის პოზიციაზე შტატგარეშედ ასაყვანი პირების რაოდენობა გაზარდა 25 ერთეულით, თუმცა 2022 წელს 2021 წელთან შედარებით, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში ფაქტობრივად დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 11-ით. | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[44]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #78 | არ არის შესრულებული |
| გააძლიეროს მონიტორინგი, შეიმუშაოს და აამოქმედოს ეფექტიანი მეთოდოლოგია შშმ ბავშვთა/პირთა სპეციალიზებულ დაწესებულებებში ძალადობის თავიდან ასაცილებლად | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ არ შემუშავებულა და არ ამოქმედებულა დავალებაში მითითებული მეთოდოლოგია | |
| დადგენილების პუნქტი | 6 | ქვეპუნქტი | „ჰ[45]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #79 | რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას |

| | | | |
|---|---|---|---|
| გააძლიეროს სამართალდამცავ უწყებებთან თანამშრომლობა შშმ პირთა მიმართ ძალადობის (მათ შორის, ოჯახში ძალადობის) ფაქტების შესწავლისა და მათზე რეაგირების პროცესში. | | | |
| კომენტარი | | | |
| სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[46]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #80 | რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
| უზრუნველყოს სახელმწიფო სოციალური პროგრამებით მოსარგებლე ან ამ პროგრამებით სარგებლობის მაძიებელ იმ შშმ პირთა შესახებ სტატისტიკის წარმოება, რომლებიც თავშესაფრის მაძიებლები ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირები არიან, მათ შორის, ძალადობის შემთხვევების აღრიცხვის დროს. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[47]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #81 | არ არის შესრულებული |
| აღრიცხოს დევნილთა განსახლების ყველა ობიექტი, რომლებიც შესაძლებელია მობინადრეთათვის მდგრადობის კუთხით საფრთხის შემცველი იყოს, და საჯარო ან სხვა წყაროებიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში მოამზადოს საექსპერტო შეფასება. | |
| კომენტარი | |
| 2022 წლის განმავლობაში სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს არ მიუმართავს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის დევნილთა განსახლების ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შემოწმების მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა აცნობა სააგენტოს ზოგიერთი ობიექტში მძიმე საცხოვრებელი პირობების შესახებ მდგრადობის კუთხით შესაძლო საფრთხის თაობაზე. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 6 | ქვეპუნქტი | „ჰ[48]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #82 | ნაწილობრივ არის შესრულებული |

2022 წელს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის შემცველი დევნილთა ყოფილი კოლექტიური განსახლების ობიექტებიდან გრძელვადიანად განასახლოს არანაკლებ 550 დევნილი ოჯახი.

**კომენტარი**

უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2022 წლის განმავლობაში გაუქმდა 8 სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ან/და სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ობიექტი, საიდანაც, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იქნა 272 დევნილი ოჯახი.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[49]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #83 | სრულად არის შესრულებული |

საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებული გეოლოგიური დასკვნების გაანალიზების შედეგად გამოავლინოს მაღალი რისკის პირობებში მცხოვრები ოჯახები და განსახლებისთვის გამოყოფილი თანხის არანაკლებ 30%-ისა ასეთი ოჯახების განსახლებას მოახმაროს.

**კომენტარი**

უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2022 წლის განმავლობაში ეკომიგრანტი ოჯახების განსახლებისათვის დაიხარჯა 8 056 300 ლარი. აქედან, გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დასკვნით დადასტურებული მაღალი რისკის პირობებში მყოფი 101 ოჯახის განსახლებას მოხმარდა 3 004 400 ლარი (დაახლ. 37%).

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[50]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #84 | ნაწილობრივ არის შესრულებული |

2022 წელს დაასრულოს 2004–2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი ფართობების საკუთრებაში გადაცემის პროცესი.

**კომენტარი**

საანგარიშო პერიოდში არ დასრულებულა დავალებაში მითითებული პროცესი. თუმცა უწყებამ 2004–2012 წლებში სარგებლობის უფლებით გადაცემული 95 ქონება დააიდენტიფიცირა და სახელმწიფო საკუთრებად დაარეგისტრირა. აქედან, დასრულებულია 61 ოჯახის იდენტიფიცირება და მიმდინარეობს განკარგულების პროექტის მომზადების პროცედურები. ასევე, გაიგზავნა შუამდგომლობის წერილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, 136 ბენეფიციარი ოჯახის სარგებლობაში

| | | | |
|---|---|---|---|
| არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის საკითხის, საქართველოს მთავრობაზე წარდგენის მიზნით. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[51]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #85 | არ არის შესრულებული |
| გააანალიზოს ქართული ენის სწავლების მეთოდების ხარვეზები და სწავლება ბენეფიციართა საჭიროებებს მოარგოს. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გადაუდგამს რაიმე ხელშესახები ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით. | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[52]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #86 | სრულად არის შესრულებული |
| ინტეგრაციის პროგრამების თაობაზე ინფორმაცია გავრცელებულია შესაბამისი სოციალური ქსელის/ვებგვერდის საშუალებით. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გადაუდგამს რაიმე ხელშესახები ნაბიჯი დავალების შესრულების მიზნით. | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[53]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #87 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| შექმნას ბენეფიციართა შესახებ მონაცემების ერთიანი ბაზა. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში არ შექმნილა ბენეფიციართა მონაცემთა ერთიანი ბაზა, თუმცა უწყება ახორციელებდა ბენეფიციარებთან კომუნიკაციასა და ადგენდა მათ საჭიროებებს კომპეტენციის ფარგლებში. | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[54]“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #88 | სრულად არის შესრულებული | | |
| დროულად დაასრულოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შრომის ინსპექციის სამსახურის (მათ შორის, მისი რეგიონული წარმომადგენლობების) ვაკანტური თანამდებობების დაკომპლექტება. | | | |
| კომენტარი | | | |
| უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გამოცხადდა კონკურსები და შეივსო ვაკანტურ თანამდებობათა ძალიან დიდი ნაწილი. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[55]“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #89 | სრულად არის შესრულებული | | |
| საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – შრომის ინსპექციის სამსახურისთვის 2021 წლის 1 იანვრიდან მინიჭებული მანდატის შესახებ დასაქმებულთა ცნობიერების ასამაღლებლად განახორციელოს ეფექტიანი საინფორმაციო კამპანია შრომითი უფლებების დაცვის მიმართულებით. | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში უწყება აქტიურად ახორციელებდა დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების მიზნით კამპანიებს, რომელიც მოიცავდა შრომითი კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[56]“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #90 | არ არის შესრულებული | | |
| გაუმჯობესოს საქმისწარმოების პროცედურის განმსაზღვრელი ნორმა/სტანდარტი, რომლითაც დგინდება სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესაფასებლად მომზადებული სარეცენზიო დოკუმენტაციის პროფესიული განვითარების საბჭოსთვის განსახილველად დროულად და სრულყოფილად წარდგენის ვალდებულება; | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გაუმჯობესებია საქმისწარმოების პროცედურის განმსაზღვრელი ნორმა/სტანდარტი დავალების შესრულების მიზნით. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[57]“ |

| დავალება #91 | არ არის შესრულებული |
|---|---|

საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურების ერთიანი სტანდარტი იმგვარად, რომ არ გააუარესოს რომელიმე სამიზნე ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობა.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება გაცემული იყო რეკომენდაციის სახით საქართველოს მთავრობის მიმართ შემდეგი ფორმულირებით:

> *საკანონმდებლო ინიციატივის გზით შეიმუშაოს ორსულობისა და მშობიარობის გამო, ასევე ბავშვის მოვლის გამო შვებულებების ანაზღაურების ერთიანი სტანდარტი იმგვარად, რომ არ გააუარესოს რომელიმე სამიზნე ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობა;*

საქართველოს კანონმდებლობით, საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავების უფლებამოსილება არა სამინისტროს, არამედ საქართველოს მთავრობას აქვს. სამინისტროს როლი, მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივის პროექტის შემუშავება არის. გამომდინარე ადრესატის ცვლილებისა, რეკომენდაცია ნაწილობრივ გაზიარებულად ითვლება.

<u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u>

საანგარიშო პერიოდში არ გადადგმულა რაიმე ხელშესახები ნაბიჯი, რათა შემუშავებულიყო დავალებაში მითითებული ერთიანი სტანდარტი.

| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[58]“ |
|---|---|---|---|

| დავალება #92 | არ არის შესრულებული |
|---|---|

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვისას გაითვალისწინოს სამედიცინო მოდელის მოქმედებით განპირობებული უთანასწორობა და შშმ პირთა ინდივიდუალური საჭიროებები.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

*შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელი სრულად ჩანაცვლდეს სოციალური მოდელით. ამ ცვლილებამდე კი, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაგეგმვისას გაითვალისწინოს სამედიცინო მოდელის მოქმედებით განპირობებული უთანასწორობა და მხედველობაში მიიღოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური საჭიროებები*

პარლამენტის მიერ გაცემულ დავალებაში არ არის მითითებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელის სრულად სოციალური მოდელით ჩანაცვლება. თუმცა რეკომენდაციის დანარჩენი ნაწილი გადმოტანილია უცვლელად.

<u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u>

საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ არ გადადგმულა რაიმე ქმედითი ნაბიჯი, რათა შემცირებულიყო დავალებაში მითითებული უთანასწორობა.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[59]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #93 | სრულად არის შესრულებული |

უზრუნველყოს საქართველოში COVID-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგი და ამ საკითხზე ანგარიში საზოგადოებას 6 თვეში ერთხელ მიაწოდოს.

| |
|---|
| კომენტარი |

საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა დავალებაში მითითებული ინფორმაცია უწყების ვებ.გვერდზე გამოქვეყნებული ანგარიშით.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[60]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #94 | ნაწილობრივ არის შესრულებული |

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის კანონით დადგენილ ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დროული, ადეკვატური და ეფექტიანი კომპენსაციის გაცემის წესი.

| |
|---|
| კომენტარი |

| | | | |
|---|---|---|---|
| საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა ,,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" დადგენილება. თუმცა, კვლავ პრობლემურია კომპენსაციის გაცემის პირობები და კომპენსაციის გაცემის მოცულობა. არ არსებობს სპეციალური წესი ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც მოძალადის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა მისი შერაცხადობისა თუ გარდაცვალების გამო, თუმცა ჩადენილ ქმედებას დაზარალებული ჰყავს. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[61]“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #95 | სრულად არის შესრულებული | | |
| შეისწავლოს ონკოლოგიური პაციენტებისთვის არსებული პროგრამები და განიხილოს შესაბამისი სერვისების გაძლიერების შესაძლებლობა; | | | |
| კომენტარი | | | |
| უწყებამ შეასრულა გაცემული დავალება. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[62]“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #96 | არ არის შესრულებული | | |
| სოციალურ კოდექსზე მუშაობის პროცესში გაითვალისწინოს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი სოციალური საცხოვრისის მოწყობის მინიმალური სტანდარტები. | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ არ გადადგმულა რაიმე ქმედითი ნაბიჯი, რათა შემუშავებულიყო დავალებაში მითითებული სოციალური საცხოვრისის მოწყობის მინიმალური სტანდარტები. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[63]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #97 | არ არის შესრულებული |

| | | | |
|---|---|---|---|
| პასუხისმგებელი უწყებების ჩართულობით, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადახედოს დედათა და ბავშვთა თავშესაფრების დაფინანსების მოცულობას გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ არ გადადგმულა რაიმე ქმედითი ნაბიჯი, რათა გაძლიერებულიყო დავალებაში მითითებული ქვეპროგრამა. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[64]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #98 | არ ექვემდებარება შეფასებას |
| უწყებათაშორისი თანამშრომლობის, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან თანამშრომლობის, საფუძველზე გაზარდოს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. | |
| კომენტარი | |
| აღნიშნული შინაარსის დავალება უკვე გაცემული აქვს პარლამენტს. | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[65]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #99 | დავალება არ არის შესრულებული |
| ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო უწყებებში დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად შეიმუშაოს ახალი დასაქმების პროგრამები. | |
| კომენტარი | |
| დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა საჭიროების გათვალისწინებით არ შექმნილა რაიმე ახალი ან არ გაძლიერებულა არსებული დასაქმების პროგრამები. ხაზგასასმელია, რომ საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების სახელმწიფო პროგრამა არ ითვალისწინებს ეროვნული უმცირესობების საჭიროებებს. | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[66]“ |

| | |
|---|---|
| დავალება #100 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |

| | | | |
|---|---|---|---|
| საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობით შეისწავლოს ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების ფსიქიატრიული სტაციონარებიდან გაქცევის მიზეზები. | | | |
| კომენტარი | | | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*აღმოფხვრას ფსიქიატრიული სტაციონარებიდან გაქცეული ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების სტაციონარში დაბრუნების პრაქტიკა.*<br><br>დავალებაში, რეკომენდაციისგან განსხვავებით, ნაცვლად პრობლემის აღმოფხვრისა, მითითებულია მხოლოდ ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების გაქცევის გამომწვევი მიზეზების შესწავლა. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 7 | ქვეპუნქტი | „ჰ[67]“ |

# 10. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

## 10.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

| | |
|---|---|
| სრულად შესრულდა | 1 |
| ნაწილობრივ შესრულდა | 2 |
| არ არის შესრულებული | |
| ობიექტური გარემოების გამო შეუძლებელია შეფასდეს | |
| საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას | 1 |
| უწყებების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა | |
| არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის არც ერთი რეკომენდაციიდან / დუბლირებული დავალება | |
| ჯამში | 4 |

10.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა დეტალურად

| დავალება #1 | სრულად არის შესრულებული | | |
|---|---|---|---|
| დროულად შეიმუშაოს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისი სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა სულ მცირე 10-წლიანი პერიოდისთვის და უზრუნველყოს მის დასამტკიცებლად გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ყველა პროცედურის ჯეროვნად და დროულად წარმართვა. | | | |
| კომენტარი | | | |
| სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ დავალების შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებს. კერძოდ, უწყებამ მოამზადა სკოპინგის ანგარიში სტრატეგიული დოკუმენტების პროექტებზე, რომელიც 2022 წლის 21 დეკემბერს წარედგინა როგორც სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, დოკუმენტები გასაჯაროვდა, როგორც სამინისტროს, ასევე სსიპ-გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე. 2023 წლის იანვარში, კანონით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, დასრულდა შენიშვნების, რეკომენდაციებისა და კომენტარების მიღება აღნიშნულ დოკუმენტებზე. მიმდინარე წლის 13 თებერვალს სსიპ - გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, სამინისტროს მოაწოდა სკოპინგის ანგარიშის დასკვნა, რომლის მიხედვით შემუშავდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 8 | ქვეპუნქტი | „ა“ |

| დავალება #2 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
|---|---|
| უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან სარეგისტრაციო წარმოების ფარგლებში მიღებულ კორესპონდენციაზე დროული რეაგირება. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართვებზე რეაგირების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს, რომლის შედეგადაც 2022 წლის განმავლობაში 914 კორესპოდენციიდან 725 კორესპონდენციაზე დასრულებულია წარმოება და შესაბამისი პასუხები გაიგზავნა საჯარო რეესტრში (2023 წლის 16 იანვრის მონაცემებით). ამავდროულად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს წარმოებაში რჩება მიმართვების გარკვეული რაოდენობა, რომელზეც რეაგირება გაუმართლებლად ჭიანურდება. | |

| დადგენილების პუნქტი | 8 | ქვეპუნქტი | „ბ“ |
|---|---|---|---|

| დავალება #3 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას. |
|---|---|
| გააუმჯობესოს ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაციის/მონაცემების გამჭვირვალობა საქმიანობის დაგეგმვის ყველა ეტაპზე. | |
| კომენტარი | |
| რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც პარლამენტმა აღნიშნული დავალება გასცა, 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიემართებოდა საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობა არის ის ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანო, რომლის კომპეტენციაშიც შედის ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაციის/მონაცემების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საქმიანობის დაგეგმვის ყველა ეტაპზე. საკითხი გააქტიურდა ე.წ. ნამახვანჰესის პროექტიდან გამომდინარე ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შედეგად, რომლის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მოქალაქეთა ინფორმირებული ჩართულობის პრობლემა წარმოადგენს კომპლექსურ საკითხს პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე და არ მიემართება მხოლოდ ცალკეული სამინისტროს საქმიანობაში არსებულ გამოწვევას. გამომდინარე აქედან, პარლამენტის მიერ დავალების ადრესატად მხოლოდ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მითითება, ცვლის სახალხო დამცველის რეკომენდაციის სულისკვეთებას. | |

| დადგენილების პუნქტი | 8 | ქვეპუნქტი | „გ“ |
|---|---|---|---|

| დავალება #4 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
|---|---|
| ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებთან მიმართებით დაამტკიცოს ტექნიკური რეგლამენტი დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ. | |
| კომენტარი | |
| საქართველოს კანონმდებლობით, დავალებაში მითითებული რეგლამენტის შემუშავების უფლებამოსილება არა სამინისტროს, არამედ საქართველოს მთავრობას აქვს. სამინისტროს როლი, მხოლოდ რეგლამენტის პროექტის შემუშავება არის. გამომდინარე ადრესატის ცვლილებისა, რეკომენდაცია ნაწილობრივ გაზიარებულად ითვლება.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>ამ ეტაპზე შემუშავებულია ზემოაღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის პროექტი, რომლის წარდგენაც, სამინისტროს ცნობით, იგეგმება საქართველოს მთავრობის მიმართ დასამტკიცებლად. საანგარიშო პერიოდში სამინისტროს აღნიშნული პროექტი მთავრობის წინაშე არ წარუდგენია. | |

| დადგენილების პუნქტი | 8 | ქვეპუნქტი | „დ“ |
|---|---|---|---|

# 11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## 11.1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საპარლამენტო დავალებების შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

| | |
|---|---|
| სრულად შესრულდა | 1 |
| ნაწილობრივ შესრულდა | 14 |
| არ არის შესრულებული | 10 |
| ობიექტური გარემოების გამო შეუძლებელია შეფასდეს | 1 |
| საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას | 3 |
| უწყებების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა | 2 |

| | |
|---|---|
| არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის არც ერთი რეკომენდაციიდან / დუბლირებული დავალება | 2 |
| ჯამში | 33 |

ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობის დინამიკა გასული წლების მონაცემების მიხედვით.




11.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა დეტალურად

| დავალება #1 | ობიექტური გარემოებების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
|---|---|
| შეისწავლოს ადამიანის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლების ფორმალური და არაფორმალური განათლების სისტემებში სრულყოფილად ინტეგრირების საჭიროება და იდენტიფიცირებულ საჭიროებათა შესაბამისად დაგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით: | |

*ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება სრულყოფილად ინტეგრირდეს ფორმალური და არაფორმალური განათლების სისტემებში.*

სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიზანი იყო ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება სრულყოფილად ინტეგრირებულიყო ფორმალური და არაფორმალური განათლების სისტემაში. პარლამენტის მიერ გაცემული დავალება კი მხოლოდ საკითხის შესწავლასა და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირებას მოიაზრებს.

<u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u>

სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია საანგარიშო პერიოდში შეისწავლა თუ არა უწყებამ დავალებაში მითითებული საკითხი და შესწავლის შემდგომ დაგეგმა თუ არა კონკრეტული ღონისძიებები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპისთვის ფორმალურ და არაფორმალურ განათლების სისტემაში არ არის სრულყოფილად ინტეგრირებული ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლება (სახალხო დამცველი არ აფასებს დავალებას რეპროდუქციული განათლების ინტეგრირების ნაწილში, რადგან აღნიშნული სცდება სახალხო დამცველის რეკომენდაციას და წარმოადგენს ცალკე საკითხს).

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ა“ |

| | |
|---|---|
| დავალება #2 | არ არის შესრულებული |

პოლიტიკის დოკუმენტებში ასახოს ადამიანის უფლებათა სწავლების კომპონენტი საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

*შემუშავდეს ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, შესაბამისი საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით*

პარლამენტის მიერ გაცემულ დავალებაში, რეკომენდაციისგან განსხვავებით, არ არის დაკონკრეტებული ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. თუმცა, მითითებულია პოლიტიკის დოკუმენტები, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს ზემოთ დასახელებულ დოკუმენტებსაც.

<u>სახალხო დამცველის შუალედური დასკვნა: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u>

| | | | |
|---|---|---|---|
| საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გადაუდგამს დავალების შესრულების მიზნით რაიმე ხელშესახები ნაბიჯი. დღემდე არ შესულა რაიმე ცვლილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 – 2030 ეროვნულ სტრატეგიასა და მისი 2022 – 2024 წლების სამოქმედო გეგმაში. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ბ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #3 | არ არის შესრულებული |
| საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიასა (2022–2030) და მის 2022–2024 წლების სამოქმედო გეგმაში ფორმალური განათლების ყოველი საფეხურისთვის განსაზღვროს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ხელშეწყობისკენ მიმართული ამოცანები/აქტივობები და შესაბამისი გაზომვადი ინდიკატორები; | |
| კომენტარი | |
| რეკომენდაცია, რომლის საფუძველზეც პარლამენტმა აღნიშნული დავალება შეიმუშავა, სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში გაცემული იყო საქართველოს მთავრობის მიმართ, რადგან მითითებული სამოქმედო გეგმა მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ამ პროცესში სამინისტროს მხოლოდ დადგენილების პროექტის წარდგენის კომპეტენცია აქვს.<br><br>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული<br><br>სამინისტროს მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას დავალების შესრულების მიზნით რაიმე ახალი ამოცანის/აქტივობის და შესაბამისი გაზომვადი ინდიკატორების შესახებ მუშაობის თაობაზე. მეტიც, სამინისტრო უთითებს, რომ სამოქმედო გეგმის არსებული რედაქცია უზრუნველყოფს დავალების შესრულებას. აგრეთვე, საანგარიშო პერიოდში დავალებაში მითითებულ სამოქმედო გეგმაში არ შესულა რაიმე ცვლილება. | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ბ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #4 | არ არის შესრულებული |
| გადახედოს სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების არსებულ პროცედურას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ყველა ეტაპზე ადამიანის უფლებათა ექსპერტის ჩართულობა. | |
| კომენტარი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირებისას, რეცენზირების ფარგლებში საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილმა სააპელაციო კომისიამ გასაჩივრებული საგნის, ასევე თემატიკის მიხედვით, კომისიის ვალდებულებად განისაზღვროს ადამიანის უფლებათა ექსპერტის მოწვევა, გადაწყვეტილების მიღების უფლებით;*<br><br>პარლამენტის მიერ გაცემულ დავალებაში, რეკომენდაციისგან განსხვავებით, არ არის ადრესატი უწყებისთვის განსაზღვრული ადამიანის უფლებათა ექსპერტის მოწვევისას მისთვის გადაწყვეტილების მიღების უფლების მინიჭება.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>არსებული წესი კომისიას კვლავ დისკრეციას უტოვებს მოიწვიოს ექსპერტი საკითხის განხილვის დროს. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „დ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #5 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| შეისწავლოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის საჯარო განხილვის ეტაპზე საზოგადოებრივ საწყისებზე მოსწავლეთა მშობლების ჩართულობის საჭიროება და დაგეგმოს მათი ჩართულობის წამახალისებელი ღონისძიებები. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*შეიცვალოს მაკეტის საჯარო განხილვის არსებული მოდელი, საზოგადოებრივი საწყისის უზრუნველსაყოფად პროცესში მოსწავლეთა მშობლების ჩართვის გზით;*<br><br>პარლამენტის მიერ გაცემული დავალება, რეკომენდაციისგან განსხვავებით, მხოლოდ საკითხის შესწავლასა და უწყების მიერ საჭიროების დადგენის შემთხვევაში შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას მოიცავს.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u> | |

| |
|---|
| სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია დავალებაში მითითებული საკითხი შესწავლა თუ არა უწყებამ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მაკეტის საჯარო განხილვის არსებულ მოდელში კვლავ არ შესულა ცვლილება. მეტიც, სამინისტრო არ იზიარებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას. ამავდროულად, სახალხო დამცველი მიესალმება დავალების შესრულების მიზნით მშობლების ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრების ჩატარებას და მათთვის განხილვებში ჩართულობის ფორმებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ე“ |

| | |
|---|---|
| დავალება #6 | სრულად არის შესრულებული |

| |
|---|
| უზრუნველყოს სკოლებში პროაქტიული მონიტორინგის განხორციელება რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის შემთხვევების გამოსავლენად და მიიღოს ყველა ზომა სათანადო რეაგირებისა და დარღვევების აღმოფხვრის მიზნით; |

| |
|---|
| კომენტარი |

| |
|---|
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>> შიდა აუდიტის დეპარტამენტმა საჯარო სკოლებში ჩაატაროს პროაქტიული მონიტორინგი „სამშობლოსმცოდნეობის” გაკვეთილების ორგანიზებაში სკოლების მონაწილეობის, ასევე, რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის სხვა შემთხვევების გამოსავლენად;<br><br>დავალებაში, რეკომენდაციისგან განსხვავებით, არ არის მითითებული „სამშობლოსმცოდნეობის“ გაკვეთილების ორგანიზებაში მონაწილე სკოლების გამოვლენის შესახებ.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური დასკვნა: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საანგარიშო წლის განმავლობაში დავალებაში მითითებული საკითხის შესასწავლად უწყებამ შემდეგ სკოლებში ჩაატარა მონიტორინგი: სსიპ - გიორგი ჭალადიდელის სახელობის სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ჭალადიდის საჯარო სკოლა; სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ რუსთავის №2 საჯარო სკოლა; სსიპ - ოთარ ჩხეიძის სახელობის გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ყელქცეულის საჯარო სკოლა; სსიპ - ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს N1 საჯარო სკოლა; სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის საჯარო სკოლა; სსიპ - ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლა. გამოვლენილ დარღვევებს კი მიეცა შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ვ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #7 | არ არის შესრულებული |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივ კრიტერიუმებში საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვროს ვალდებულება, სახელმძღვანელოს შინაარსში აისახოს იმგვარი მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს კონფლიქტის მშვიდობიან ტრანსფორმაციას და მშვიდობის კულტურის გაზიარებას. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში დავალების შესრულების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივ კრიტერიუმებში რაიმე ცვლილება არ შესულა. მეტიც სამინისტრო არ იზიარებს აღნიშნულ დავალებას. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ზ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #8 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე უზრუნველყოს ციფრული მოქალაქეობის იმგვარად სწავლება, რომ შესაძლებელი გახდეს ციფრული მოქალაქეობის შესახებ განათლების სრულფასოვნად ინტეგრირება ევროპის საბჭოს და ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება უწყების ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილ ცვლილებებს, რომელის შედეგადაც "კომპიუტერული ტექნოლოგიების“ საგანი 2021-2022 სასწავლო წლიდან სავალდებულოდ ისწავლება II - VI კლასებში. საგანს დაემატა ისეთი საკითხები, როგორიც არის ალგორითმული აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა და სხვა. თუმცა, ამ ეტაპზე ზოგადი განათლების დანარჩენი საფეხურისთვის არ არის აღნიშნული სიახლე უზრუნველყოფილი. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „თ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #9 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით, მოსწავლეთა მიერ სწავლის მიტოვების თავიდან ასაცილებლად განსაზღვროს შესაბამისი ღონისძიებები (მათ შორის, პედაგოგთა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები) და საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული საკითხი ნორმატიულ დონეზე დაარეგულიროს. | |

| კომენტარი | | | |
|---|---|---|---|
| სახალხო დამცველი მიესალმება დავალების შესრულების მიზნით სკოლებისთვის შესაბამისი ინფორმაციისა და ინსტრუქციის მიწოდებას. მიუხედავად ამისა, არ ჩატარებულა პედაგოგთა გადამზადება, რაც აუცილებელი პრაქტიკული კომპონენტია დავალების შესრულებისთვის. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ი“ |

| დავალება #10 | არ არის შესრულებული |
|---|---|
| ადგილობრივ დონეზე აღრიცხოს/შეაფასოს მოსწავლეთა მიერ სკოლის მიტოვების მაღალი მაჩვენებლის მიზეზები და მუნიციპალიტეტებთან, საჯარო სკოლებთან და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან თანამშრომლობით, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შეიმუშაოს ბავშვების მიერ სკოლის მიტოვების რისკის შემცირების გეგმა. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში სამინისტროს არ გადაუდგამს ნაბიჯები მოსწავლეთა მიერ სკოლის მიტოვების სტატისტიკის წარმოების მიზნით. შესაბამისად, არ შემუშავებულა აღნიშნული სტატისტიკის საფუძველზე დავალებაში მითითებული გეგმა. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატი არ იზიარებს უწყების პოზიციას, რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო ცვლილებებია აუცილებელი მოსწავლეთა მიერ სკოლის მიტოვების ზუსტი მიზეზების განსაზღვრისთვის. | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „კ“ |

| დავალება #11 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
|---|---|
| გადაამზადოს საჯარო სკოლების მასწავლებლები, მოსწავლეებისთვის კი განახორციელოს საგანმანათლებლო ღონისძიებები ბავშვთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის აკრძალვისა და ბულინგის თემაზე. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებამ მასწავლებელთა მხოლოდ ნაწილი გადაამზადა ბავშვთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის აკრძალვის, ბულინგისა და სხვა დაკავშირებულ საკითხზე. სახალხო დამცველის აპარატისთვის უცნობია დავალებაში მითითებულ საკითხზე რამდენი მოსწავლისთვის ჩატარდა საგანმანათლებლო ღონისძიება. | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ლ“ |

| დავალება #12 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაწილეობით გამოიკვლიოს სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში ჩართულ შშმ აღსაზრდელთა საჭიროებები და ზოგადი ტენდენციები და გამოვლენილი პრობლემების შესაბამისად დაგეგმოს სათანადო ღონისძიებები; | | | |
| კომენტარი | | | |
| საანგარიშო პერიოდში მხოლოდ 10 მუნიციპალიტეტში ჩატარდა დავალებაში მითითებული ღონისძიებები. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „მ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #13 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| მუნიციპალიტეტებთან აქტიური თანამშრომლობით და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაწილეობით, შემჭიდროებულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მონაცემთა სიღრმისეულად დამუშავება, ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ შშმ ბავშვთა საჭიროებების გამოვლენა და მათი შესაბამის სერვისებში ჩართვა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში არსებული მექანიზმების გაძლიერება. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ დავალების შესრულების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს, რომლითაც იდენტიფიცირდა დავალებაში მითითებული შშმ ბავშვთა საჭიროებები და ჩაერთვნენ შესაბამის სერვისებში. თუმცა, ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ყველა შშმ ბავშვის გამოვლენა და რეფერირება კვლავ პრობლემურად რჩება. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ნ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #14 | არ არის შესრულებული |
| გამოიკვლიოს დამაბრკოლებელი ფაქტორები, რომლებიც შშმ პირებს ხელს უშლის განათლების ზოგადი საფეხურის დასრულების შემდეგ სწავლის უმაღლეს საფეხურზე გაგრძელებაში, და, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები; | |
| კომენტარი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| უწყებისგან მიღებული პასუხით ირკვევა, რომ სამინისტრო აწარმოებს სსსმ სტუდენტების საჭიროებების კვლევას. თუმცა, აღნიშნული კვლევა არ მოიცავს კონკრეტულად დავალებაში მითითებულ საკითხს, რომლის საფუძველზეც უნდა დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ო“ |

| | |
|---|---|
| დავალება #15 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| მუნიციპალიტეტებთან და შესაბამის დაწესებულებებთან თანამშრომლობით მიიღოს სათანადო ზომები შშმ მოსწავლეებისთვის/სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად და მოამზადოს ანალიტიკური დოკუმენტი განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში გადაიდგა არაერთი ნაბიჯი შშმ მოსწავლეებისთვის/ სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით. თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება შშმ პირთათვის წვდომა ინფრასტრუქტურასა და სასწავლო რესურსებზე განათლების ყველა ეტაპზე. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „პ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #16 | არ არის შესრულებული |
| გამოიკვლიოს/შეაფასოს დისტანციური ინკლუზიური სწავლების ხარისხი განათლების ზოგად და უმაღლეს საფეხურებზე. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ არ განხორციელებულა დავალებაში მითითებული კვლევა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ჟ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #17 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| შეაფასოს უმაღლეს განათლებაში ჩართულ შშმ სტუდენტთა საჭიროებები და გამოვლენილი ტენდენციების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები. | |

| კომენტარი | | | |
|---|---|---|---|
| უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამინისტროში მიმდინარეობს დავალებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ აღნიშნული კვლევა დასრულდება უახლოეს მომავალში და შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „რ“ |

| დავალება #18 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
|---|---|
| საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის და საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით შეიმუშაოს/გააძლიეროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) შშმ სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ დავალების შესრულების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს, რომლითაც, მათ შორის, განახლდა აკრედიტაციის სტანდარტები, თუმცა მნიშვნელოვანია მათი პრაქტიკაში სათანადოდ დანერგვა. | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ს“ |

| დავალება #19 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
|---|---|
| იმ სკოლებში, სადაც სწავლება ეროვნული უმცირესობების ენებზე მიმდინარეობს, გააძლიეროს ბილინგვური სწავლების მოდელი, შეიმუშაოს ბილინგვური სწავლებისთვის საჭირო სასკოლო სახელმძღვანელოები; მოამზადოს/გადაამზადოს ორენოვანი მასწავლებლები. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება საანგარიშო პერიოდში უწყების მიერ დავალების შესრულების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს, თუმცა ბილინგვური სწავლების მოდელის დანერგვა დღემდე გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ კვლავ პრობლემურია საქართველოს სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენის, გამოცემისა და ამ საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი. | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ტ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #20 | ნაწილობრივ არის შესრულებული |

გააგრძელოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოების ეროვნული უმცირესობების ენებზე თარგმნა და გამოცემა და ამ სახელმძღვანელოებით სკოლების მომარაგება.

**კომენტარი**

უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2022-2023 სასწავლო წლისთვის არაქართულენოვანი სკოლების/ სექტორების I-IX კლასები სრულად უზრუნველყოფილნი არიან შესაბამის ენებზე ნათარგმნი განახლებული გრიფირებული სახელმძღვანელოებით. მიმდინარეობს 2022 წელს გრიფირებული X კლასის სახელმძღვანელოების თარგმნა. სახალხო დამცველი მიესალმება აღნიშნულ ნაბიჯებს და იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში სრულყოფილად განხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გამოცემული ყველა კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების ეროვნული უმცირესობების ენებზე თარგმნა და გამოცემა და ამ სახელმძღვანელოებით სკოლების მომარაგება.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „უ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #21 | არ არის შესრულებული |

საქართველოს სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის და ამ საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით წარმართვის უზრუნველსაყოფად პრიორიტეტების მიხედვით დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები.

**კომენტარი**

სამინისტროს მიერ გადადგმული გარკვეული ნაბიჯების მიუხედავად აღნიშნული საკითხის პრიორიტეტიზაცია ვერ ხერხდება. შედეგობრივად კვლავ პრობლემურია სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის საგნის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ფ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #22 | ნაწილობრივ არის შესრულებული |

შეისწავლოს სასწავლო რესურსების მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენებზე მომზადებისა და გამოცემის და მასწავლებელთა გადამზადების საჭიროებები და პრიორიტეტების მიხედვით დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები.

| კომენტარი |
|---|
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*უზრუნველყოს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა, აგრეთვე, პედაგოგთა გადამზადება;*<br><br>დავალებაში, რეკომენდაციისგან განსხვავებით, მოთხოვნილია საჭიროებების შესწავლა და შემდგომი რეაგირება.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>სამინისტრომ წარმოადგინა ინფორმაცია მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების შესწავლისთვის არსებული სასწავლო რესურსებისა და გამოცემასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს კომუნიკაცია ადგილობრივ თემთან ჩეჩნური ენის სახელმძღვანელოს შექმნაზე, რასაც სახალხო დამცველი მიესალმება. თუმცა კვლავ არ არის გადაწყვეტილი ქურთული/ყურმანჯი ენის სწავლის საკითხი. არც მასწავლებელთა გადამზადების საჭიროებების შესწავლა განხორციელებულა სამინისტროს მიერ. |

| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ქ“ |
|---|---|---|---|

| დავალება #23 | რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
|---|---|
| როგორც მულტიკულტურული პროგრამების, ისე სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციისთვის ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას. |

| კომენტარი |
|---|
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*როგორც მულტიკულტურული პროგრამების, ისე სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, ხელი შეუწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას, ამასთანავე, გააძლიეროს სტუდენტური და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამები ქვეყნის ფარგლებს შიგნით;* |

| |
|---|
| დავალებაში, რეკომენდაციისგან განსხვავებით, არ არის მითითებული სტუდენტური და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამების შესახებ ქვეყნის ფარგლებს შიგნით.<br><br>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული<br><br>უწყებამ არ წამოადგინა რელევანტური ინფორმაცია თუ რა განახორციელა დავალების შესრულების მიზნით და მიგვითითა, რომ აღნიშნული სცდება მის კომპეტენციას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ღ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #24 | რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
| ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებში/სოფლებში, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას და სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას; | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში ხელი შეუწყოს კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას, აღდგენასა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.*<br><br>დავალებაში, რეკომენდაციისგან განსხვავებით არ არის წარმოდგენილი სამინისტროს პროაქტიული როლი და მხოლოდ მუნიციპალიტეტების მიმართვის შეთხვევაში არის იგი ვალდებული ხელი შეუწყოს კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას, აღდგენასა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.<br><br>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული<br><br>უწყებამ არ წამოადგინა რელევანტური ინფორმაცია თუ რა განახორციელა დავალების შესრულების მიზნით და მიგვითითა, რომ აღნიშნული სცდება მის კომპეტენციას | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ყ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #25 | არ არის შესრულებული |

გააგრძელოს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ ან დაფინანსებულ საზაფხულო ბანაკებსა და საზაფხულო სკოლებში მყოფი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ქართული ენის სწავლება; სტუდენტებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის პარალელურად, შესთავაზოს ქართული ენის სასწავლო პროგრამები.

**კომენტარი**

საანგარიშო პერიოდში არ მიმდინარეობდა დავალებაში მითითებული საზაფხულო ბანაკები და სკოლები. უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2023 წლისთვის დაგეგმილია ბანაკების განხორციელება და მიმდინარეობს ბანაკების ორგანიზების მოსამზადებელი სამუშაოები. აგრეთვე, ამ ეტაპზე არ ამოქმედებულა სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამა.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „შ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #26 | არ არის შესრულებული |

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით განავითაროს უმაღლესი განათლების ხელშემწყობი პროგრამები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების უნივერსიტეტში სწავლის მიმართ დაინტერესებისა და მისი ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *შემუშავდეს სტიპენდიის ან/და საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა სტუდენტებისათვის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რათა გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მათ შეძლონ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება.*

პარლამენტის მიერ გაცემულ დავალებაში არ იქნა გათვალისწინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის ან/და საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა.

<u>სახალხო დამცველის შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ იქნა გაზიარებული</u>

საანგარიშო პერიოდში უწყებას არ გადაუდგამს რაიმე ნაბიჯი, რომელიც წაახალისებდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების უნივერსიტეტში სწავლის მიმართ დაინტერესებას.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ჩ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #27 | ნაწილობრივ არის შესრულებული |

გამოიკვლიოს განათლების ყველა ეტაპზე ჩართულ თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე მოსწავლეთა (მათ შორის, შშმ და სსსმ მოსწავლეთა) შესახებ სტატისტიკის წარმოების საჭიროება და კვლევის შედეგების მიხედვით დაგეგმოს შემდგომი ნაბიჯები.

## კომენტარი

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> უზრუნველყოს განათლების ყველა ეტაპზე ჩართულ თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე შშმ და სსსმ მოსწავლეთა სტატისტიკის წარმოება.

პარლამენტის მიერ გაცემულ დავალება, რეკომენდაციისგან განსხვავებით, მხოლოდ მითითებული საკითხის შესწავლასა და უწყების მიერ საჭიროების დადგენის შემთხვევაში შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას მოიცავს.

<u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u>

სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რომლის მიხედვითაც ინკლუზიური განვითარების კონცეფციის შესამუშავებლად ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მონაცემთა არსებულ ბაზებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები და ვერ ხერხდება ინკლუზიური განვითარების ყველა სამიზნე ჯგუფის სტატისტიკის წარმოება. მათ შორისაა თავშესაფრის მაძიებელი და საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირებიც. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიული უნარების სააგენტოს ინკლუზიური განვითარების გუნდი მუშაობს რეკომენდაციების პაკეტის მომზადებაზე, რომელიც მიეწოდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას

| | | | |
|---|---|---|---|
| შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ აღნიშნულ რეკომენდაციებში დაფარული იქნება სტატისტიკის წარმოების კომპონენტი. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ც“ |

| | |
|---|---|
| დავალება #28 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| 2022-2023 სასწავლო წლისთვის შეისწავლოს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ტესტისა და მხოლოდ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის ოდენობის გაზრდის საჭიროება. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*2022-2023 სასწავლო წლისთვის გაიზარდოს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, ასევე, მხოლოდ ზოგადი უნარების სომხურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა;*<br><br>სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია გამოყოფილი თანხების ზრდას მოიცავდა, ხოლო დავალება კი მხოლოდ საკითხის საჭიროების შესწავლით შემოიფარგლება. | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ძ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #29 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| 2022-2023 სასწავლო წლისთვის შეისწავლოს მხოლოდ ზოგადი უნარების რუსულენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის ოდენობის გაზრდის საჭიროება. | |
| კომენტარი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*2022-2023 სასწავლო წლისთვის, გამოიყოს თანხა მხოლოდ ზოგადი უნარების რუსულენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად;*<br><br>სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია თანხების გამოყოფას მიემართებოდა და არა ზრდას, ამასთანავე დავალება მხოლოდ საკითხის საჭიროების შესწავლით შემოიფარგლება. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „წ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #30 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |
| 2022-2023 სასწავლო წლისთვის შეისწავლოს ოსურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის ოდენობის გაზრდის საჭიროება. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*2022-2023 სასწავლო წლისთვის გაიზარდოს ოსურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა;*<br><br>სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია აღნიშნული გამოყოფილი თანხების ზრდას მოიცავდა, ხოლო დავალება კი მხოლოდ საკითხის საჭიროების შესწავლით შემოიფარგლება. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ჭ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #31 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| ხელი შეუწყოს ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის სწავლების პოპულარიზაციას, მათ შორის, მიზნობრივი პროგრამების შემუშავებით; | |

| კომენტარი | | | |
|---|---|---|---|
| სახალხო დამცველი მიესალმება დავალების შესრულების მიზნით უწყების მიერ საანგარიშო პერიოდში გადადგმულ ნაბიჯებს, თუმცა სახელმწიფო ენის სწავლების პოპულარიზაცია კვლავ პრობლემურია ეროვნულ უმცირესობებში. სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა მობილური ჯგუფების გამოყენებით არ მოიცავს დმანისის მუნიციპალიტეტს. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ხ“ |

| დავალება #32 | არ ექვემდებარება შეფასებას |
|---|---|
| ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებთან მიმართებით დაამტკიცოს ტექნიკური რეგლამენტი დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ. | |
| კომენტარი | |
| აღნიშნული შინაარსის დავალება პარლამენტმა უკვე გასცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ. | |
| დადგენილების პუნქტი | 9 | ქვეპუნქტი | „ჯ“ |

| დავალება #33 | არ ექვემდებარება შეფასებას |
|---|---|
| შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ კოორდინაციის გაწევით ხელი შეუწყოს საქართველოში დაბრუნებული/რეპატრიირებული მესხების თემის წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო ენის გამოცდაზე ორიენტირებული, ქართული ენის უფასო სასწავლო კურსების შეთავაზების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას. | |
| კომენტარი | |
| პარლამენტმა მოცემული შინაარსის დავალება დამატებით გასცა შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიმართ. რადგან რეკომენდაციის ადრესატიც აღნიშნული მინისტრის აპარატი იყო, სახალხო დამცველი შეაფასებს იმ დავალების შესრულებას, რომელიც თანხვედრაშია რეკომენდაციით განსაზღვრულ ადრესატთან. | |
| დადგენილების პუნქტი | 8 | ქვეპუნქტი | „ჰ“ |

# 12. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

პარლამენტმა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიმართ გასცა 5 დავალება, რომელთაგანაც 1 არ არის შესრულებული, 2 ნაწილობრივ შესრულდა, ხოლო 2 არ ექვემდებარება შეფასებას.

სამწუხაროდ, სამინისტროსთვის არაერთი მიმართვის მიუხედავად, უწყებამ უარი თქვა „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე და არ წარმოადგინა ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების მიზნით 2022 წლის განმავლობაში გადადგმული ნაბიჯების თაობაზე. [2] წინამდებარე ქვეთავში არსებული მონაცემები დაფუძნებულია უწყების მიერ პარლამენტისადმი წარდგენილ ინფორმაციაზე.

| დავალება #1 | ობიექტური გარემოების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
|---|---|
| კულტურის კოდექსის შემუშავებისას გაითვალისწინოს კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის სამართლებრივი რეგულირების საკითხი და უზრუნველყოს ამ პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. | |
| **კომენტარი** | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br>*უზრუნველყოს „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსის“ პროექტზე მუშაობის პროცესის გამჭვირვალობა და მასში პროფესიული წრეების ჩართულობა, დროულად დაასრულოს მიმდინარე სამუშაოები და მოახდინოს კანონპროექტის ინიცირება;*<br>დავალებაში, რეკომენდაციისგან განსხვავებით, არ არის მითითებული კოდექსის პროექტზე მუშაობის დასრულებისა და ნისი ინიცირების თაობაზე. | |

[2] იხ. სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 8 დეკემბრის №12-5/12237 წერილი. აგრეთვე, იხ. სხვა წერილები: 02.02.2022, №04-9/1283; 03.02.2022 №04-9/1411; 03.02.2022 №04-9/1412; 16.09.22 №04-15/9388; 13.07.2022 №04-9/7155; 21.02.2022 №04-9/2096. წერილები ეხებოდა გელათის სამონასტრო კომპლექსს, თავკვეთულას მონასტერს, წვერის წმინდა გიორგის ეკლესიას, შატილის კოშკებს, ეროვნული მუზეუმის შენობასა და ექსპონატებს, ასევე, გ. გ.-ის შრომით უფლებებს.

| |
|---|
| <u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>ამ ეტაპზე სახალხო დამცველის აპარატისთვის არ არის წარმოდგენილი კოდექსის პროექტი განსახილველად. დამატებით, შეუძლებელია შეფასდეს რამდენად იქნება კოდექსის პროექტის საბოლოო ვარიანტში გათვალისწინებული კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის სამართლებრივი რეგულირების საკითხი. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 10 | ქვეპუნქტი | „ა“ |

| | |
|---|---|
| დავალება #2 | არ არის შესრულებული |
| გააგრძელოს გელათის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული პროცესებისა და ინფორმაციის საჯაროობისა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; | |
| კომენტარი | |
| რეკომენდაციის მიზანი იყო გელათის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული პროცესების საჯაროობის უზრუნველყოფა ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით. შესაბამისად, ინფორმაციის მხოლოდ სოციალური მედიის საშუალებით გავრცელება არ არის რელევანტური და ეფექტური გზა საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 10 | ქვეპუნქტი | „ბ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #3 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| გააგრძელოს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობისა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობისა და კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შესაბამისი დარგის კვალიფიციური ექსპერტების ჩართულობის უზრუნველყოფა; | |
| კომენტარი | |
| რეკომენდაციის მიზანი იყო შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა და პროცესებში ფართო საზოგადოებრივი ჩართულობა. შესაბამისად, ინფორმაციის მხოლოდ სოციალური მედიის საშუალებით გავრცელება არ არის რელევანტური და ეფექტური გზა საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმთან დაკავშირებულ პროცესებში ჩართულები იყვნენ უცხოელი სპეციალისტები. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 10 | ქვეპუნქტი | „გ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #4 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| გააგრძელოს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა-ინვენტარიზაცია და არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში დაიწყოს ამ ძეგლების კონსერვაცია ან/და რესტავრაცია; | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზვარესა და სოფელ ძენწმანში მდებარე ჯამეების რეაბილიტაციის პროექტის შემუშავებას და იმედოვნებს, რომ აღნიშნული პროცესი უმოკლეს ვადაში დასრულდება. თუმცა მითითებული ძეგლები წარმოადგენს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის მხოლოდ მცირე ნაწილს. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 10 | ქვეპუნქტი | „დ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #5 | არ ექვემდებარება შეფასებას |
| საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და ადგილობრივ ხელისუფლებებთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებში/სოფლებში კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას და სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. | |
| კომენტარი | |
| აღნიშნული დავალება პარლამენტმა უკვე გასცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 10 | ქვეპუნქტი | „ე“ |

## 13. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართ პარლამენტის დადგენილებით გაიცა 3 დავალება, რომელთაგანაც 1 არ ექვემდებარება შეფასებას (წარმოადგენს სხვა დავალების დუბლირებას), ხოლო დანარჩენი 2 სრულად შეასრულა ადრესატმა უწყებამ.

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #1 | სრულად არის შესრულებული | | |
| აწარმოოს მოლაპარაკებები ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით, რათა რუსეთის ფედერაციამ და მისმა საოკუპაციო რეჟიმებმა საოკუპაციო ხაზის მთელ პერიმეტრზე უკანონო შეზღუდვების მოხსნით და ე. წ. გადასასვლელების შეუფერხებელი მუშაობით დაიცვან მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება. | | | |
| კომენტარი | | | |
| სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ დავალების შესრულების მიზნით გადადგმულ არაერთ ნაბიჯს საანგარიშო წლის განმავლობაში. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 11 | ქვეპუნქტი | „ა“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #2 | სრულად არის შესრულებული | | |
| აწარმოოს მოლაპარაკებები ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით, რათა რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დაუშვას საერთაშორისო დამკვირვებელთა სრული და შეუზღუდავი წვდომა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. | | | |
| კომენტარი | | | |
| სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ საანგარიშო პერიოდში არაერთი საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით მოლაპარაკებების წარმოებას დავალების შესრულების მიზნით. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 11 | ქვეპუნქტი | „ბ“ |

| | | | |
|---|---|---|---|
| დავალება #3 | არ ექვემდებარება შეფასებას | | |
| უზრუნველყოს, რომ რატიფიცირების მიზნით საქართველოს პარლამენტს წარედგინოს ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის კონვენცია „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ. | | | |
| კომენტარი | | | |
| აღნიშნული დავალება პარლამენტმა უკვე გასცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 11 | ქვეპუნქტი | „გ“ |

# 14. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

## 14.1. ზოგადი მიმოხილვა

| | |
|---|---|
| სრულად შესრულდა | 2 |
| ნაწილობრივ შესრულდა | 1 |
| საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას | 1 |
| ჯამში | 4 |

## 14.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების დეტალური შეფასება

| დავალება #1 | სრულად არის შესრულებული |
|---|---|
| გარკვეული სახელმწიფო და კერძო პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის 2011/92/EU დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად, შეისწავლოს სკრინინგის კრიტერიუმები და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*შეიმუშაოს დამატებითი ბერკეტები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებისას საკვლევი საკითხის სიღრმისეულად შესწავლისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად;*<br><br>რეკომენდაციის მიზანი იყო დამატებითი ბერკეტების შემუშავება, რომელიც სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებისას საკვლევი საკითხის სრულყოფილად შესწავლაში დაეხმარეობოდა უწყებას. დავალება კი მხოლოდ მითითებული ევროდირექტივით შემოიფარგლა მხოლოდ.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: დავალება ნაწილობრივ არის გაზიარებული</u> | |

| | | | |
|---|---|---|---|
| სახალხო დამცველი მიესალმება უწყების მიერ დავალების შესრულების მიზნით გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებასა და დამტკიცებას. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 12 | ქვეპუნქტი | „ა“ |

| | |
|---|---|
| დავალება #2 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| დაგეგმოს და უზრუნველყოს თემატური სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება (მაგალითად, ჰიდროელექტროსადგურების პროექტებთან, ელექტროგადამცემ ხაზებთან, მაგისტრალებთან დაკავშირებით) და იმსჯელოს ამ დოკუმენტებით ხელმძღვანელობის სავალდებულოობის მიზანშეწონილობაზე. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>> დაგეგმოს და უზრუნველყოს თემატური სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავება, მაგალითად, ჰიდროელექტრო პროექტებთან, ელექტროგადამცემ ხაზებთან, მაგისტრალებთან დაკავშირებით და გაატაროს საჭირო ღონისძიებები ამ დოკუმენტებით ხელმძღვანელობისათვის სავალდებულო ძალის მისანიჭებლად;<br><br>დავალებაში რეკომენდაციის მეორე ნაწილი მოდიფიცირებულია, რომლის შედეგადაც პარლამენტი ადრესატ უწყებას სახელმძღვანელო დოკუმენტებისთვის არა სავალდებულოობის მინიჭებას, არამედ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას ავალებს.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა დავალებაში მითითებული სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავების მიზნით. თუმცა, საანგარიშო პერიოდში სახელმძღვანელოს პროექტი არ ყოფილა დამტკიცებული. | |
| დადგენილების პუნქტი | 12 | ქვეპუნქტი | „ბ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #3 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |

| |
|---|
| შეისწავლოს საჯარო განხილვის ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით არსებული პრაქტიკა და ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებაში. |
| კომენტარი |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, ისეთი საჯარო განხილვა, რომელსაც არ დაესწრება არცერთი წარმომადგენელი, არ ჩაითვალოს ჩატარებულად;*<br><br>სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია უწყებას მიუთითებს ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე, დავალება კი მხოლოდ აღნიშნული საკითხის შესწავლასა და ამ შესწავლის შედეგების შესაბამისად მოქმედებას მოითხოვს. დავალება საერთოდ არ მოიცავს მინისტრის ბრძანებაში იმგვარი შინაარსის შეტანის შესაძლებლობას, რომლითაც ისეთი საჯარო განხილვა, რომელსაც არ დაესწრება არცერთი წარმომადგენელი, არ ჩაითვალოს ჩატარებულად. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 12 | ქვეპუნქტი | „გ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #4 | სრულად არის შესრულებული |
| შეისწავლოს საჯარო განხილვის ჩატარების ადგილის შერჩევასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა და ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>საჯარო განხილვისათვის ადგილის შერჩევისას, მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გაითვალისწინოს ყველა რელევანტური კრიტერიუმი, მათ შორის, ტერიტორიულობისა და ტრანსპორტირების საკითხები.<br><br>უწყებამ პარლამენტისადმი წარდგენილ ანგარიშში ასახა ინფორმაცია თუ როგორ მიმდინარეობდა საანგარიშო პერიოდში საჯარო განხილვის ჩატარების პრაქტიკა. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| დამატებით, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატისთვის საჯარო განხილვის შერჩევისას, მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის კუთხით, არ გამოვლენილა პრობლემა. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 12 | ქვეპუნქტი | „დ“ |

## 15. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

### 15.1. ზოგადი მიმოხილვა

| | |
|---|---|
| ნაწილობრივ შესრულდა | 2 |
| საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას | 2 |
| ჯამში | 4 |

### 15.2. უწყების მიმართ გაცემული დავალებების დეტალური შეფასება

| | |
|---|---|
| დავალება #1 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| კოორდინაცია გაუწიოს საქართველოში მცხოვრები, დაბრუნებული/ რეპატრიირებული მესხების თემის წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო ენის გამოცდაზე ორიენტირებული, ქართული ენის უფასო სასწავლო კურსების შეთავაზების მექანიზმების შემუშავებასა და განხორციელებას. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში მესხების თემის წარმომადგენლებისთვის მოქმედებდა სახელმწიფო ენის გამოცდაზე ორიენტირებული ქართული ენის სასწავლო კურსები. თუმცა, აღნიშნული კურსების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა შენარჩუნებულია. ასევე, სწავლის პროცესში ჩართულობის გაზრდაზე ორიენტირებული ღონისძიებების გარეშე, მხოლოდ კურსის არსებობა არ არის საკმარისი. | |
| დადგენილების პუნქტი | 13 | ქვეპუნქტი | „ა“ |

| | |
|---|---|
| დავალება #2 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |

განიხილოს საქართველოში დაბრუნებული მესხებისთვის საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების განახლებული მექანიზმების თაობაზე ინიციატივის წარდგენის საჭიროება.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> *2022 წლის განმავლობაში, შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას წარუდგინოს ინიციატივა საქართველოში დაბრუნებული მესხებისათვის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების განახლებული მექანიზმების თაობაზე*

სახალხო დამცველის გაცემული რეკომენდაცია მიუთითებს ინიციატივის წარდგენას, როდესაც დავალება მხოლოდ საკითხის საჭიროების განხილვას მოიცავს.

| | | | |
|---|---|---|---|
| დადგენილების პუნქტი | 13 | ქვეპუნქტი | „ბ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #3 | საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, განსახილველი დავალება არ ექვემდებარება შეფასებას |

ითანამშრომლოს საქართველოს პარლამენტთან ეროვნული უმცირესობებისთვის საკონსულტაციო მექანიზმების საქართველოს პარლამენტში შექმნის საკითხზე.

**კომენტარი**

სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:

> აღმასრულებელი ხელისუფლებების დონეზე, შეიქმნას ეფექტიანი ინსტიტუციონალიზებული საკონსულტაციო მექანიზმები უმცირესობებისთვის;

სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პარლამენტის ნებას მის ფარგლებში შეიქმნას საკონსულტაციო მექანიზმი. თუმცა, პარლამენტმა უწყებას დაავალა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მასთან თანამშრომლობა, მაშინ როდესაც პარლამენტს

| | | | |
|---|---|---|---|
| დამოუკიდებლად შეუძლია ამ ტიპის მექანიზმის შექმნა და ამისთვის უწყების თანამშრომლობა არ არის წინაპირობა. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 13 | ქვეპუნქტი | „გ“ |

| | |
|---|---|
| დავალება #4 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| შეიმუშაოს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ინტერეთნიკური და ინტერკულტურული დიალოგის გაძლიერების გეგმა და მექანიზმები თემთა შორის უკონფლიქტო ურთიერთობების განვითარებისთვის. | |
| კომენტარი | |
| საანგარიშო პერიოდში უწყებამ დაამტკიცა 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც, ცალკე სტრატეგიულ პრიორიტეტად არის გამოყოფილი კულტურათაშორისი დიალოგი, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა ამოცანებად, ამოცანის შედეგის ინდიკატორებად იშლება, რომლებიც ზოგადად ინტერეთნიკური და კულტურათაშორისი დიალოგის გაძლიერებას ემსახურება, თუმცა, არ არსებობს ერთიანი ხედვა, რომელიც კონფლიქტის გამოცდილების მქონე მუნიციპალიტეტებთან მიმართებით სიღრმისეულ ანალიზს დაეფუძნება. | |
| დადგენილების პუნქტი | 13 | ქვეპუნქტი | „დ“ |

## 16. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

| | |
|---|---|
| დავალება #1 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა განგრძობადი სწავლება შშმ ამომრჩეველთა უფლებებისა და საჭიროებების შესახებ. | |
| კომენტარი | |
| სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნებისთვის კომისიის წევრთათვის, ასევე 2022 წლის პირველი ოქტომბრის სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვისა კომისიის წევრთათვის და 2022 წლის 6 ოქტომბერს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთათვის ტრენინგების ჩატარებას, რომელიც მოიცავდა შშმ პირების უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2 აპრილის | |

| | | | |
|---|---|---|---|
| შუალედური არჩევნებისთვის, საარჩევნო კომისიის წევრთა მხოლოდ 44%-მა გაიარა ტრენინგი. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 15 | | |

## 17. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

| | |
|---|---|
| დავალება #1 | ნაწილობრივ არის შესრულებული |
| საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უზრუნველყოს მთავარი საინფორმაციო და ანალიტიკური გამოშვებების ეროვნული უმცირესობების ენებზე ტელევიზიით ტრანსლაცია და ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადებული მედიაპროდუქტის ტელეეთერით ხელმისაწვდომობასა და პოპულარიზაციას ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. | |
| კომენტარი | |
| საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელების მიუხედავად, კვლავ პრობლემურია ეროვნული უმცირესობების ენებზე ინფორმაციის ძირითადად ონლაინ პლატფორმის მეშვეობით გავრცელების პრაქტიკა. სამწუხაროა, რომ 2021 წლისგან განსხვავებით, როდესაც საქართველოს პირველმა არხმა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მოქმედ რამდენიმე რეგიონულ მედიასაშუალებასთან გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი, 2022 წელს დამატებით სხვა რეგიონებში მსგავსი თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების პრაქტიკა არ გაგრძელებულა. | |
| დადგენილების პუნქტი | 16 |

## 18. თანამდებობის პირები

საქართველოს პარლამენტმა ყველა თანამდებობის პირის მიმართ გასცა 2 დავალება, რომლებიც არ ექვემდებარებიან შეფასებას.

| | |
|---|---|
| დავალება #1 | ობიექტური გარემოების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |

| | | | |
|---|---|---|---|
| თანამდებობის პირებმა საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების დროს დაიცვან ადამიანის უფლებების დამცველთა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები და ხელი შეუწყონ მათ საქმიანობას. | | | |
| კომენტარი | | | |
| სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნული დავალება წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით:<br><br>*კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების განხორციელების დროს, დაიცვან უფლებადამცველთა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები. მათ შორის, თავი შეიკავონ უფლებადამცველთა დისკრედიტაციის კამპანიაში ჩართვისგან და ხელი შეუწყონ მათ საქმიანობას.*<br><br>დავალებაში, სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციისგან განსხვავებით, არ არის უფლებადამცველთა დისკრედიტაციის კამპანიაში ჩართვისგან თავის შეკავებისა და მათი საქმიანობის ხელშეწყობისკენ მოწოდება.<br><br><u>სახალხო დამცველის შუალედური შეფასება: რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გაზიარებული</u><br><br>აღნიშნული ტიპის დავალება არ ექვემდებარება შეფასებას. | | | |
| დადგენილების პუნქტი | 18 | | |

| | |
|---|---|
| დავალება #2 | ობიექტური გარემოების გამო არ ექვემდებარება შეფასებას |
| საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და სხვა საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა მიიღონ ზომები პოლიტიკური შეხედულებების გამო თანამშრომელთა (მათ შორის, ზოგადი განათლების სისტემასა და საბავშვო ბაღებში დასაქმებულ პირთა) მიმართ დისკრიმინაციული მიდგომების თავიდან ასაცილებლად. | |
| კომენტარი | |
| აღნიშნული ტიპის დავალება არ ექვემდებარება შეფასებას. | |
| დადგენილების პუნქტი | 19 |

# შეჯამება

წინამდებარე ანგარიშში გაანალიზდა პარლამენტის მიერ გაცემული 292 დავალება.[3] აღნიშნულთაგან 33 დავალება არ ექვემდებარება შეფასებას პარლამენტის მიერ მისი შინაარსის არსებითი ცვლილების გამო. ასევე, სახელმწიფო უწყებების მიერ, საქართველოს პარლამენტისა და სახალხო დამცველის აპარატისთვის რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის გამო შეუძლებელია 7 საპარლამენტო დავალების შესრულების მდგომარეობის შეფასება; დამატებით, 5 დავალება არ ფასდება დუბლირების საფუძვლით. **დავალებების დაახლოებით 19 % სრულად შესრულებულია,** ხოლო **ნაწილობრივ შესრულდა 24 %** და **შეუსრულებლად ფასდება 36 %.**

დავალებების შესრულების მდგომარეობა დეტალურად რაოდენობრივად შემდეგნაირად გამოიყურება:

| | |
|---|---|
| სრულად შესრულდა | 52 |
| ნაწილობრივ შესრულდა | 69 |
| არ არის შესრულებული | 105 |
| უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შეუძლებელია შეფასდეს | 21 |
| საქართველოს პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას | 33 |
| უწყებების მიერ რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა | 7 |
| არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის არც ერთი რეკომენდაციიდან / დუბლირებული დავალება | 5 |
| ჯამში | 292 |

[3] პარლამენტმა დადგენილებით 316 დავალება გასცა, რაც მოიცავს, მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალური ორგანოების მიმართ გაცემულ დავალებებს - ჯამში 24 დავალება. წინამდებარე ანგარიშში არ შეფასებულა აღნიშნული 24 დავალების შესრულების მდგომარეობა.




**რაც შეეხება სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებელს, პარლამენტმა დადგენილებაში გაიზიარა სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის 271 რეკომენდაცია (81.62%). შეიძლება ითქვას, რომ გაზიარების მაჩვენებელი 2021 წლის დადგენილებასთან მიმართებით იდენტურია (2021 წლის დადგენილებით პარლამენტმა სახალხო დამცველის რეკომენდაციების 82% გაიზიარა).**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა, სახალხო დამცველის რეკომენდაციების უმრავლესობა დადგენილებაში ასახა და იგი სახელმწიფო უწყებებისთვის შესასრულებლად სავალდებულო გახადა, აღნიშნული დავალებების შესრულების მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ გასულ წელთან შედარებით გაზრდილია იმ დავალებების შესრულების მაჩვენებელი, რომელიც სახალხო დამცველის შეფასებით სრულად და ნაწილობრივ არის შესრულებული. ასევე, საგრძნობლად არის შემცირებული არ შესრულებული დავალებების რაოდენობა.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მოუწოდებს სახელმწიფო უწყებებს გააცნობიერონ საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მნიშვნელობა, ხოლო, თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს გააძლიეროს საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული მის ხელთ არსებული ყველა მაკონტროლებელი მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენება, რათა გაუმჯობესდეს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა.

| რეკომენდაციები, რომელიც პარლამენტის დადგენილებაში არ აისახა | | |
|---|---|---|
| **ადრესატი უწყება** | **ანგარიშის თავი** | **რეკომენდაცია** |
| საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი | წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება | პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში, უზრუნველყოს პოლიციელთა მიერ დაკავებული პირისათვის უფლებების განმარტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესის ტექნიკური საშუალებებით (აუდიო-ვიდეო ჩანაწერებით) დაფიქსირება; |
| საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი | წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება | 2022 წელს, ტერიტორიული ორგანოების და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ეტაპობრივად აღიჭურვონ სამხრე კამერებით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება, ასევე, გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები; |
| საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი | წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება | „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანებით განისაზღვროს პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება. ვიდეოგადაღების ვალდებულება დაწესდეს შემდეგ შემთხვევებში: პირის ვინაობის დადგენა; ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება; სპეციალური შემოწმება |

| | | |
|---|---|---|
| | | და დათვალიერება, პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა, პირის დაკავება; |
| საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი | წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება | პოლიციის ავტომანქანები ეტაპობრივად აღიჭურვოს ავტომანქანის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემით; |
| საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი | წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება | ნორმატიული აქტით განისაზღვროს დაკავებული პირის პოლიციის ავტომანქანაში ყოფნის დროს უწყვეტი ვიდეოგადაღების ვალდებულება ავტომანქანის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეოკამერით ან მისი არარსებობის შემთხვევაში - სამხრე კამერით; |
| საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი | წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება | პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში სათვალთვალო კამერები დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა; |
| საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი | წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება | აღმოიფხვრას დაკავებული პირის პოლიციის უფროსების და უფროსის მოადგილეების კაბინეტებში შეხვედრის პრაქტიკა და მათთან შეხვედრა გაიმართოს მხოლოდ ვიდეომეთვალყურეობით აღჭურვილ სივრცეში; |

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი | წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება | პოლიციის დაწესებულებებში დაინერგოს ელექტრონული, სისტემატიზებული, სტანდარტიზებული და უნიფიცირებული მონაცემთა ბაზების წარმოება, რომელიც ჩაანაცვლებს დაწესებულებაში წარმოებულ ჟურნალებს; |
| საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი | წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება | ელექტრონულ მონაცემთა ბაზის დანერგვამდე, უზრუნველყოს დაწესებულებაში წარმოებული ჟურნალების ჩანაცვლება სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან კონსულტაციით; |
| საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი | თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება | 2022 წელს ნორმატიულად განისაზღვროს სპეციალურ ოპერაციაში მონაწილე სამართალდამცავთა მიერ სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების ვალდებულება და სპეციალური ოპერაციისას სამხრე კამერის გამოყენების წესი; |
| საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი | თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება | 2022 წელს სამხრე კამერებით აღიჭურვონ სპეციალურ ოპერაციებში მონაწილე სამართალდამცავები; |
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო | სამართლიანი სასამართლოს უფლება | უზრუნველყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნების გამოქვეყნება, პერსონალურ მონაცემთა სტანდარტების დაცვით; |
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო | სამართლიანი სასამართლოს უფლება | საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში ცვლილებების გზით, უზრუნველყოს სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში კოლეგიის სამივე წევრის შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე არჩევა |

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო | სამართლიანი სასამართლოს უფლება | დისტანციური სასამართლო პროცესების დროს კლიენტისა და ადვოკატის კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, გააუმჯობესოს შესაბამისი ტექნიკური და პროგრამული ინფრასტრუქტურა |
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო | სამართლიანი სასამართლოს უფლება | ცვლილებები შევიდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, 2017 წლის 1-ლი მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში და გაუქმდეს მე-6 , მე-7 და მე-8 პუნქტები. |
| საქართველოს მთავრობა | გენდერული თანასწორობა | სამოქალაქო აქტებში სქესის შეცვლის პროცედურა დარეგულირდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ამ მიზნით განიხილოს სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხი; |
| საქართველოს უზენაესი სასამართლო | გენდერული თანასწორობა | შეიქმნას სახელმძღვანელო დოკუმენტი და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეები გადამზადდნენ ოჯახური დანაშაულების მსხვერპლთა დაკითხვისას მეორეული ვიქტიმიზაციისგან მათ ეფექტიანად დასაცავად |
| საქართველოს მთავრობა | რწმენისა და რელიგიის თავისუფლება | აღრიცხოს საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანისა და ჩამორთმეული ქონების ოდენობა; |
| საქართველოს მთავრობა | რწმენისა და რელიგიის თავისუფლება | შევიდეს ცვლილება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილებაში, „საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის“ შესახებ და ოთხ რელიგიურ გაერთიანებასთან ერთად, სხვა |

| | | |
|---|---|---|
| | | რელიგიურ გაერთიანებებსაც მიეცეთ ზიანის შესაბამისი კომპენსაცია; |
| საქართველოს მთავრობა | რწმენისა და რელიგიის თავისუფლება | შეიცვალოს რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების პრაქტიკა. სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციით, შემუშავდეს რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების საგადასახადო სისტემა, რომელიც თანასწორუფლებიანობისა და სახელმწიფოს ნეიტრალობის მოთხოვნებს უპასუხებს; |
| საქართველოს მთავრობა | რწმენისა და რელიგიის თავისუფლება | სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების გზით, იმსჯელოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობისა და მანდატის ცვლილებების საჭიროებაზე |
| საქართველოს საერთო სასამართლოები | საკუთრების უფლება | უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის კატეგორიის საქმეები, პრიორიტეტულად განიხილებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ ვადებში. |
| საქართველოს მთავრობა | ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა | უწყებათაშორისი, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, თანამშრომლობის საფუძველზე, დაისახოს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრების ინფრასტრუქტურული გამოწვევების გადაჭრის გზები, შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადების საფუძველზე; |